პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 231 (1976)

დღიური

— გაიხსნა მუშა და გლეხ-ქალების საკავშირო ყრილობა.
— გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმი.
— ბულგარეთმა დაჰკეტა ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარი.
— პოლონეთში გაიმართა ლიტვის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.
— 28 ოქტომბრისათვის ბუქარესტში დანიშნულია ბორის სტეფანოვის საქმე.
— ლენსბერი არჩეულია ინგლისის მუშათა პარტიის თავმჯდომარეთ.
— საფრანგეთის პარლამენტში შეტანილია შეკითხვა ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნის შესახებ.

ბრძოლა კერძო კაპიტალთან

კერძო კაპიტალთან ბრძოლაში ჩვენ უკვე უდიდეს შედეგებს მივაღწიეთ. მის წინააღმდეგ დიდი ხანია წარმატებითი შეტევა მთელი ფრონტით სწარმოებს. სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი კერძო კაპიტალს სულ უფრო ავიწროვებს მრეწველობაში და [illegible] ვაჭრობის დარგიდანაც, სადაც მას ერთხანად საკმაოდ მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. თუ კერძო სავაჭრო-საშუამავლო კაპიტალის ხვედრითი წონა, მაგ., 1924—25 წ. უდრიდა 28,4 პროც., 1927—28 წ. ის დაეცემა 15,5 პროცენტამდე, ხოლო სახელმწიფოებრივ-კოოპერატიულ ვაჭრობის როლი აიწევს 84,5 პროცენტამდე.

კერძო კაპიტალი, რა თქმა უნდა, ყოველ ხერხს მართავს თავის პოზიციების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. პირველ ყოვლისა ის ცდილობს დამალოს თავისი მოგების რაოდენობა, რომ გადასახადის სიმძიმე თავიდან აიცილოს. არის ცალკე შემთხვევები, როცა ის აწარმოებს ზოგიერთი მეურვე ფინმუშაკის გადაბირებას ამ მიზნით. საჭიროა კერძო კაპიტალის ყველა ამგვარ ოინების გათვალისწინება. მისი ნამდვილი ოპერაციების გამორკვევა და სისტემატიური კონტროლის დაწესება მათზე, რომ მან თავი არ დაიძვრინოს კუთვნილი გადასახადისაგან. ეს კი მოითხოვს ფინაპარატის შემადგენლობის კვალიფიკაციის აწევას და მის სათანადო შერჩევას.

საგულისხმოა, რომ კერძო ვაჭარი არა იშვიათად სახელმწიფო თანხებს იყენებს თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ფაქტები, როცა კერძო კაპიტალი სახელმწიფო თუ სააქციო ბანკებიდან საგრძნობ კრედიტებს ღებულობს, აგრეთვე ფაქტები, როცა საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა საკრედიტო ოპერაციები არ არის შეთანხმებული ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკასთან. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ა.-კ. და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა და სასტიკად განსაზღვროს როგორც სახელმწიფო და სააქციო ბანკების დამოკიდებულება კერძო კაპიტალთან, ისე საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა მუშაობის არე და წესი. ინსპექციის დირექტივები გადაუხვევლად უნდა იქნეს გატარებული.

კერძო კაპიტალი განსაკუთრებით მოქმედობს „კოოპერაციის“ საშუალებით. ამ მიზნით „მოხერხებული“ ელემენტები აარსებენ ცრუ-კოოპერატივებს, რათა ამხრივ ისარგებლონ კოოპერატივისათვის შემოღებულ საგადასახადო შეღავათებით, მეორე მხრივ—კრედიტები და საჭირო საქონელი ხელსაყრელ პირობებში მიიღონ ბანკებისა და სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ცრუ-კოოპერაცია გავრცელებულია კერძოდ შინამრეწველობაში, რასაც ხელს უწყობს შინამრეწველთა დაქსაქსულობა. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კოოპერაციის ფორმის ასე ბოროტად გამოყენებას, ცრუ-კოოპერატივები უნდა იქნენ აღმოფხვრილნი.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა არა მარტო ფიქტიურ, ქაღალდზე არსებული „კოოპერატივი“, არამედ ნამდვილ კოოპერატივად მიჩნეული ორგანიზაცია გზას უხსნის კერძო კაპიტალს, სდებს მასთან თვით კოოპერატივისა და სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანო ხელშეკრულებებს, რომელნიც კერძო ვაჭარს დიდ შესაძლებლობას ანიჭებენ თავის მუშაობის გასაშლელად. საამისო ფაქტები ბევრი ყოფილა გამოქვეყნებული. ერთ ასეთ ფაქტს დღესაც გაეცნობა მკითხველი. საქმე ეხება კოოპერატივ „მდელოსს“, რომელმაც საშუალება მისცა კერძო პირებს „მდელოსი“-ს სახელით ეწარმოებიათ სპირტის დამზადება, რითაც ხსენებულმა კოოპერატივმა დაარღვია კანონი სპირტის დამზადების სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ და თავისი ფირმა იარაღად გახადა კერძო პირების გასამდიდრებლად. გადაჭრილი ზომები უნდა იქნას მიღებული ასეთი „კოოპერატიული მუშაკების“ წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკას და კერძო კაპიტალის გაძლიერებას უწყობენ ხელს.

ბოლოს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო კაპიტალი ჯერ კიდევ საკმაოდ მაგრად გრძნობს თავს საკვები პროდუქტების ბაზარზე. მუშის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამ პროდუქტებზე მიდის, მას უვარდება ხელში. კერძოდ, თბილისის მუშკოოპმა უკვე კარგა ხანია გადადგა ნაბიჯები საკვები პროდუქტების ბაზრის დასაპყრობად. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაძლიერდეს, და ეს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ამ აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ კერძო კაპიტალთან ბრძოლაში მიღწეულ შედეგებს და ვაჭრობის დარგიდან თანდათან განვდევნით მას. ეს ერთი აუცილებელი პირობათაგანია სოციალისტურ მეურნეობის გასამარჯვებლად.

ბრიან-პუანკარეს ნამდვილი ზრახვები

მას შემდეგ, რაც დამარცხებით დამთავრდა საფრანგეთის მთავრობის ცდა, რათა საბჭოთა მთავრობა იძულებული გამხდარიყო გამოეტანა გადაწყვეტილება რაკოვსკის გაწვევის შესახებ, საფრანგეთის მთავრობა ცდილობს წამოაყენოს ბრალდებათა მთელი რიგი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის წინააღმდეგ, რათა თავის საზოგადოებრივ აზრის წინაშე გაამართლოს თავდასხმა იმ პირზე, რომელიც არის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების პოლიტიკის ენერგიული გამტარებელი.

მთავრობა ჩავარდნილია უხერხულ მდგომარეობაში: მან ერთის მხრივ მემარჯვენე წრეების წინაშე იკისრა ვალდებულება რაკოვსკის პარიზიდან გაძევების შესახებ, მეორეს მხრივ უნდა დაიცვას 17 სექტემბრის პრინციპიალური გადაწყვეტილება, რომელშიაც მან სცნო, რომ არ არსებობს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის საბაბი. ეს უხერხული მდგომარეობა განსაკუთრებით აშკარად იჩენს თავს იმ არგუმენტაციაში, რომელსაც, ფრანგული გაზეთების სიტყვით, შეიცავს საფრანგეთის მთავრობის ნოტა.

შუბი ხალთაში არ დაიმალება. თვითეულ პოლიტიკურად შეგნებულ კაცისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ საფრანგეთის რეაქციონერების მიერ წამოყენებული მოთხოვნილება რაკოვსკის გაწვევის შესახებ წარმოადგენს ნაბიჯს ურთიერთობის გაწყვეტისაკენ, ეძიებს რა ახალ საბაბს ასეთი მოთხოვნილების წარსადგენათ, საფრანგეთის მთავრობა პოულობს ასეთს რაკოვსკის იმ მოქმედებებში, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა წინადადებასთან ვალების საკითხის მოწესრიგების შესახებ. ამით საფრანგეთის მთავრობა ნათლად ამტკიცებს თავისი პირველი მტკიცების სიყალბეს, თითქოს რაკოვსკის საკითხი წარმოადგენდეს პერსონალურ საკითხს, რომელიც სრულიად არ არის დაკავშირებული საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის საერთო პრობლემასთან.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ რაკოვსკის გაწვევა აუცილებლად იქონიებს გავლენას მოლაპარაკების მსვლელობაზე. საფრანგეთის რეაქციონური პრესა სდევნის ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს არა იმიტომ, რომ მან ხელი მოაწერა შინაპარტიულ დოკუმენტზე, არამედ იმიტომ, რომ მათ ესაჭიროებათ საბაბი მოლაპარაკების ჩასაშლელად.

მემარჯვენე წრეები ყოველ ძალ-ღონით ცდილობენ, რომ შეთანხმება არ მოხდეს. ეს შეთანხმება მათ გზას უბორკავს და შინაური პოლიტიკის მოსაზრებით იგი გაამართლებდა, მათი აზრით, მემარცხენე ბლოკის პოლიტიკას, რომელიც ემხრობა საბჭოთა კავშირის ცნობას და რომელმაც ეს განახორციელა ერიოს მთავრობის დროს 1924 წელში. ასეთი შეთანხმება ხელს შეუშლის საფრანგეთის რეაქციას მიაღწიოს მიზანს საგარეო პოლიტიკის დარგში—გაწყვიტოს კავშირი საბჭოთა ქვეყანასთან და შევიდეს იმ ანტისაბჭოთა ბლოკში, რომელსაც აწყობს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. ამიტომ მემარჯვენე წრეები ყოველი ძალღონით ცდილობენ, რათა სახელი გაუტეხონ მოლაპარაკებას, გააჭიანურონ იგი და ამგვარად საფრანგეთის ამომრჩევლებზე მოახდინონ ისეთი ფსიქოლოგიური ზეგავლენა, რომ გაადვილონ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობა.

როცა ასეთ პირობებში საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს თავისი მოთხოვნილება რაკოვსკის გამოწვევის შესახებ დაასაბუთოს იმით, რომ რაკოვსკიმ საბჭოთა წინადადებანი კრედიტებისა და ვალების საკითხში გამოაქვეყნა გარეშე საქმეთა სამინისტროსთან წინასწარ შეუთანხმებლად, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთის მთავრობა უკვე დაიბნა და იძულებულია გამონახოს არგუმენტები თავისი რეაქციონური კურსის გამართლებისათვის.

ჩვენ გვერდს ვუხვევთ იმ საკითხს, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს მათი მტკიცება, და ვსვამთ შემდეგ სრულიად ბუნებრივ კითხვას: რით შეიძლება ავნოს საფრანგეთის მთავრობას საბჭოთა პირობების გამოქვეყნებამ?

თუ ეს პირობები არ არის მისაღები, თუ საბჭოთა მთავრობამ თავისი წინადადებანი ჩამოყალიბების შემდეგ გახადა მიუღებელი, მაშინ დაინტერესებულმა წრეებმა გადაჭრით უნდა უარყონ იგი. მაშინ „შეცდომა“ აქ ჩადენილია საბჭოთა მთავრობის მხრივ და რასაკვირველია, საფრანგეთის მთავრობას არ მიადგება ზიანი იმ არაკეთილსასურველი შთაბეჭდილებით, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამ წინადადებამ. თუ ეს წინადადებანი ქმნიან ხელსაყრელ ბაზას შეთანხმებისათვის და თუ გაუქმებული ფასიანი ქაღალდების პატრონები ამ პირობების წაკითხვის შემდეგ აღიარებენ, რომ ეს პირობები მათთვის მეტად დამაკმაყოფილებელია, მაშინ საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც არა ერთხელ განაცხადა, რომ იგი მიისწრაფვის ჩვენთან შეთანხმებისაკენ, რატომ არ უნდა მისალმებოდა საბჭოთა წინადადებების გამოქვეყნებას? საფრანგეთის დელეგატებმა ხომ არა ერთხელ განაცხადეს, რომ მთავრობა სიამოვნებით დათანხმდებოდა მოლაპარაკების დაწყებას სხვა საკითხებზედაც—საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მომავალი ურთიერთობის საკითხის შესახებ, მაგრამ შეთანხმებას აბრკოლებს „დაწყევლილი“ საკითხი ვალების შესახებ. განა მისაღებ პირობათა გამოქვეყნება საბჭოთა წარმომადგენლის მიერ არ აადვილებს საფრანგეთის მთავრობის მდგომარეობას?

მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება იქნას გამართლებული საფრანგეთის მთავრობის გაანჩხლება, იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების წარმატებით მიმდინარეობა არ იყო სასურველი საფრანგეთის მთავრობისთვის და იმ ძალებისთვის, რომელთა ხმასაც იგი იძულებულია გაუწიოს ანგარიში. მაშინ, რასაკვირველია, სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობის ნებასურვილს ასრულებს, უდიდესი ცოდვა ჩაიდინა. საბჭოთა წინადადებათა გამოქვეყნებით მან ჩაშალა კულისებს იქით მოხერხებულად მოწყობილი ინტრიგები, რომელთა ამოცანას შეადგენდა შეთანხმების ჩაშლა. ამის გამო მთავრობა იძულებულია უკვე 17 სექტემბრის გადაწყვეტილების შემდეგ,— რომელშიაც ერთი სიტყვაც არ არის დაძრული რაკოვსკიზე,—იძულებულია წამოაყენოს მოთხოვნილება რაკოვსკის გადაყენების შესახებ იმ ვარაუდით, რომ მისი წამოსვლის შემდეგ შეთანხმება ვერ მოხდება. ამგვარად, ნათელი ხდება ამ ამბების ლოღიკური განვითარება და საფრანგეთის ნოტის მითითება ჩვენი წინადადებების გამოქვეყნებაზე აშკარავებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის მთავრობა, რომელიც სავსებით იმყოფება რეაქციონური წრეებისა და საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტრების გავლენის ქვეშ, ეწინააღმდეგება თავის თავს უკანა რიცხვით და იძულებულია აღიაროს, რომ აქ ლაპარაკია არა „პიროვნებაზე“, არამედ საფრანგეთ-საბჭოთა დაახლოების მთელ პოლიტიკაზე. საფრანგეთის მთავრობა აშკარა მემარჯვენე რეაქციონურ კურსს იღებს და სრულიად არ ფიქრობს იმაზე, რომ მისი ეხლანდელი „მოტივაცია“ ფარდას ხდის მისივე წინანდელი მოტივაციის ნამდვილ ზრახვებს.

საფრანგეთის მთავრობამ, ალბად, გადასწყვიტა ამჟამად დაიჭიროს უდანაშაულოდ შეურაცხყოფილის პოზიცია, რომელიც იჩაგრება საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბოროტი ინტრიგებით. მაშინ როდესაც, ყოველივე ის, რასაც აკეთებდა რაკოვსკი, ყველა მისი განცხადებანი, რომელსაც იგი პრესას აძლევდა, პირდაპირ გამოხატავს საბჭოთა მთავრობის დირექტივებს და მიმართულია ერთი მიზნისაკენ—აიცილოს თავიდან დაბრკოლებანი, რომელნიც ელობება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის შეთანხმებას. რაკოვსკის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა შინაარსი გვიჩვენებს მხოლოდ იმას, თუ საითკენ მიდის საფრანგეთის მთავრობა, ასრულებს რა კოტისა და დეტერდინგების ნება-სურვილს.

„პრავდა“, 11 ოქტომბერი.

გერმანიის კომპარტიის გამარჯვება არჩევნებში

მუნიციპალურ არჩევნებში კომპარტიამ დაამარცხა ბურჟუაზიული ბლოკი

ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლათ ინგლისის მუშები გზავნიან დელეგაციას

პარიზის მუშებმა საბჭოთა კავშირის მუშებისადმი სოლიდარობის გამოსაცხადებლათ მოაწყვეს დემონსტრაცია

გერმანიის კომპარტიის დიდი გამარჯვება

ბერლინი, 10 ოქტომბერი. კენიგსბერგის მუნიციპალიტეტის ხელახალ არჩევნებში გერმანიის კომპარტიამ მოიპოვა დიდი გამარჯვება. კომპარტიამ მიიღო 15 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა—15, დემოკრატებმა—2, სახალხო პარტიამ—15 და ნაციონალისტებმა—7 (ადს).

ბურჟუაზიული ბლოკის დამარცხება

ჰამბურგსა და კენიგსბერგში

ბერლინი, 10 ოქტომბერი. მუნიციპალური არჩევნების შედეგებმა ჰამბურგსა და კენიგსბერგში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის პოლიტიკურ წრეებზე. საერთო აზრის მიხედვით, არჩევნების შედეგები მოწმობენ წვრილი ბურჟუაზიის ფართე ფენებისა და მისი პარტიის ჩამოშორებას მმართველ ბურჟუაზიულ ბლოკისაგან და, აგრეთვე, **პროლეტარულ მასების გადახრას მარცხნივ, კომუნისტურ პარტიისაკენ.** როგორც ჰამბურგში, ისე კენიგსბერგში, **ამჟამად კომუნისტურ პარტიას რიცხვობრივობის მხრივ უჭირავს მეორე ადგილი. ბურჟუაზიული ბლოკის პარტიები სასტიკად დამარცხდენ ჰამბურგში**, მათ დაკარგეს ხმების დაახლოებით ერთი მესამედი, ხოლო კენიგსბერგში—40 პროც., წინანდელ არჩევნებთან შედარებით. განსაკუთრებით სასტიკად დამარცხდა ბურჟუაზიული ბლოკის მარჯვენა ფრთა. (ადს)

ინგლისის მუშათა დელეგაცია

ლონდონი, 10 ოქტომბერი. ინგლისის მუშათა დელეგაციის გამგზავრებას საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად აწყობს განსაკუთრებული საერთო-ინგლისური კომიტეტი; კომიტეტში შედიან **გოსიპი, ბენტილეტი, ტომმანი, მეკსტონი, პოლიტი** და ინგლისის მუშათა მოძრაობის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი. **სულ გამოემგზავრება 40 დელეგატი.** გარდა ამისა, კომიტეტმა წინადადება მისცა მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებს პერსონალურად მიიღონ მონაწილეობა დელეგაციაში. კომიტეტის წინადადებით, ინგლისის მუშათა დელეგაცია თავის შეხვედრას სხვა ქვეყნების მუშათა დელეგაციებთან მოსკოვში გამოიყენებს იმისათვის, რომ მოეწყოს კონფერენცია იმ დახმარების გასაძლიერებლად, რომელსაც საერთაშორისო პროლეტარიატი უწევს საბჭოთა კავშირს და შემუშავებულ იქნეს ზომები იმპერიალისტების შეტევის წინააღმდეგ. (ადს)

საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

ბოლდუინის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 ოქტომბერი. წარსული კვირის ბოლოს კარლეილში და ლიდსაში გაიმართა პირველი სარაიონო კონფერენციები კანდიდატების ასარჩევად იმ დელეგაციაში, რომელიც იგზავნება საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის გამო.

კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციები დელეგატებს ავალებენ გადასცენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს და საბჭოთა მთავრობას, რომ **ინგლისის მუშები ამაყობენ ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევებით და სავსებით უჭერენ მხარს რუსეთის მუშებს პირველი მუშათა რესპუბლიკის დაცვის საქმეში.**

რეზოლიუციებში ნათქვამია, რომ **ინგლისის მუშები ესალმებიან სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობას, აღშფოთებით გმობენ ინგლისის მთავრობის მზადებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის და ფიცს სდებენ მთელი ენერგიით ებრძოლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გამოცხადების ყველ ცდებს.** (ადს).

დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 10 ოქტომბერი. პარიზის განაპირა უბანში—სენ-ანტუანეში კომუნისტების მიერ მოწყობილ მანიფესტაციაში 200.000 მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. ორატორები მანიფესტანტებს მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის გეგმებთან საბრძოლველათ და ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავად. მანიფესტაციის დროს პოლიციას მზად ჰყავდა გაძლიერებული რაზმები. დაპატიმრებას ადგილი არ ჰქონია. (ადს).

მუშათა პარტიის ყრილობის შემდეგ

პარტიის თავმჯდომარე

ლონდონი, 10 ოქტომბერი. ლენსბერი არჩეულია მუშათა პარტიის თავმჯდომარეთ. (ადს).

„კონსტიტუციონური საშუალებები“

ლონდონი, 10 ოქტომბერი. როტერდამში სიტყვით გამოვიდა მემაღაროეთა სრულიად ინგლისის ფედერაციის თავმჯდომარე **ჰერბერტ სმიტი**, რომელმაც განაცხადა:

„მე მსურს, მაღაროს მუშებმა გაიგონ რომ მათ ანგარიში უნდა გაუწიონ ქვანახშირის მრეწველობაში არსებულ მდგომარეობას. მე მსურს, რომ ამ მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ მუშებმა მიმართონ მხოლოდ კონსტიტუციონურ საშუალებებს“. (ადს).

მუშათა პარტიის დამარცხება

ლონდონი, 10 ოქტომბერი. ახალ სამხრეთ უელსის შტატში (ავსტრალია) მომხდარ არჩევნებზე მუშათა მთავრობის დამარცხება აიხსნება მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის მოქმედებით. პარტიის ეს ნაწილი გამოვიდა თავისი სიით მუშათა პარტიის ოფიციალური სიის წინააღმდეგ. ნაციონალისტები არ ზოგავდენ არავითარ საშუალებას, რომ ახლანდელ მთავრობის პრემიერი ლანგი დაეხასიათებიათ, როგორც „კომუნისტი, რომელიც ემორჩილება მოსკოვის ბრძანებას“. მუშათა პარტიის რეაქციონური ფრთა მხარს უჭერდა რეაქციონერების ამ კამპანიას. (ადს).

გერმანიის კომკავშირის ყრილობა

ბერლინი, 10 ოქტომბერი. 9 ოქტომბერს გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობამ, ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენლის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყრილობა სავსებით იწონებს ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილებას და ერთხმად მიესალმება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისა და საერთაშორისო საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან ტროცკისა და ვუიოვიჩის გარიცხვის შესახებ. ყრილობა ესალმება მტკიცე პოზიციას, რომელიც დაიჭირა კომინტერნმა და გერმანიის კომპარტიამ საბჭოთა ოპოზიციის გერმანელ მეგობრების —მასლოვის, რუტ ფიშერის და ურბანსის მიმართ. **ყრილობა სრულ ნდობას უცხადებს კომინტერნისა და საკ. კომ. პარ. (ბ) ხელმძღვანელობას** და დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ დაიმსხვრევა კომინტერნისა და საკ. კომ. პარტიის (ბ) რიგების მთლიანობასა და სიმტკიცეზე. საერთაშორისო მდგომარეობის სერიოზულობა და ომის საფრთხე აიძულებენ კომინტერნს აღკვეთოს ძირშივე ოპოზიციონერთა გარეგნულად მემარცხენე, ხოლო სინამდვილეში კი—სოციალ-დემოკრატიული ხრიკები. გერმანიის კომუნისტური ახალგაზრდობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამას“. (ადს)

აჯანყება მექსიკაში

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. მექსიკის მთავრობა მობილიზაციას უშვებს სამხედრო ძალებს. როგორც ჩანს, კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება კიდევ არ არის ჩაქრობილი და მოსალოდნელია გადამწყვეტი შეტაკებანი. როგორც ხმები დადის, აჯანყებულ გენერალ **გომესს** ჰყავს მნიშვნელოვანი ძალები, რომელიც თანდათან იზრდება. (ადს)

„ლურჯ-ხალათიანები“

ბერლინში

ბერლინი, 10 ოქტომბერი. **ლურჯ-ხალათიანების წარმოდგენას ბერლინში აღტაცებით ხვდებიან.** ყველა გაზეთები ამ გამოსვლას დიდ მოვლენად სთვლიან ხელოვნების დარგში. რეცენზიებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლურჯ-ხალათიანებმა შესძლეს ახალი იდეის გამოცოცხლება და მის გამოსახატავად გამონახეს მხატვრული ფორმები. (ადს)

ახალი გადაფრენა

პარიზი, 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს, დილის 9 საათზე საფრანგეთის მფრინავები **კოსტი** და **ლებრი** აფრინდენ ატლანტიის ოკეანეზე გადასაფრენად. გადაფრენის საბოლოო მიზანი—ბუენოს-აირესია. აპარატზე დადგმულია 700 ცხენისძალიანი მოტორი და 6 ბაკი საწვავი მასალისათვის 3.900 ლიტრის ტევადობით. (ადს).

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

მანჩესტერი, 10 ოქტომბერი. ინგლისის კომუნისტური პარტიის ყრილობამ 10 ოქტომბერს მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციები, რომელთაგან მთავარი არის შემდეგი: იმპერიალიზმის, მუშათა პარტიის დამოკიდებულების შესახებ საარჩევნო მზადებისადმი, პარტიის მუშაობის შესახებ პროფკავშირებსა და კოოპერატიულ მოძრაობაში.

იმპერიალიზმის შესახებ ერთხმად მიღებული რეზოლიუცია ხაზს უსვამს მუშათა მასებში იმპერიალისტური ილიუზიების აღმოფხვრის უდიდეს მნიშვნელობას რეფორმისტული ლოზუნგების დაუნდობელი მხილების საშუალებით. კომუნისტურმა პარტიამ, ნათქვამია რეზოლიუციაში, **დახმარება უნდა გაუწიოს რევოლიუციონური ხასიათის ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ხელი შეუწყოს კოლონიალური ხალხების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგას და დაეხმაროს ძლიერი მუშათა კომუნისტური მოძრაობის ორგანიზაციას კოლონიალურ ქვეყნებში. ჩვენ წინანდებურად უნდა ვეცადოთ მოხდეს უცხოელ ჯარების ევაკუაცია ჩინეთიდან**, აგიტაცია გავსწიოთ ინდოეთის სრული დამოუკიდებლობისათვის, და აგრეთვე ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობის ორგანიზაციული შეკავშირებისათვის ინდოეთის პროფმოძრაობასთან, **ვამხილოთ ინგლისის მთავრობის სამხედრო ზრახვები უახლოეს აღმოსავლეთში**“.

საარჩევნო მზადებისადმი დამოკიდებულების შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: **მუშებისადმი მტრულად განწყობილ ბოლდუინის კლასიურ მთავრობასთან ბრძოლაში გამოყენებული უნდა იქნეს ბრძოლის ყოველგვარი ფორმები და მასიური ზემოქმედებანი იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ ამ მთავრობის დამარცხებას და უზრუნველვყოთ მომავალ არჩევნებში მუშათა მთავრობისათვის უმრავლესობა.** ამასთან ერთად საჭიროა ბრძოლის წარმოება მუშათა პარტიის რეაქციონურ გაკოტრებულ ბელადების წინააღმდეგ. ამ მიზნით ორგანიზაციებში გაერთიანებულმა მუშებმა იმ ოლქებში, სადაც წამოყენებული იქნება რეაქციონური ბელადების კანდიდატურა, ისინი უნდა შესცვალონ მუშათა კლასის საქმისათვის აქტიურ მებრძოლთა კანდიდატურით. შემდეგ რეზოლიუცია საჭიროთ სცნობს ბრძოლის გაგრძელებას კომპარტიის მუშათა პარტიაში ხელახლა მიღებისათვის.

პროფესიონალურ მოძრაობაში კომპარტიის მუშაობის შესახებ გამოტანილი რეზოლიუცია ხაზს უსვამს პარტიის პრაქტიკულ საქმიანობის გაძლიერების საჭიროებას და უმცირესობის მოძრაობის გაძლიერებას. პარტიამ,—ნათქვამია რეზოლიუციაში, მობილიზაცია უნდა უყოს მუშებს, რომ აიძულონ პროფკავშირებში გაბატონებული ბიუროკრატია მოაწყონ კაპიტალისტური თავდასხმის ორგანიზაციული მოგერიება პროფკავშირების საგანგებო ყრილობის მოწვევის, **ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოქმედების განახლების** და მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის ანალოგიური კომიტეტების მოწყობის საშუალებით. ამავე დროს პარტიამ უნდა განაგრძოს ბრძოლა პროფკავშირების ხელმძღვანელობის შესაცვლელად.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია პარტიის მუშაობის შესახებ კოოპერატიულ მოძრაობაში.

კომუნისტური ახალგაზრდობის ლიგის კომკავშირათ გადაკეთების შესახებ გამოტანილი რეზოლიუციაში ყრილობა საჭიროდ სცნობს ანტიმილიტარისტული მუშაობის გაძლიერებას. რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობა ინტერნაციონალის აღფრთოვანებული სიმღერით დაიხურა. (ადს)

რეზოლიუცია პარტიის უახლოესი ამოცანების შესახებ

მანჩესტერი, 10 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიის ყრილობის 10 ოქტომბრის სხდომაზე ერთხმად არის მიღებული რეზოლიუცია ინგლისის კომპარტიის უმთავრეს ამოცანების შესახებ. რეზოლიუციაში ჩამოთვლილია კომპარტიის შემდეგი ძირითადი ამოცანები: **ბრძოლა ომის საშიშროებასთან, ბრძოლა კაპიტალის ახალ შემოტევის წინააღმდეგ, თუნდაც, რომ ამ ბრძოლამ გამოიწვიოს პროფკავშირების შესახებ გამოცემული ახალ კანონის დარღვევა, ბრძოლა ბოლდუინის კაბინეტის წინააღმდეგ და მის შესაცვლელად მუშათა პარტიის მთავრობით, რომელსაც კონტროლი უნდა გაეწიოს მუშების მხრივ.**

რეზოლიუცია ქვანახშირის მრეწველობის შესახებ

შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია ქვანახშირის მრეწველობის კრიზისის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის ბლეკპულის ყრილობის მიერ ამ საკითხის შესახებ მიღებული დადგენილებები ამზადებენ მემაღაროეთა ახალ დამარცხებას. რეზოლიუცია მოუწოდებს მემაღაროეთ მოითხოვონ მემაღაროეთა ფედერაციის საგანგებო კონფერენციისა და პროფკავშირთა სასწრაფო ყრილობის მოწვევა იმ მიზნით, რათა მოეწყოს მემაღაროეთა გაერთიანებული გამოსვლა ინგლისის მუშათა მოძრაობის დანარჩენ ნაწილებთან ერთად.

ინგლისის კომპარტიის ყრილობა ჰგმობს საკ. კომპ. ოპოზიციის ტაქტიკას

შემდეგ მოსმენილ იქნა კომინტერნის აღმასკომის ბრიტანეთის დელეგაციის მოხსენება. მოხსენება აშკარავებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის როლს. **ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გადაჭრით ჰგმობს ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას, რომელიც ობიექტიურად თამაშობს კონტრ-რევოლიუციონურ როლს. ყრილობა იწონებს ტროცკისა და ვუიოვიჩის გამორიცხვას კომინტერნის აღმასკომიდან და მოითხოვს, რომ კომინტერნმა მიიღოს სასწრაფო ზომები ოპოზიციის წინააღმდეგ.**

შემდეგ დახურულ კარებში გაირჩა რეზოლიუცია ომის საშიშროების შესახებ.

ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

მაკედონელების შეპყრობა

ვენა, 10 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის ოფიციალური ცნობის თანახმად, 9 ოქტომბერს ღამით მთებში ქალაქ რადოვიცის მახლობლად შეპყრობილია სამი პირი, რომლებშიც პოლიციამ იცნო გენერალ კოვაჩევიჩის მკვლელები. ჟანდარმერიასთან შეტაკების დროს მოკლულია ორი, ხოლო შეპყრობილი მესამე პირი. პოლიციის ცნობით, ორივე მოკლული—მაკედონელია. (ადს)

საზღვრების დაკეტვა

ვენა, 10 ოქტომბერი. სოფიიდან მიღებული ცნობით, **ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა გამოაცხადოს საალყო წესები და დაკეტოს საზღვრები პეტრიჩისა და კიუსტენდილის ოლქებში**, რათა ამით ბოლო მოუღოს მაკედონელ პარტიზანების გადასვლას ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე. (ადს)

ბულგარეთის მთავრობის პასუხი

ვენა, 10 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიასთან წარმოშობილ კონფლიქტის გამო, ბულგარეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრი მწუხარებას გამოსთქვამს და ჰკიცხავს მომხდარ დანაშაულებრივ მოქმედებას. ბულგარეთის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ურთიერთ შეთანხმებით ორივე მთავრობა აღმოფხვრის წარმოშობილ კონფლიქტს. ცნობიდან სჩანს, რომ სამხრეთ-სლავიის ელჩს სოფიოში მოუთხოვია ბულგარეთის მთავრობისაგან გარკვეული პასუხი კითხვაზე—ბულგარეთის მთავრობა მზად არის თუ არა მიიღოს რეპრესიული ზომები მაკედონელ ავტონომისტების ორგანიზაციის წინააღმდეგ.

სოფიიდან მიღებული ცნობით, ბულგარეთის საგარეო საქმეთ. მინისტრმა ბუროვმა სამხრეთ-სლავიის ელჩს გადასცა ბულგარეთის მთავრობის პასუხი. თავის პასუხში **ბულგარეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის მზად არის მიიღოს ზომები სიძნელეების აღმოსაფხვრელად.** ცნობაში არ არის მოყვანილი პასუხის დაწვრილებითი შინაარსი.

ბელგრადის „პოლიტიკა“ ბევრად არადამაკმაყოფილებლად სთვლის ბუროვის პასუხს. (ადს)

საფრანგეთ-ამერიკის საბაჟო უთანხმოება

ვაშინგტონი, 10 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ამერიკის საელჩოს პარიზში გადასცეს საფრანგეთის მთავრობას ახალი ნოტა საბაჟო ტარიფების საკითხის შესახებ. ამასთან ერთად სამინისტრომ მოიწონა წინადადება საფრანგეთის 8 პროცენტიანი სესხის 6 პროცენტამდე შემცირების შესახებ. ასეთ შემცირებას მიზნად აქვს იმ ნოტის შთაბეჭდილების შენელება, რომლითაც, მიღებული ცნობების თანახმად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ მათთვის არახელსაყრელ მუხლების გაუქმებას საფრანგეთის ახალ საბაჟო ტარიფში. (ადს)

ბრიან—ჩემბერლენ—ზალესკი

პარიზი, 10 ოქტომბერი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბრიანის საუბარი ჩემბერლენთან შეეხებოდა მდგომარეობას ბალკანეთზე და იმ დაბრკოლებებს, რომელნიც აფერხებენ საბერძნეთის მიერ სესხის მიღებას საფრანგეთში.

ბრიანს საუბარი ჰქონდა აგრეთვე ზალესკისთან იმ საკითხებზე, რომელნიც აინტერესებს საფრანგეთსა და პოლონეთს. საუბარში გამოირკვა, რომ მათ შორის სრული ერთსულოვნება არსებობს ამ საკითხებში. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბრიანმა აცნობა ზალესკის, თუ როგორი სახით ფიქრობს საფრანგეთი აწარმოოს მოლაპარაკება საფრანგეთ-საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, სახელდობრ, საფრანგეთს სურს ამ ხელშეკრულებამ არ დაარღვიოს არც საფრანგეთ-პოლონეთის კავშირი და არც ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლი. (ადს).

რემედასის საფრანგეთის სექციის კონფერენცია

პარიზი, 10 ოქტომბერი. **9 ოქტომბერს გაიხსნა რემედასის საფრანგეთის სექციის პირველი კონფერენცია.** კონფერენციამ დეპეშა გაუგზავნა ტულონის პრეფექტს; დეპეშა მოითხოვს, რათა პრეფექტმა განთავისუფლოს კრეისერ „ერნესტ რენანი“-ზე დაპატიმრებული მეზღვაურები, რომელნიც მალბუსსკის ციხეში სხედან. კონფერენციამ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ინდო-ჩინეთის გუბერნატორს ვარენს იმის გამო, რომ **ეროვნული მოძრაობის მოღვაწეებს საკონტროლო განაჩენი გამოუტანეს.**

მოხსენება სექციის მუშაობის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

ვარშავა, 11 ოქტომბერი. პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალი სკლადკოვსკი ამჟამად იკვლევს სანაპირო კორპუსის მდგომარეობას პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე (ადს).

ლიტვა-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 10 ოქტომბერი. პრემიერ სკუენეკის თავმჯდომარეობით, შესდგა მთავრობის კოალიციის სეიმის ფრაქციების თათბირი. გაზეთების ცნობით, ყველა ფრაქციები მიემხრენ ლიტვა-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას (ადს).

ჩემბერლენი—ბრიანი—ზალესკი

პარიზი, 11 ოქტომბერი. ბრიანთან მცირე ხნის საუბრის შემდეგ, ზალესკი ხანგრძლივ ესაუბრა ჩემბერლენს. საუბრის დროს ისინი შეეხენ ყველა საკითხებს, რომელთა გარშემოც ეთათბირა ზალესკი ბრიანს. კერძოთ, საუბარი შეეხო იმ პირობებს, რომლებზედაც როგორც საფრანგეთში, ისე პოლონეთში შესაძლებლად სთვლიან ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. გარდა ამისა ზალესკიმ დაწვრილებით გააცნო ჩემბერლენს პოლონეთ-ლიტვის ურთიერთ დამოკიდებულების მდგომარეობა (ადს).

მუკდენელების გამარჯვება

პეკინი, 10 ოქტომბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პეკინ-სუი--იუანის და პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ფრონტზე მუკდენის ჯარებმა გაიმარჯვეს (ადს).

ბორის სტეფანოვის პროცესი

ვენა, 10 ოქტომბერი. ბორის სტეფანოვისა და მისი ამხანაგების პროცესი, რომელიც რამოდენიმეჯერ გადაიდო, 28 ოქტომბრისათვის დაინიშნა ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში (ადს).

შეკითხვა ამხ. რაკოვსკის შესახებ

პარიზი, 10 ოქტომბერი. სენატორმა ბაშლემ, რომელიც მემარჯვენე რესპუბლიკანურ კავშირს ეკუთვნის, სენატში შეიტანა შეკითხვა მთავრობისადმი იმ „მოტივების შესახებ, რომლებითაც გამოწვეულია რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნილება და მთავრობის დამოკიდებულება პრესის იმ ნაწილისადმი, რომელიც ცდილობს საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის გაწყვეტას“. (ადს).

ვენაში გრძელდება მიწისძვრა

ვენა, 10 ოქტომბერი. ვენაში გრძელდება მიწისძვრა. 10 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა ახალ ბიძგებს. ვენის მიდამო შვანდორფში თითქმის ყველა შენობა დაზიანდა (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს—აირეს, 10 ოქტომბერი. ალიოხინ კაპაბლანკას მე-11 პარტია სამოცდამეექვსე სვლაზე დამთავრდა ალიოხინის გამარჯვებით. (ადს)

ამხ. იურენევი ზეიპელთან

ვენა, 10 ოქტომბერი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ავსტრიაში ამხ. იურენევმა ინახულა კანცლერი ზეიპელი და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი პეტერი.

ამხ. იურენევისა და ავსტრიის მთავრობის წარმომადგენლის საუბარში ორივე მხარემ გამოსთქვა ავსტრია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების განვითარება-განმტკიცების რწმენა (ადს).

გაზ. „ნოვოგრანეცის“ კონფერენცია

პარიზი, 10 ოქტომბერი. ლილაში პოლიციამ კონფისკაცია მოუხდინა გაზეთ „ნოვობრანეცის“ 48.000 ეკზემპლიარს. ამავე დროს კონფისკაცია მოუხდინეს და პოლიციას გადასცეს იმ მისამართების სია, სადაც გაზეთები იგზავნებოდა. (ადს).

საჭადრაკო ოლიმპიადა

ბაქო, 11 ოქტომბ. საქართველოს და სომხეთის დღევანდელი შეხვედრა ამიერ - კავკასიის საჭადრაკო ოლიმპიადაზე დამთავრდა საქართველოს სასარგებლოდ 3:1. გოგლიძემ მოუგო სარქისიანს, საროკინმა - ჩელოიანს, იცკოვიჩმა - კარიკიანს, ოსოვსკიმ წააგო ტერ - მატევოსიანთან.

ხვალ უკანასკნელი შეხვედრაა (ადს).

ფიზკულტურის დღესასწაული

ბაქო, 11 ოქტომბ. დამთავრდა შეჯიბრი მძიმე ატლეტიკაში საქართველოსა, აზერბეიჯანისა და სომხეთის შორის. სიმძიმეთა აწევაში საქართველომ დაიკავა ექვსი პირველი ადგილი, დაიკავა აზერბეიჯანმა, მესამე სომხეთმა. საქართველომ და აზერბეიჯანმა შეჯიბრში დაიკავეს სამ-სამი პირველი ადგილი. (ადს).

ახალი წყალდიდობა

ბათომი, 11 ოქტომბერი. მეოთხე დღეა გრძელდება წვიმა, რომელიც ზოგჯერ კოკისპირულად მოდის. 11 ოქტომბრის დილისთვის წყალი ავიდა 236 მილიმეტრამდე. წვიმებით გამოწვეულმა ნიაღვარმა ხელახლა დაზიანა ქალაქის წყალსადენი. შეწყდა წყალის მიწოდება. საჩქაროდ სწარმოებს წყალსადენის შეკეთება. ქალაქის ქუჩები მდინარეს ჰგავს. ღამით მოხალისე მეხანძრეთა რაზმი, რომელიც ავტომობილით გაემგზავრა გოროდოკის რაიონში იქ გაჩენილ ცეცხლის დასაქრობად, შეეცადა მდ. ბარცხანას გავლას, რადგან ხიდი დაზიანებული იყო, მაგრამ მდინარემ გაიტაცა ისინი. მანქანის ამოღება მხოლოდ დილით დასრულდა.

ბათომის მიდამოებში ადიდდა ყველა მდინარე. ხშირად წვიმის შეწყვეტის გამო, წყალი იწყებდა დაკლებას. ახალ ნგრევას არ ჰქონია ადგილი. დღისით 11 ოქტომბერს წვიმა შეწყდა. (ადს).

სუმბათაშვილის ნეშტი

ბათომი, 11 ოქტომბერი. მარსელიდან 5 ოქტომბერს გამოსულ გემს სუმბათაშვილის ნეშტით მოელიან ბათომში 18 ოქტომბერს დილით (ადს).

დემონსტრაცია ლიტვის წინააღმდეგ

ვარშავა, 10 ოქტომბერი. დღესასწაულს, რომელიც გაიმართა პოლონელების მიერ ვილნოს დაკავების 7 წლის თავის გამო, დემონსტრიატიული ხასიათი ჰქონდა. **ვილნოში შესდგა პოლონეთის მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა პილსუდსკის თავმჯდომარეობით.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გამოუქვეყნებიათ. ვილნოში გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა შრომის პარტიის წარმომადგენელმა **ბორკოვსკიმ**, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ლიტვის მთავრობის პოლიტიკა, მისი რწმენით, არის უგუნურება, რომელიც გენერალ ჟელიხოვსკის (პოლონელი გენერალი, რომელმაც 1920 წელში დაიჭირა ვილნო) აიძულებს მწუხარება გამოსთქვას იმის გამო, რომ მან ვილნოს დაკავების დროს კიდევ უფრო წინ არ წაიწია. პილსუდსკის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვილნოში მოწყობილ მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდენ პოლონეთის ყველა პარტიები, მათ შორის მენშევიკებიც. რაიც მანიფესტაციას „საერთო-ეროვნულ ხასიათს აძლევს“. (ადს).

პოლონეთის პროვოკაცია

კოვნო, 10 ოქტომბერი. მიტინგებზე, რომელნიც ლიტვაში მოხდა პოლონელების მიერ ვილნოს ხელში ჩაგდების შვიდი წლის თავის გამო, მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია იმის წინააღმდეგ, რომ **ვილნოს ოლქში აპატიმრებენ ლიტველებს და ხურავენ ლიტველთა სკოლებს. რეზოლიუცია მთავრობისაგან მოითხოვს, რათა მთავრობამ პოლონეთის ამ ღონისძიებებს გასცეს ენერგიული პასუხი როგორც საზღვარ-გარედ, ისე თვით ლიტვაში.**

ოფიციოზი „ლეტუვა“ წერილში „პოლონეთის პროვოკაცია“, სწერს:

„ისმის კითხვა: რისთვის ჩავიდენ ვილნოში პილსუდსკი და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრები? რა მიზნით იქნა გაწვეული ვილნოში პოლონეთის ელჩი ლატვიაში? რა საფუძვლით მოუწოდებს ვილნოს გაზეთი „სლოვო“ მობილიზაციისაკენ და ლიტვის წინააღმდეგ ომისაკენ? ჩვენ ამას ვსთვლით პროვოკაციად და დარწმუნებული ვართ, რომ ლიტვის საზოგადოებრივი აზრი შეინარჩუნებს სიმშვიდეს, ხოლო მთავრობა მიიღებს ზომებს, რომ პოლონეთის პროვოკაცია გამოამჟღავნოს მთელი მსოფლიოს წინაშე და გასცეს მას სათანადო პასუხი“.

ჩეხო-სლოვაკიის რკინისგზების მილიტარიზაცია

მოღალატე ბელადები სდუმან

პრაღა, 10 ოქტომბერი. მთავრობა ემზადება ძალაში მოიყვანოს სამხედრო დროის კანონი, რომლის მიხედვით გაფიცვა რკინის გზებზე ისჯება დაპატიმრებით. ჩატარებულია მზადება იმისათვის, რომ თუ რკინის გზაზე გამოცხადდა გაფიცვა, მოხდეს მთელი გზის მუშაობის მილიტარიზაცია. რკინის გზების სამმართველოებმა მიიღეს დაბეჭდილი პაკეტები სამობილიზაციო უწყებებით; ეს პაკეტები უნდა გაიხსნას, როგორც კი ტელეფონით იქნება მიღებული სამხედრო სამინისტროს განკარგულება და უწყებები ჩაბარდეს რკინისგზელებს. მღელვარება რკინისგზელებს შორის მატულობს; მაგრამ რკინისგზელთა ორგანიზაციები არ ფიქრობენ გაფიცვის გამოცხადებას; ისინი აპირებენ დაკმაყოფილდენ მხოლოდ მოწოდებით პასიურ წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. (ადს)

გველი—მაცდური

(ჩემბერლენის ჩასვლის გამო პარიზში)



მიქელის სურათი.

ალ. ზ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშა და გლეხ-ქალების ყრილობა

ყრილობის გახსნა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. გაიხსნა მუშა და გლეხ ქალების საკავშირო ყრილობა. ყრილობას ესწრება 900 მუშა და გლეხი ქალი. თითქმის იმდენი დელეგატები შეიკრიბა, რამდენსაც ყრილობის ორგანიზატორები მოელოდენ. ყრილობას ესწრებიან უცხოელი სტუმრები—გერმანიის მუშა ქალებისა, ახალგაზრდობისა და პიონერების წარმომადგენლები. ყრილობას მისასალმებელი სიტყვით ხსნის ამხ. კალინინი. ამხ. კალინინს ყრილობა მქუხარე ტაშით ეგებება.

ამხ. კალინინის სიტყვა

„ქალების მუშაობა,—სთქვა ამხ. კალინინმა,—არ შეიძლება გამოიყოს საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის მუშაობისაგან. ქალების ეს ყრილობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც ქვეყნის აღმშენებლობაში, ისე მშრომელთა მასების შემჭიდროებაში, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ამჟამად გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა ქვეყანაზე კაპიტალისტური სახელმწიფოების შემოტევის გაძლიერების გამო".

მისალმებები

47 ამხანაგისაგან შემდგარ პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, ყრილობამ მოისმინა მთელი რიგი მისალმებანი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ბუხარინი, საკავშირო პროფსაბჭოს სახელით—ამხ. ტომსკი, წითელი არმიისა და წითელი საზღვაო და საჰაერო ფლოტის სახელით—ამხ. ვოროშილოვი, კომინტერნიდან — ამხ. როი, ლენინგრადის მუშა და გლეხ ქალების საგუბერნიო ყრილობის სახელით ყრილობას მიესალმა ვიბორგის რაიონის მუშა ქალი ამხ. პოტაში. ფაბრიკა „ტრეუგოლნიკ"-ის მუშა ქალების დავალებით ამხ. პოტაში ყრილობას მიუძღვნის ამ ფაბრიკის მუშა ქალების მიერ გაკეთებულ წითელი ვარდების თაიგულს. მქუხარე ტაშს იწვევს ამხ. არტიუხინას ცნობა იმის შესახებ, რომ ყრილობას ესწრება 10 გერმანელი მუშა ქალი—წითელ ფრონტელ ქალთა ორგანიზაციის დელეგატები. გერმანიის დელეგაციის სახელით გამოვიდა მარგარიტა ანნენი, რომელმაც გერმანიის კომპარტიის დავალებით ყრილობას გადასცა მხურვალე სალამი. აღმოსავლეთის მშრომელი ქალების სახელით ყრილობას მიესალმა უზბეკისტანის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. აზიზოვა. შემდეგ გამოვიდნენ კიდევ მთელი რიგი მუშა ქალები: ყრილობის პრეზიდიუმის სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. კალიგინა.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კალინინმა. ყრილობამ დაადგინა მისალმება გაუგზავნოს საკავშირო (ბ) ცეკას, საკავშირო ცაკს, წითელ არმიას და კომინტერნს.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობაზე მისალმებით საკ. კომ. პარტ (ბ) ცეკას სახელით გამოვიდა ამხ. ბუხარინი, რომელმაც სთქვა:

„ჩვენს პარტიას არა ერთხელ განუმეორებია ლენინის სიტყვები, რომ პარტიამ თავისი მუშაობა ისე უნდა აწარმოოს, რომ ყოველ მზარეულ ქალს შეეძლოს სახელმწიფოს მმართველობა და თავისი უფლებების დაცვა. რასაკვირველია, როდესაც ლენინი ლაპარაკობდა მზარეულ ქალზე, მას ამით იმის თქმა უნდოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მიზანს წარმოადგენს მუშათა და საერთოდ მშრომელთა ფართე მასების ისე დაწინაურება, რომელიც ახალი ცხოვრებისა და აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ჩააბამდა ყოფილ უზარმაზარ კაპიტალისტურ ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე ჩამორჩენილ, დაჩაგრულ, დაქსაქსულ და უვიც ფენებს. როდესაც ჩვენი რევოლიუციის ათი წლისთავის იუბილეს წინ ხდება ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი არიან ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მუშაკები—პროლეტარი და გლეხი-ქალები, მაშინ ჩვენ ვრწმუნდებით, თუ რა დიადი ისტორიული ხანა განვლეთ. არ იქნებოდა სწორი, რომ ჩვენი მიღწევებისათვის ჯამის გაკეთების დროს არ აღგვენიშნა ის სიძნელეები და ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, დაგვევიწყნა ის ჭირები, რომლებიც აჩნია ჩვენს ცხოვრებას. ვზეიმობთ რა ოქტომბრის იუბილეს, ჩვენ ამავე დროს უნდა გამოვააშკარავოთ ჩვენი მტკივანი ადგილები, რათა შემდეგში უფრო მეტი წარმატებით წავიყვანოთ ჩვენი მშენებლობა. ჩვენს პარტიას ერთი წუთითაც არ გადაუხვევია და არც გადაუხვევს ლენინის მიერ დასახულ იდეალებსა და მიზნებს. სახელმწიფო—კომუნა,—აი რა აწერია ჩვენს დროშას. სახელმწიფოს ფართე მმართველობა თვით მასების მხრივ,—აი მიზანი, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით. აღმოფხვრა არა მარტო ბიუროკრატიზმის წყლულების, არამედ თვით ბიუროკრატიის მოსპობაც—არის მიზანი, რომელიც ჩვენ დავისახეთ და რომელსაც იოტის ოდნადაც არ გადაუხვევთ. ამ უდიდესი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს მუშათა მასების კულტურული დონის მუდმივ, სისტემატიურ ამაღლებას. ეს საკითხი კიდევ მრავალ ათეულ წელს იქნება ჩვენ მთავარ საზრუნავ საგნად. თუ ეხლა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღემდე ძალიან ბევრს მივაღწიეთ, სამაგიეროდ მომავლისათვის ჩვენს წინ დგანან უდიდესი და უმძიმესი ამოცანები, ვიდრე დღემდე.

განსაკუთრებით მუშა და გლეხი-ქალი, განსაკუთრებით ქალი უფრო მწვავედ განიცდის ყოველ წუთს, ყოველ წამს იმ უამრავი უბედურობას, რომლებიც, მიუხედავათ ჩვენი მიღწევებისა, დაკავშირებული არიან ჩვენს უდიდეს კულტურულ ჩამორჩენილობასთან, ჩვენს უვიცობასთან. ყველა ამ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც, ასე ვსთქვათ ძვლით ხალხშივეა გამჯდარი, რომლებიც მემკვიდრეობად მივიღეთ, პარტია უნდა ემყარებოდეს ბოროტების აღმოფხვრაში დაინტერესებულ მამაკაცებისა და ქალების უდიდეს მასას. ჩვენ ბევრს მივაღწიეთ, ჩვენ, შეგვიძლია ვსთქვათ, ბევრი შეუძლო რამ შევიძელით და კიდევ ბევრს შევსძლებთ იმისთვის, რომ არსებობდეს და იფურჩქნებოდეს ჩვენი მუშურ-გლეხური ქვეყანა. ჩვენ უფრო სწრაფად უნდა მივდიოდეთ წინ, ვიდრე ჩვენი კაპიტალისტური მოწინააღმდეგეები და მტრები. სოციალისტური მშენებლობის ტემპის აჩქარება, სწრაფი წინსვლა,—ეს ერთი იმ ამოცანათაგანია, რომლებიც ჩვენ პირველ რიგში უნდა გადავჭრათ. მუშათა კლასისა და გლეხობის ფართე მასები ვერ შესძლებენ წინსვლას, თუ არ გაჰყვებიან ჩვენს პარტიას. ეხლა, როდესაც უცხო კაპიტალისტური მტერს იერიში მოაქვს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოები, ინგლისის მეთაურობით, ჩვენდა საწინააღმდეგოდ ამზადებენ საომარ იარაღს, რათა დედამიწის პირიდან აღგავონ მუშათა კლასის დიქტატურა და მისი კავშირი გლეხობასთან ყოფილ მეფის იმპერიის ტერიტორიაზე, აი ასეთ დროს ჩვენი პარტია მოუწოდებს ყველა მშრომელთ და, პირველ რიგში, პროლეტარებს და მათ მოკავშირეთ—ღარიბ და საშუალო გლეხობას—კიდევ უფრო მედგრად შემჭიდროვდეს პარტიის დროშის გარშემო, იმ დროშის, რომელიც ამ ათი წლის წინად აფრიალდა როგორც პროლეტარული სოციალისტური რევოლიუციის დროშა.

ამხ. ტომსკის სიტყვა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მუშა და გლეხ-ქალთა ყრილობას მიესალმა ამხ. ტომსკი, რომელმაც სთქვა:

არ კმარა მარტო თქმა, რომ ქალი და კაცი გათანასწორებულია სახელმწიფო აპარატის ყველა ორგანოებსა და ყველა საფეხურებზე. საჭიროა ამ თანასწორობის უზრუნველყოფა და მისი შესრულება არა სიტყვით, არამედ საქმით. ყრილობამ უნდა სთქვას, და საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა დაადასტუროს, რომ უმთავრესი ამოცანა—ქალების დაწინაურება და უდიდესი ყურადღების დათმობა მათი კულტურული დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ეხლა, როდესაც ჩვენ ასე ხშირად ვლაპარაკობთ რაციონალიზაციის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს რაციონალიზაცია მარტო წარმოებასა და მრეწველობაში არ უნდა ხორციელდებოდეს. ჩვენს წინ დგას ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივი რაციონალიზაციის ამოცანა. უკვე ეხლავე მთელ რიგ საკითხებში ჩვენ ვეჩეხებით მუშათა კლასის საერთო დაბალ კულტურულ დონეს. ამიტომ პირველ რიგში გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს ქალის კულტურული დონის ამაღლება. უწინდელ დროს ყველა ქვეყნებში ქალი მუდამ ითვლებოდა ყველაზე ჩამორჩენილ, ყველაზე რეაქციონურ და კონსერვატიულ ელემენტად. ქალებს სთვლიდენ ასეთებად და არსებითად ეს მართალიც იყო. ისინი წარმოადგენდენ ყველა ოჯახურ, ყოფა-ცხოვრებითი და სხ. ტრადიციების მატარებლებს, ხოლო თუ დავახურდავებთ სიტყვებს „ბურჟუაზიული საზოგადოების ტრადიცია", დავინახავთ, რომ ეს ტრადიციები მდგომარეობდეს დრომოჭმულ შეხედულებებსა და ცრუმორწმუნეობაში. ჩემის აზრით, მუშათა კლასისა და გლეხობის ამოცანა—მუშაობის ისე განვითარება, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში ქალი ასეთვე გახდეს ტრადიციების მატარებელი. ეს ტრადიციებია: ოქტომბრის მონაპოვართა დაცვა უდიდესი სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, ბრძოლა ყოველგვარი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის გათავისუფლება, მსოფლიო რევოლიუციის გაჩაღება" (ადს).

ამხ. ვოროშილოვის სიტყვა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. მუშა და გლეხ-ქალთა სრულიად საკავშირო ყრილობის გახსნას მისალმებით წითელი არმიისაგან გამოვიდა ამხ. ვოროშილოვი, რომელმაც სთქვა:

„წითელი არმია არის პირველი და ერთად ერთი არმია, სადაც ქალები მამაკაცებთან თანასწორად მუშაობენ: ჩვენი უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი დაასრულა 8 ქალმა; წითელ არმიაში 72 ქალს უჭირავს საკომანდო—პოლიტიკური თანამდებობა; სამხედრო მფრინავთ შორის ქალებიც არიან. სამოქალაქო ომის დროს 29 ქალი, რომლებიც მამაკაცებთან ერთად იბრძოდენ, დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით.

აქ არაფერი საკვირველი არა არის რა, რადგან ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ქალი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის თანასწორუფლებიანი მონაწილე და, მაშასადამე, მამაკაცთან ერთად გაიზიარა ყოველი მშრომელის მოვალეობა—იარაღით ხელში საბჭოთა კავშირის დაცვა. კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ ომის შემთხვევისათვის ითვალისწინებს ქალთა სავალდებულო ჩაბმას მომქმედ ჯარების რიგებში სპეციალურ თანამდებობებზე, აქედან გამომდინარეობს, რომ დღეიდანვე მშვიდობიან პირობებში ქალები უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ საუკეთესოდ შეასრულონ ის საქმე, რომელსაც ომის დროს სახელმწიფო დააკისრებს მათ.

ამჟამად ჩვენში არსებობს მთელი რიგი საზოგადო ორგანიზაციები, რომლებიც ამუშავებენ თავდაცვის საკითხებს. ამ ორგანიზაციებს შორის ყველაზე მეტად გაიზარდა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ფართე მასების ჩაბმა თავდაცვისათვის სახელმწიფოს მომზადების საქმეში. მაგრამ ქალების მონაწილეობა ამ ორგანიზაციაში არა დამაკმაყოფილებელი. თუ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების სხვადასხვა წრეების შემადგენლობაში შემავალ ქალების რიცხვს შევადარებთ პროფკავშირებსა, პარტიასა და საზოგადო სამუშაოებში ჩაბმულ ქალების რიცხვს, დავინახავთ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების რიგებში ჩაბმულია ქალთა აქტივის მეტად უმნიშვნელო ნაწილი.

მე სრულად ვერ ამოვწურავ ქალის, მუშა და გლეხ-ქალის, საბჭოთა ქალის, რევოლიუციონერი ქალის, ახალი ცხოვრების მშენებელ ქალის როლს, როდესაც დაიწყება ომი. ათობით ათასი მამაკაცები წავლენ ფრონტზე, ქალები მათ შესცვლიან ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, ვატმანი, კონდუქტორი, შოფერი, ზეინკალი, ხარატი, მეკუზნავე, ადმინისტრატორი-ქალის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული წარმატებითი სამხედრო ოპერაციები ფრონტზე, ვინაიდან თანამედროვე ომი მთლიანად დამოკიდებულია ზურგის მუშაობაზე.

დაბოლოს, მრავალი ქალი იმსახურებს მოქმედი არმიის რიგებში. ამნაირად ომის მძიმე განსაცდელის ჟამს ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ქალისაგან. რომ მოვემზადოთ ამ დიდ საქმისათვის, საჭიროა ეხლავე სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხებს და არა რეზოლიუციებით, არამედ ყოველდღიური წვრილმანი მუშაობით გადავჭრათ ისინი. ნაკლები რეზოლიუციები და მეტი წვრილმანი მუშაობა ჩვენი დიდი კავშირის ყველა მივარდნილ ადგილებში ყველა კუთხეში. ეს წვრილმანი საქმეები ერთად აღებულნი მოგვცემენ უდიდეს შედეგს".

სახელმწიფო აპარატის გამარტივება

(საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალების მიხედვით)

სახელმწიფო აპარატის გამარტივება, მისი გაჯანსაღება და შემოკლება, ზედმეტი ხარჯების მოსპობა, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება ადვილად შეძლება განხორციელდეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ მუშაობას საკმაო ყურადღებით ეპყრობიან თვით დაწესებულებანი და მისი ხელმძღვანელნი, როცა ისინი თვითონ იჩენენ ინიციატივას და სავსებით ახორციელებენ უმაღლესი ორგანოების დადგენილებებს და დირექტივებს.

ვინც ამას გვერდს აუვლის, ვინც ცდილობს აიცილოს პასუხისმგებლობა, უმოქმედოთ არის „ელის" მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ის ჩადის ბოროტმოქმედებას და ფაქტიურად უარს აცხადებს პარტიული დირექტივების ცხოვრებაში გატარებაზე. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი ჩვენს დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევებს ვხედავთ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შორის, მაგრამ ამასთანავე კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ მოვლენათა რიცხვი უკანასკნელ ხანებში თანდათან კლებულობს, რის სათანადო მაგალითებიც უკვე აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

რაციონალიზაციის გატარების მიზნით, საქ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოჰყვეს სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა შემდეგ დაწესებულებებში: ფინსახკომში, განათლების სახალხო კომისარიატში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში კურორტთა სამმართველოში, სახმედვაჭრობაში. მალე დამთავრდება მუშაობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას სამმართველო აპარატის გაჯანსაღებისა და მისი რაციონალიზაციისათვის მუშაობაში ხელს უწყობდენ ზოგიერთი დასახელებული დაწესებულებანი და თვითონ იღებდენ უშუალო მონაწილეობას საქმის დაყენების გაუმჯობესებაში. მაგალითად, განათლების და ფინანსთა სახალხო კომისარიატში თვითონ დაწესებულებებმა ჩაატარეს დიდი მუშაობა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექ. მიერ გამოყოფილი კომისიის ყველა გადაწყვეტილებანი დიდის კმაყოფილებით მიიღეს.

ზემოხსენებულ ორგანოებში ჩატარებული მუშაობა გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს სამმართველო და ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების მხრივ და საერთო აპარატის რაციონალიზაციის დარგში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შტატები შემცირებულია 36 პროცენტით, რაიც იძლევა 24.000 მანეთის მომჭირნეობას წელიწადში, გარდა ამისა შემცირებულია სხვა სამეურნეო ხარჯებიც 3.000 მანეთის რაოდენობით. ამგვარად ხარჯები 1926—27 წელთან შედარებით შემცირებულია 27.000 მანეთის რაოდენობით.

კურორტთა მთავარ სამმართველოში წლიური ხარჯები შტატის შესანახად შეადგენდა 69.809 მანეთს, ხოლო ხარჯების შემცირების შემდეგ მიღებულ იქნა 8.192 მანეთის მომჭირნეობა წელიწადში. გარდა ამისა, კურორტთა მთავარ სამმართველოს მიეცა წინადადება შეამციროს სხვა ხარჯები 11.093 მანეთის რაოდენობით წელიწადში. ხარჯების საერთო შემცირება შეადგენს 19,285 მანეთს, ე. ი. 18,5 პროც.

სახმედვაჭრობაში შტატის შესანახი ხარჯები შემცირებულია 23,558 მან. 94 კაპ. რაოდენობით, ე. ი. 30,1 პროცენტით. ამასთანავე სახმედვაჭრობას მიეცა წინადადება შეამციროს ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები 35 პროცენტით 1927 წელთან შედარებით, რაიც მოგვცემს 10000 მან. 68 კაპ. მომჭირნეობას წელიწადში. სულ ხარჯების შემცირებითა და შტატების შემოკლებით გამოწვეული მომჭირნეობა წელიწადში შეადგენს 34.560 მან. ანუ 30,4 პროც.

განათლების სახალხო კომისარიატის შტატებში ირიცხებოდა სულ 146 კაცი. ბიუჯეტის თანხმად შტატის შესანახად გადადებული იყო 139,844 მანეთი. ფაქტიურად კი კომისარიატმა დახარჯა 195.000 მანეთი, (გარდა სოციალური დაზღვევის და ადგილკომის ხარჯებისა).

ამგვარად შტატების შესანახად დახარჯული იქნა 55.000 მანეთით მეტი, ვიდრე გადადებული იყო ბიუჯეტით, რაიც აიხსნება იმ გარემოებით. რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხელფასი მეტად დაბალი იყო და, ვინაიდან საჭირო იყო კვალიფიციური მუშაკების გაგზავნა ადგილობრივ, განათლების სახ. კომისარიატი იძულებული შეიქნა გაედიდებია სამუშაო ხელფასი ზოგიერთი თანამშრომლებისათვის.

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების დარგში. მაგალითად, ბიუჯეტით გადადებული იყო 34.676 მან., ფაქტიურად კი დაიხარჯა 52.000 მან. ზედმეტი ხარჯი შეადგენს 17.224 მან. ამგვარად, სულ შტატის შესანახად და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 176.620 მანეთი, ფაქტიურად კი დაიხარჯა 247.000 მან. ზედმეტი ხარჯები როგორც ხელფასის ისე ადმინისტრატიულ-სამეურნეო დარგში შეადგენს 70.386 მანეთს. ხარჯების 20 პროც. შემცირებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ განათლების სახალხო კომისარიატს თავისი შტატის შესანახი და ადმინისტრატიული ხარჯები 19 პროცენტით შეემცირებია 1926-27 წელთან შედარებით. ამგვარად, განათლების სახალხო კომისარიატი 1927-28 საბიუჯეტო წელში იძულებული გახდებოდა თავისი ხარჯები სამუშაო ხელფასისა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების დარგში განესაზღვრა 141.446 მანეთით, და, მაშასადამე, 1926-27 წელში ფაქტიურად გაწეულ ხარჯებთან შედარებით ხარჯები უნდა შემცირებია 105.554 მანეთით. ცხადია, რომ ასეთი შემცირების გატარება უცებ, მექანიკურად შეუძლებელი იყო განათლების სახალხო კომისარიატისათვის, რის გამოც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად გადაათვალიერა განათლ. სახ. კომისარ. აპარატის მთელი სისტემა მისი რაციონალიზაციის მიზნით. ამ გადათვალიერების შემდეგ შემცირებული იქნა მთელი განყოფილებები და ქვე-განყოფილებები, შემცირებული იქნა ზედმეტი მიმოწერა, გატარებულ იქნა თანამშრომელთა მაქსიმალური დატვირთვა, განყოფილებათა გაერთიანება და სხვა. ყველა ამ ღონისძიებებმა მოგვცა საშუალება შეგვემცირებია აპარატი 59 თანამშრომლით. შტატში დარჩა 87 კაცი, წინაამდეგ 146 კაცისა, ე. ი. შტატები შემცირდა 40,2 პროც., რაიც მოგვცემს 65.180 მან., ანუ 33,4 პროც. მომჭირნეობას წელიწადში.

ხელოვნების მთავარი კომიტეტი და მთავარი სამეცნიერო საბჭო გაერთიანებულია, რის გამოც მიღებულია სათანადო მომჭირნეობა. გარდა ამისა, შემცირებულია ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები და დაყვანილია 40.000 მანეთამდე. 1926-27 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით შემცირება შეადგენს 77 პროცენტს. ხარჯების შემცირება 1926-27 წელში ფაქტიურად გაწეულ ხარჯებთან (სამუშაო ხელფასი და ადმინისტრ.-სამ. ხარჯები) შედარებით შეადგენს 105 მანეთს ანუ 42,5 პროცენტს.

საქმის წარმოება განათლების სახალხო კომისარიატში ხდებოდა საბარათო სისტემით, მაგრამ ამ სისტემას დადებით მხარეებთან ერთად ჰქონდა უარყოფითი მხარეებიც, მაგ., საქმის გაპიანურება და სხვა. ამის გამო აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ გაძლიერდეს კონტროლი თვით დაწესებულებაში.

განათლების სახალხო კომისარიატში ადგილი ჰქონდა აგრეთვე თანამშრომლების უხეშ მოპყრობას მთხოვნელთადმი. ამგვარ ცნობებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია იღებდა წინეთაც. ცხადია, რომ განათლების სახალხო კომისარიატი ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს. ბიუროკრატები „სხედან" სხვა დაწესებულებებშიაც. ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევები, როცა მუშები, გლეხები და სხვა მოქალაქენი მთელი კვირეობით უცდიან ჩვენ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ნახვას და ხშირად ამის მიზეზია არა ხელმძღვანელი, ან სხვა პასუხისმგებელი ამხანაგები, არამედ ის პატარა და დიდი ბიუროკრატები, რომელნიც მთხოვნელებს ასეთი სიტყვებით ისტუმრებენ: „ნახვა არ შეიძლება".

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიაქცია განათლების სახალხო კომისარიატის ყურადღება ამ გარემოებას. აუცილებელია, რომ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ამას.

ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირებასთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუშაობაში ჩააბა პროფკავშირები, რომელთა წარმომადგენლნი მონაწილეობას იღებენ რაციონალიზაციისათვის წარმოებულ მუშაობაში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ეკონომკომისიები თითქმის ყველგან იჩენენ უმოქმედობას და სათანადო დახმარებას არ უწევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციას მის მიერ წარმოებულ მუშაობაში.

ა. დოლიძე.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. ა. კ. საოლქო საკონტრ. კომისიის პლენუმი

10 ოქტომბერი, დილის სხდომა

ათ ოქტომბრის დილის სხდომაზე ამხ. ლუკაშინის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ვ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. —

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და ცენტ. საკონტროლო კომისიის მეექვსე გაერთიანებული პლენუმის შემდეგ და ამხ. პლიშაკოვის (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ, საკონტ. კომისია), ამხ. ლომთათიძისა (საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკ. კომისია), ამხ. ამირხანიანის (სომხეთის კ. პ. ბ) ცენტ. საკ. კომისია) და ამხ. გუზდინის (ამ. ლ. ქ. კ: ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საკ: კომისია) თანამოხსენებანი.

მოხსენებისა და თანამოხსენებების გარშემო გამოსულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა—ლომჯავამ, კაგალოვმა, ვატეკმა, არეშიანმა, ტატიანმა, გრიგორიანმა, ვნიდოვმა, ჯაფაროვმა, აფრაფიანმა.

საღამოს სხდომა

პლენუმის საღამოს სხდომაზე ამხ. ლუკაშინის გამოსვლისა და ამხ. სტურუას საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ვარდანიანის მოხსენება 15 პროცენტიანი შემცირებისა და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირების განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებების მიღების შესახებ. —

11 ოქტომბერი დილის სხდომა

11 ოქტომბრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ვარდანიანის მოხსენების გარშემო, (ადმინისტრატიულ - მმართველობითი ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ) კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა—ჩხენკელმა, ივანოვმა, ჯაფაროვმა, რადუშევმა, ნოე ლეჟავამ და ლუკაშინმა.

აზრთა გაცვლა გამოცვლის დროს ამხანაგებმა სავსებით შესაძლებლად სცნეს 20 პროც. შემცირების გატარება იმ პირობით, თუ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელნი ყურადღებით მოეკიდებიან ამ დირექტივის განხორციელებას და თუ თავიდან იქნება აცილებული ის ნაკლულოვანებანი, რომელიც აბრკოლებდენ შარშანდელი დირექტივის განხორციელებას 15 პროცენტიანი შემცირების შესახებ.

თავის მხრით საკამათოთ გამოსული სამეურნეო მუშაკებიც აღნიშნავდენ 20 პროცენტიანი შემცირების გატარების საჭიროებას და ამავე დროს ჩამოსთვლიდენ მათ მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებებს ამ დირექტივის განსახორციელებლად.

ამხ. ლუკაშინმა განაცხადა, რომ დირექტივა 20 პროცენტიანი შემცირების შესახებ წარმოადგენს ჩვენი მოთხოვნილების მინიმუმსა, რომელიც სავსებით უნდა გატარდეს გასული წლის დირექტივის გატარების მიუხედავათ 15 პროცენტიანი შემცირების შესახებ.

მუშაობა 20 პროცენტიანი შემცირების გასატარებლად მთლიანად უნდა დაეკისროს სამეურნეო მუშაკებს.

მ. გ. ინსპექციის ამოცანას ამ დარგში შეადგენს თვალყურის დევნება და იმის შემოწმება, ტარდება თუ არა ცხოვრებაში ეს დირექტივა.

რეზოლიუცია

1. საქ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. საოლქო-საკონტროლო კომისია, მოისმინა რა მან ამხ. სტურუას მოხსენება და რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიებისა და საკ. ახ. ლენ. კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის საკონტროლო კომისიის თანამოხსენება შინაპარტიული და შინასაკავშირო მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლის არაჩვეულებრივად გამწვავებას ოპოზიციის მხრივ, წინააღმდეგ მისი 8 აგვისტოს განცხადებისა.

2. პლენუმი ადასტურებს, რომ ეს ბრძოლა უკანასკნელ ხანებში იღებს განსაკუთრებულ ანტიპარტიულ ხასიათს, რაც პირდაპირ ემუქრება პარტიის მთლიანობას.

3. ოპოზიციის მასალების გამრავლება და გავრცელება საკუთარ არალეგალურ აპარატის საშუალებით, ცალკე ჯგუფების შედგენა, გამხრწნელი ფრაქციული მუშაობის გადატანა კომკავშირის რიგებში, კავშირის გაბმა უპარტიოებთან და მათი გამოყენება პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში—არის ოპოზიციის გარკვეული ნაბიჯი, რომელიც მიმართულია ახალი პარტიისათვის საფუძვლის ჩაყრისაკენ.

4. ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისია ასეთ მოქმედებას სთვლის დანაშაულებრივად განსაკუთრებით დღევანდელ მომენტში, როდესაც პარტია და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ემზადებიან მე-15 პარტყრილობისათვის და როდესაც მსოფლიოში ერთად ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს ემუქრება პირდაპირი ინტერვენცია ბურჟუაზიისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოების მხრივ.

5. პლენუმი აბსოლიუტურად საჭიროდ სთვლის ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დირექტივების უცვლელად და მტკიცედ გატარებას ცხოვრებაში, ფრაქციულობის აღმოსაფხვრელად და მთლიანობისა და მტკიცე დისციპლინის დასაცავად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებში.

6. ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი სავსებით იწონებს ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის, რესპუბლიკანურ ცენტრალურ საკონტროლო კომისიების და საკ. ახ. ლენ. კომ. კავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის ღონისძიებებს პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთლიანობის დაცვის საქმეში. ამასთან ერთად პლენუმი სთხოვს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რათა მათ გადამჭრელი ზომები მიიღონ ოპოზიციონერების ლიდერების წინააღმდეგ რომლებიც, მიუხედავათ თავისი დაპირებისა, მაინც განაგრძობენ გამხრწნელ მუშაობას პარტიაში.

7. ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისია მოუწოდებს ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციებს აწარმოონ უფრო სისტემატიური და მტკიცე მუშაობა იმ ოპოზიციის იდეური შინაარსის ახსნა-განმარტებისათვის, რომელიც კიდევ უფრო შორს წავიდა თავისი სოციალ-დემოკრატიული გადახრის გზაზე.

8. მიაქცევს რა ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობებისათვის მზადებაზე, ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი მოუწოდებს მათ ძირშივე აღკვეთონ ოპოზიციის ყველა ცდები, რომლებიც მიმართული იქნებიან ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დირექტივების ჩაშლისაკენ, იმ დირექტივების, რომლებიც შეეხებიან ყრილობის მოწვევისა და მთლიანობის შესახებ პარტიის გადაწყვეტილებებს.

პარტია არ დაუშვებს თავის რიგებში ანტი-ლენინურ გამოსვლებს

პარტიის გამთიშველები უნდა აილაგმონ

ბაქო, 11 ოქტომბერი. ყველა უჯრედები სასტიკად ჰკიცხავენ ოპოზიციის მოქმედებას, რომელიც ცდილობს განხეთქილების შეტანას პარტიის რიგებში, ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა თავის გადაწყვეტილებებში ღირსეულად შეაფასეს ტროცკის უკანასკნელი გამოსვლები, ფარული ანტიპარტიული სტამბის აღმოჩენა და ადგილობრივ ოპოზიციონერთა ჯგუფის საქმიანობა, რაც გამოიხატა არალეგალურ უჯრედის მოწყობაში. ესალმებიან რა ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის საკ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, მოსკოვის საკ. კომისიის და აზერბ. კომ. პარ: (ბ) ცენ. საკ. კომ: გადაწყვეტილებებს, უჯრედები აცხადებენ, რომ ფრაქციული მუშაობის ფაქტები, რასაც დღემდი ჰქონდათ ადგილი, წარმოადგენენ ჩვენი პარტიის ისტორიაში გაუგონარ ფოლადისებურ ბოლშევიკურ ტრადიციების დარღვევას, რასაც პარტია ვერ მოითმენს. არას დროს პარტიის მთლიანობა არ იყო ისე საჭირო, როგორც ეხლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა იმზადება თავდაცვისათვის. პარტყრილობამ უნდა აიძულოს ოპოზიციის ბელადები დაემორჩილონ პარტიას ან და გარიცხოს ისინი პარტიიდან,—ნათქვამია ერთ-ერთ რეზოლიუციაში.—ჩვენ მოვითხოვთ ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან უსასტიკესი ზომების (პარტიიდან გამორიცხვამდეც კი) მიღებას ყველა ოპოზიციონერების, არა მარტო უბრალო წევრების, არამედ მათი ლიდერების წინააღმდეგ არც ერთი ხმა ოპოზიციას მომავალ პარტიულ დისკუსიაში,—ნათქვამია სხვა რეზოლიუციებში. ოპოზიციის ცდა, რომ ჩაშალოს საკ. კომ. პარ. (ბ) დადგენილება, ძირშივე უნდა იქნას აღმოფხვრილი დისკუსიის ჩატარების წესით. ფრაქციებს, გამთიშველებს და დეზორგანიზატორთ უნდა დაუპირდაპირდეს ლენინის ფოლადისებური მთლიანობა.

ცაგერი

სათემო პარტკონფერენციის მიერ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის გამო მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„კონფერენცია ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს თავაშვებულ ოპოზიციონერების წინააღმდეგ და პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან კატეგორიულად მოითხოვს ოპოზიციის მუშაობის შეწყვეტას, მუშაობის, რომელიც ხრწნის პარტიას და ასუსტებს პროლეტარიატის დიქტატურას". (ადს).

ჭიათურა

6 ოქტომბერს შესდგა ს. კ. პ. ჭიათურის რაიორგანიზაციის სხდომა. სხდომაზე ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ვ. ტალახაძე.

ცნობამ ფარული სტამბის აღმოჩენის შესახებ სასტიკი აღშფოთება გამოიწვია პარტ-ამხანაგებში — კამათში გამოდიოდენ მუშები, რომლებიც აღნიშნავდენ, თუ როგორი სიამოვნებით იხსენიებენ ყოფილი მრეწველები და გაკოტრებული აზნაურები ოპოზიციას, მათი მუშაობით იმედი უღვივდება ყოველგვარ ნაძირალს, რომელიც ვერ ითმენს საბჭოთა ხელისუფლებას.

შემდეგ კრებამ ერთხმად, — (4 თავი შეიკავა) მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ვ. ტალახაძის მოხსენება შინა-პარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციის უკანასკნელი ფრაქციული გამოსვლების შესახებ, ჭიათურის რაიონის კომუჯრედების წევრთა და კანდიდატთა კრება სრულიად უერთდება ც. ს. კ. დადგენილებას არალეგალური სტამბის მომწყობთა გამორიცხვის შესახებ და ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიის მიერ ტროცკის და ვუიოვიჩის გარიცხვას კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან ანტიპარტიულ და ფრაქციულ მუშაობისათვის.

კრება აღნიშნავს, რომ დღევანდელი მომენტი წარმოადგენს ჩვენი მტრების ძალთა გაერთიანებისა და ჩვენზე თავდასხმის მზადების ხანას, როცა საერთაშორისო რეაქცია ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძალთა მობილიზაციას, ამ დროს შიგნით, ჩვენი პარტიის რიგებში არსებობენ ისეთი წევრები, რომლებიც ეწევიან პარტიის წინააღმდეგ პროპაგანდას, ახასიათებენ ჩვენს პარტიას ტერმიდორიანულად და კულაკურად,რითაც სახელს უტეხენ საკავშ. კომ პარტიას.

ცალკე რაზმები ოპოზიციისა არ სჯერდებიან ასეთ დეზორგანიზატორულ მუშაობას და ანტი პარტიულ ელემენტებთან შეკავშირებით აწყობენ სტამბას ფარული დოკუმენტებისა და ცრუ ცნობების გასავრცელებლად.

ყოვლად საზიზღარია უკანასკნელი გამოსვლა პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვისა და სხვა ოპოზიციის ლიდერების, რომლებიც სცდილობენ ასეთ უმსგავსო, ანტი - რევოლიუციონური მუშაობის გამართლებას და მოითხოვენ არალეგალური სტამბის მომწყობ ანტი - საბჭოთა უპარტიო ინტელიგენტების განთავისუფლებას, რომლებიც თავიანთი კონტრ - რევოლიუციონურ მოქმედებისათვის იქნენ დაჭერილნი.

კრება აღნიშნავს, რომ პარტიის წინააღმდეგ მომუშავენი ვერ ასცდებიან ანტიპარტიულ და კონტრ - რევოლიუციონურ ელემენტებთან ნებით თუ უნებლიეთ დაახლოვებას და კავშირს, რომ მათი ხვალინდელი ნაბიჯი კიდევ უფრო მიღებული იქნება და საზარალო რევოლიუციისათვის, ამიტომ მოუწოდებთ მათ, ვისაც კიდევ შერჩენია ბოლშევიკურ - ლენინური პატივისცემა ჩვენი პარტიის მთლიანობისა და მის ურყევ რიგებისადმი, რათა დაანებონ თავი გამთიშველ მუშაობას და დაუბრუნდენ ლენინურ გზას, ხოლო ისინი, ვინც ამ გზას სამუდამოთ ასცდენ, ვინც თავის ჯგუფურ ინტერესებს პარტიაზე მაღლა აყენებს და გამთიშველ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ არ შესწყვეტს, თვითონვე დააყენებენ თავს თავს პარტიის გარეშე, ასეთები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გარიცხული ბოლშევიკური პარტიის რიგებიდან.

ოზურგეთი

4 ოქტომბერს შესდგა გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მაზრის პარტ - აქტივის თანდასწრებით, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. გურგენიძის ინფორმაცია, ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ (არალეგალური სტამბის შექმნა მოსკოვში და სხვა). მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ ამ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო 40-დ ამხანაგი, მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება:

მოისმინა რა ცნობა ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ (არალეგალური სტამბის შექმნა და სხვა). აქტივი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს, ოპოზიციის მორიგ დეზორგანიზატორულ მუშაობის გამო. ფრაქციული ჟინიანობით გახელებული ოპოზიცია მივიდა არალეგალურ სტამბის მოწყობამდე. ამ საქმეში მან კავშირი დაიჭირა აშკარა ანტი - საბჭოთა ელემენტებთან, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე დახცენ ძირს პროლეტარიატის დიქტატურა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ოპოზიციის ასეთ „საქმიანობას" შეუძლია შეასუსტოს სოციალისტური მშენებლობა და ამრიგად, ძირი გამოუთხაროს პროლეტარიატის დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში.

აქტივი სავსებით სწორად სთვლის მოსკოვის კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებს არალეგალურ სტამბის მომწყობთა მიმართ. აქტივი სავსებით სწორად სთვლის კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის ზომებს ამხ. ტროცკის და ვუიოვიჩის მიმართ.

აქტივი გადაჭრით მოითხოვს ხელმძღვანელ ორგანოებისაგან, რათა მათ მიიღონ უსასტიკესი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც ღებულობს „პოლიტიკურ პასუხისმგებლობას" არალეგალურ სტამბის მოწყობის საქმეში.

5 ოქტომბერს შესდგა ქ. ოზურგეთის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. გურგენიძემ გააკეთა მოხსენება ოპოზიციის უკანასკნელი საქციელის შესახებ.

კომუჯრედების საერთო კრება სავსებით და მთლიანად უერთდება მაზრის აქტივის რეზოლიუციას. მოითხოვს არალეგალურ სტამბის მომწყობ „პოლიტიკურ პასუხისმგებლების" წინააღმდეგ გადამჭრელ ზომების მიღებას.

ოზურგეთის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის იბრძოლებს ლენინური პარტიის და კომინტერნის მთლიანობისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ყველა წევრს

თბილისის ორგ. სარაიონო კონფერენციები

თბ. კომიტეტი იუწყება, რომ სარაიონო პარტიული კონფერენციები მოწვეული იქნება:

ლენინის რაიონში — ა.-წ. 13 ოქტომბერს.
მე-2 რაიონში — " " 15 "
მე-3 რაიონში — " " 18 "
მე-4 რაიონში — " " 20 "

თბილისის პარტკონფერენცია

თბილისის პარტიული კონფერენცია იწყება ა.-წ. 25 ოქტომბრიდან

თბილისის პარტიულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმა: პარტიის 25 ნამდვილ წევრზე 1 დელეგატი და 20 კანდიდატზე — 1 დელეგატი სათათბირო ხმით.

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში,
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში,
3. საქართველოს სახალხო მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები,
4. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი უახლოესი ამოცანები,
5. არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

მეოთხე რაიკომის პლენუმზე

გუშინ, 11 ოქტომბერს შესდგა მე-4 რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გვანცელაძე, ჩვენს რაიონში თითქმის უკვე დამთავრდა უჯრედების ბიუროების გადარჩევა—ამბობს ის.

ზოგიერთ უჯრედებში ოპოზიციონერები შეეცადენ თავიანთ კანდიდატების გაყვანას, მაგრამ მათი ზრახვები—პარტიულ მასების ერთსულოვნობით ძირშივე იყო მოსპობილი.

ბიუროების გადარჩევის დროს, უჯრედებზე დასწრება 76 პროცენტით აღწევდა. თვითეულ უჯრედში კამათში საშუალოდ მონაწილეობს იღებდა 8. შეკითხვები შემოდიოდა საშუალოდ 6 უჯრედებში.

ბიუროების შემადგენლობა 60 პროც. განახლდა, მდივნების გადახალისება 20 პროც. ამ ორი თვის წინად—მთელ რიგ უჯრედებში—მოხდა ბიუროების გადარჩევა. ამიტომ მდივნების გადახალისება შედარებით მცირე იყო. სოციალური მდგომარეობის მიხედვით უჯრედებში საერთოდ გაიზარდა მუშური შემადგენლობა 1,6 პროც., მუშა მდივნებისა კი 7.4 პროც.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კიკნაძემ, იაგნეტინსკიმ, ბობოხიძემ, ძორჩილაძემ, ფუნტიკოვმა, ჟუკოვმა, რუხაძემ, კატალევსკაიამ, ფომინმა, ხიმჩიამ, სეხნიშვილმა, ფესიუკმა, კუდრიავცევმა და სხვა.

ნ. ფ—ძე.

ლენინის რაიკომის პარტიულ კონფერენციის წინ

პარტგანათლება

პოლიტგანათლების ქსელის განვითარებას 1926—27 წ. ჰქონდა დიდი დეფექტები, როგორც ხელმძღვანელთა, ისე მსმენელთა შერჩევის მხრივ. უჯრედების მიერ გამოყოფილმა საკვალიფიკაციო კომისიებმა ვერ შესძლეს გამორკვეთ პარტიის წევრთა ცოდნის დონე და მხედველობაში ვერ მიიღეს რაიონის ისეთი სპეციფიური პირობები (ორთქლმავალთა ბრიგადები, ღამის სამუშაოები, მიმოსვლის სამსახური და სხვ.), რომელთაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა პოლიტსკოლების მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობაზე.

საკვალიფიკაციო სიების მიხედვით პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში და უმაღლეს საბჭოთა - პარტიულ სკოლაში მეცადინეობა უნდა ეწარმოებია 1062 კაცს, მაგრამ უკვე ოცინახევრის შემდეგ საჭირო გახდა ქსელის გადასინჯვა და სიებიდან ისეთი ამხანაგების გამორიცხვა, რომელთაც არ შეეძლოთ დასწრებოდენ პოლიტსკოლების მეცადინეობას. ასეთები აღმოჩნდა 387 კაცი, აქედან 340 კაცს თავისი სამსახურისა და მუშაობის ხასიათის გამო არ შეეძლოთ სიარული სკოლებში და მათთვის ადგილობრივ მოეწყო მეცადინეობა, 47 კაცი კი სრულიად იქნა განთავისუფლებული ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო. ამრიგად სიების გადათვალიერების შემდეგ აპრილში დარჩა 35 ერთეული, რომლებშიაც მეცადინეობდა 675 კაცი. სასწავლო წლის ბოლოს 35 სკოლიდან გამოშვება მოხდა 27 სკოლაში, დანარჩენი 8 სკოლა კი დაიშალა მსმენელთა არდასწრებისა და ზოგიერთ ხელმძღვანელთა დაუდევრობის გამო. პირველ საფეხურის 9 სკოლა დაამთავრა 127 მსმენელმა, მეორე საფეხურის 14 სკოლა—233, 4 უმაღლესი საბჭ. პარტსკოლა კი—76 მსმენელმა; სულ გამოშვებულია 486 კაცი. სკოლები ვერ დაამთავრა 189 კაცმა, რაც უდრის 27 პროცენტს.

გამოშვებულთაგან უპარტიოები შეადგენს 12 პროც., ქალები 6 პროც.

ზემოხსენებულ პირობების გამო პარტგანათლების საკითხს ლენინის რაიონში 1927—28 წ. ეძლევა დიდი მნიშვნელობა.

მოსამზადებელ მუშაობას შეუდგნენ უკვე 1927 წლის ივლისში. ეს მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ უჯრედებში ჩატარდა მოხსენებები პოლიტგანათლების ამოცანების და პრინციპების შესახებ და უჯრედების მიერ გამოყოფილ იქნა საკვალიფიკაციო კომისიები ამ კომისიების ამოცანას შეადგენდა პირველ საფეხურის სავალდებულო ქსელს გარდა ჩაება ამხანაგები მეორე საფეხურისა და უმაღლ. საბჭ. პარტსკოლების არასავალდებულო ქსელშიაც. 1927—28 სამსწ. წელში განზრახულია პოლიტგანათლების ქსელში ჩაბმულ იქნას პარტიის წევრთა და კანდიდატთა შემდეგი რაოდენობა. პირველ საფეხურის სკოლებში — 342 კაცი, რომელთაგან კომპარტიის წევრებია 190, კანდიდატი — 131, მუშა — 223. სულ 13 ერთეული. მეორე საფეხურის სკოლებში — 442 კაცი. აქედან პარტიის წევრი — 361, კანდიდატი—76. მუშა — 275; სულ 16 ერთეული. უმაღლ. საბჭ. პარტსკოლებში — 374 კაცი, აქედან პარტიის წევრი — 324, კანდიდატი — 43, მუშა—230.

ქვედა საფეხურის უჯრედების აქტივისათვის განზრახულია სპეციალურ წრეების გახსნა, როგორიცაა ლენინიზმის შესწავლის წრეები, მიმდინარე პოლიტიკის წრეები, პროპაგანდისტთა მოსამზადებელი წრეები და სხვ. სულ შექმნილი იქნება 10 წრე, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებს 190 კაცი, აქედან პარტიის წევრი—178, კანდიდატი — 12, მუშა—108.

აგიტაცია

საკალენდრო დღესასწაულების ჩატარების გარდა სააგიტაციო მუშაობას საფუძვლად ედო ფართო განმარტებითი კამპანიის ჩატარება ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა, მომჭირნეობის რეჟიმისა და სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლების შესახებ. ამ მიზნით წარმოებებში ჩატარდა მოხსენებები ამ საკითხების შესახებ და ამას გარდა მუშათა კრებებზე სპეციალურად იქნა წაკითხული „ზაკტპო"-ს მოხსენება საცალო ფასების 10 პროცენტით შემცირების შესახებ. ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაცია, რომელიც 1927 წელში სუსტად იყო დაყენებული, ამჟამად ღებულობს დიდ მნიშვნელობას და ამიტომ სწარმოებს სპეციალური მუშაობა მის გასაუმჯობესებლად.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

მთელი კულტმუშაობა, ცალკე მომენტების გამოკლებით, სწარმოებს მუშათა კლუბებში და ნაწილობრივ წითელ კუთხეებში. მაგრამ ჩვენ კლუბებს არ შეუძლია დააკმაყოფილონ მუშათა მასის კულტურული მოთხოვნილებები, ვინაიდან ეს კლუბები დაძველებულია და მცირე ხალხს იტევს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზაფხულო მუშაობას კლუბებში, რისთვისაც, კავშირის საშუალებით, გატარებულ იქნა სპეციალური ღონისძიებები, როგორიცაა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ბაღის და ნაწილობრივ პლეხანოვის სახელობის კლუბის ხელახალი დაგეგმვა. ამან ძლიერ შეუწყო ხელი ზაფხულში კულტმუშაობის სათანადო დონეზე დაყენებას. ამხ. ორჯონიკიძისა და პლეხანოვის სახელობის კლუბებში ამჟამად გაერთიანებულია 4.906 კაცი. აქედან მუშა 2.173, მოსამსახურე 2.002 და ქალი 733

სასკოლო ასაკზე უმცროს ბავშვების საჭიროებისათვის მოეწყო ნორჩ მსმენელთა თეატრი, რომელმაც კარგი შედეგები გამოიღო.

ნებაყოფლობითი საზოგადოებანი

ყველაზე უფრო უნარიან და ცოცხალ ორგანიზაციებს წარმოადგენენ: ქალაქის და სოფლის დამხმარე საზოგადოება, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება და რემედასი. დიდი მუშაობა ჩაატარა ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოებამ გლეხებისა და მუშების კავშირის გასაუმჯობესებლად. ამ ორგანიზაციაში ამჟამად ითვლება 4.528 წევრი. აქედან მუშებია 2.655, ან 59 პროც. და მოსამსახურე—1486, ან 33 პროც. ამ საზოგადოების უჯრედებმა მოახდინეს 187 მოკლევადიანი და 28 გრძელვადიანი მოგზაურობა სოფლად. რაისაბჭომ საშეფო სოფლებში გადაგზავნა 1500 წიგნი, მოწყობილია 8 სამკითხველო და 9 სალიკვიდაციო პუნქტი და აგრეთვე მოეწყო მთელი რიგი წარმოდგენები და კინო-სეანსები. მოწყობილია ერთი სამანქანო ამხანაგობა. აგრეთვე დაწყებულია მუშაობა ერთ სოფელში სატრაქტორო ამხანაგობების მოსაწყობად. საშეფო კამპანიამ ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები, ვინაიდან დარიგებულ იქნა 800 დღიური, მაგრამ მათი დაბრუნება ძლიერ სუსტად მიმდინარეობს. ამის მიზეზია ის, რომ დროზე არ იყო მხედველობაში მიღებული ამ კამპანიის ხასიათი და პარტუჯრედებმა საკმაო ყურადღება ვერ მიაქციეს ამ საკითხს.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობა განსაკუთრებით გაცხოველდა თავდაცვის კვირეულის ჩატარების დროს. თავდაცვის კვირეულამდე ამ ორგანიზაციის ჰქონდა 30 უჯრედი, კვირეულის შემდეგ კი აქვს—32. თავდაცვის კვირეულამდე ამ საზოგადოებაში ირიცხებოდა 1.028 წევრი, კვირეულის შემდეგ კი—5.229. თავდაცვის კვირეულის დროს 18 მთავარ წარმოებაში შეგროვდა 3.639 მან. 79 კაპ. სხვადასხვა თვითმფრინავების ასაგებად. მოეწყო 8 სამხედრო წრე, 4 კუთხე, 1 სამედიცინო წრე და 5 ტირი. რემედასის ორგანიზაციაში ითვლება 6.103 წევრი. აქედან მუშებია 2.679, მოსამსახურე—3011, დანარჩენი—132. მოსწავლე 281. შემჩნეულია ორგანიზაციის რაოდენობრივად შემცირება მუშების რიცხვის ხარჯზე, რაც მოითხოვს მეტი ყურადღების მიქცევას საწარმოო უჯრედებზე.

კედლის გაზეთები და მუშკორთა წრეები

კედლის გაზეთების მუშაობის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს კედლის გაზეთების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლა. მოხდა კედლის გაზეთების მუშაობის გამოკვლევა და მიღებულ იქნა დირექტივა მუშკორთა წრეების მოწყობის შესახებ. ამჟამად კედლის გაზეთებს უშვებენ ეს წრეები. კედლის გაზეთების მუშაობას ჯერ კიდევ დიდი ნაკლი აქვს. არ სწყდება წარმოების ცხოვრება, სათანადო ყურადღება არ ექცევა ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და მომჭირნეობის რეჟიმს. კედლის გაზეთები უმთავრესად ეხებიან ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ხასიათის საკითხებს. ზოგიერთი კედლის გაზეთები ათავსებენ მხოლოდ ლექსებს, როგორც მაგალითად საქონლის საწყობის კედლის გაზეთი.

ი. ფორჩულაძე.

ირლანდიის პოლიტიკური პარტიები

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ირლანდიაში შემდეგი პარტიები იბრძვიან პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად: კონსტიტუციური პარტია (მთავრობის), რესპუბლიკელები (დევალერისტები), მუშათა პარტია, ირლანდიის მუშათა ლიგა, დამოუკიდებელნი ფერმერები, ნაციონალური ლიგა, რედმონდისტები) და სინ ფეინები.

უკანასკნელმა პოლიტიკურმა კრიზისებმა და განსაკუთრებით უკანასკნელმა საარჩევნო კამპანიამ თითქმის სრულიად მოსპო პატარა პარტიები—ფერმერები და ნაციონალური ლიგა, რაც შეეხება, დამოუკიდებლებს ისინი არსებითად არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიას: ესენია განცალკევებული პირები. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ისინი სავსებით ითქვიფებიან მთავრობის პარტიაში.

ნაციონალური ლიგა (რედმონდისტები) მხოლოდ ნაშთია დიდი ლიბერალური პარტიისა: მას სრულიად დაკარგული აქვს გავლენა.

სინ ფეინების პარტია, რომელმაც თავი შეიკავა უკანასკნელ საარჩევნო კამპანიაში, სავსებით დამარცხებული არ არის, როგორც შეიძლება კაცს შორიდან ეჩვენოს. მას კიდევ ღრმა ფესვები აქვს წვრილ გლეხკაცობასა და მუშებში. მაგრამ სინ ფეინების უკიდურესმა ნაციონალისტურმა პროგრამამ, მისმა სანტიმენტალურმა რევოლიუციურმა იდეალიზმმა მუშები თანდათან დააშორა ამ პარტიას. მაგრამ მათ ენერგიული და უშიშარი მებრძოლები ჰყავთ, რომელნიც შურისძიების გრძნობით არიან გამსჭვალულნი.

თანდათან ირლანდიის პოლიტიკა კლასობრივ კალაპოტში დგება: ერთი მხრივ ბურჟუაზიული პარტიების კონცენტრაცია ხდება, ხოლო მეორე მხრით პროლეტარულისა.

ამ წუთში დიდი პოლიტიკური ბრძოლა სწარმოებს ორ ბურჟუაზიულ პარტიას შორის, რომელნიც ხელისუფლებისთვის იბრძვიან. მუშათა პარტიამ მესამე ხარისხოვანი როლი ითამაშა უკანასკნელი კრიზისის დროს: ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ის ორგანიულად სუსტია, რომ მისი პოლიტიკა არ არის ნამდვილი პროლეტარული პოლიტიკა, რომ მისი ბელადები ინგლისის მუშათა პარტიას მისჩანჩალებენ უკან. ირლანდიის მუშათა მოძრაობა მოითხოვს სრულ რეორგანიზაციას, სრულს გაწმენდას. ჯიმ ლარკინის გამოჩენა დღევანდელს ბრძოლაში, ახალგაზრდა, აქტიური, ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალული შებრძოლების გამოსვლა, მუშური და გლეხური ელემენტების ჩამოშორება სინ ფეინების, ვალერისტებისა და მუშათა პარტიისაგან [illegible], რომ ირლანდიის მუშათა ლიგის განვითარება ჩქარი ტემპით მოხდება.

თუ პარტიებს ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის თვალსაზრისით შევხედავთ, ისინი ორ ბანაკად უნდა გავყოთ: ინგლისის მომხრეებია—კონსტიტუციონალისტები (მთავრობის პარტია) და მუშათა პარტია, ინგლისის მოწინააღმდეგები—რესპუბლიკელები (დევალერისტები) და მუშათა ლიგა (ეს უკანასკნელი ანტიიმპერიალისტური და ანტიკაპიტალისტური აზრით).

თუ პოლიტიკურ დეკლამაციას ყურადღებას არ მივაქცევთ, მთავრობის პარტია გვეჩვენება როგორც ინგლისის კაპიტალიზმის ნამდვილი წარმომადგენელი. ეგი ინგლისელი ტორიების (კონსერვატიული პარტიის) გამოხატულებაა ირლანდიაში და ატარებს იქ უკიდურეს რეაქციას. ყველა კონსერვატიული და კაპიტალისტური ელემენტები შეკრებილი არიან კოსგრავის პარტიის გარშემო. რესპუბლიკელების პარტია (დევალერას მიმდევრები) ლიბერალური დემოკრატიული პარტიაა, მისი გავლენა უმთავრესად წვრილი ბურჟუაზიის წრეებშია ძლიერი, მაგრამ დღემდე მუშათა მასებსაც იზიდავს თავისი ავადმყოფური ნაციონალიზმით.

როგორია ამ დიდი ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები?

არაფერი პოზიტიური და პრაქტიკული ამ პროგრამებში არ არის. ერთი მხრით არის კონსერვატიული (მთავრობის) პარტია, რომელიც იცავს დასნეულებულ სახელმწიფო აპარატს, დეფიციტიანს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და ცდილობს განახორციელოს ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება. ის ატარებს ძველ პოლიტიკას. მან საშინელ სიღატაკეში ჩაძირა ირლანდია,დაანგრია მისი ვაჭრობა, მისი მრეწველობა, დაამშია მისი მოსახლეობა—მუშები და შეძლო გლეხობა, გაფანტა საუკეთესო მუშები. დიდი ფერმერები და სპეკულიანტები ოქროთი აავსო ყელთამდე და შექმნა ჯარი, რომელიც წელიწადში 27 მილიონი სტერლინგი ღირს.

ოთხი წლის განმავლობაში 280.000 ირლანდიელი იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებია აუტანელი დევნისა და სიღატაკის გამო. ამავე დროს პოლიცია შესამჩნევათ გაიზარდა, იგი შვიდ მილიონ ნახევარი სტერლინგი ღირს წლიურათ. მიწის მეურნეობა შემცირდა 200 ათასი ჰექტარით, საგარეო აღებ-მიცემობის დეფიციტი 55 მილიონ სტერლინგს აღწევს. უმუშევრობა საშინლად გაიზარდა, მაგრამ უმუშევრებს თითქმის არაფერი ეძლევათ. საერთოდ მთავრობამ 1922 წლიდან დაახლოებით 150 მილიონი სტერლინგი გაფანტა უაზროთ და ამ თანხიდან მხოლოდ 9 მილიონი მოახმარა საამშენებლო მუშაობას.

თავისი უკუღმართი ფინანსიური პოლიტიკის გასამართლებლად, ანუ უკეთ ვსთქვათ დასამალავად, მთავრობამ სარეკლამოთ გამოიყენა სამოქალაქო ომის მიერ გამოწვეული ხარჯები. მან ზარალის ანაზღაურების სახით 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ბანკებს, ადმინისტრატიულ ორგანოებს და უწინარეს ყოვლისა კერძო მესაკუთრეებს. ეს ფული მიეცა მხოლოდ მთავრობის პარტიის მომხრეებს. რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს, მათ მიმართ უფრო სწრაფ და იაფფასიან საშუალებას მიმართეს, სახელდობრ დახვრეტას, დატუსაღებას და სამშობლოდან გაძევებას [illegible] შეწყნობით.

„კანონი საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ", რომელიც კოსგრავმა საჩქაროთ მიაღებია ყილაჯო პარლამენტს, გულისხმობს ყველა იმ პოლიტიკური ორგანიზაციების აკრძალვას, რომლებიც ეწინააღმდეგება მთავრობის პარტიას, პრესის თავისუფლების შეკვეცას, პოლიციის უფლების გაფართოებას, დატუსაღების უფლებას გაუსამართლებლად, სამხედრო სასამართლოს შემოღებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდან „ღალატის საქმეების" გამოყოფას და სხ...

რესპუბლიკელებმა ამ ოფიციალური პოლიტიკის უარყოფა თავისი პროგრამის საფუძვლათ გაიხადეს. მაგრამ არც ფინანსიურ, არც ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების, არც უმუშევრობის, არც ულსტერის (ულსტერი ირლანდიის ჩრდილოეთი ნაწილია, რომელიც ინგლისის უშუალო გამგებლობაში დარჩა) საკითხზე მათ არ აქვთ გარკვეული პრაქტიკული პროგრამა.

ძლიერ ადვილია დევალერასთვის მაღალფარდოვანი განცხადების გაკეთება. „მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა ყოველ ადამიანს მუშაობის შესაძლებლობა მიანიჭოს, რათა მან ყოველდღიური საზრდო იშოვოს". (ეს განცხადება პასუხი იყო მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მაკ კილიგანისა, რომელმაც სთქვა „სამუშაოს შოვნა პარლამენტის საქმე არ არისო"). მაგრამ ეს სიტყვები თავისთავათ არაფერს ნიშნავს, მიტომ, რომ არავითარი პრაქტიკული ზომები არ არის წარმოდგენილი ერთი სიტყვით ორი დიდი ბურჟუაზიული პარტია ერთი მეორეს ებრძვის წმინდა პოლიტიკის ანუ უკეთ ვსთქვათ პოლიტიკანობის ნიადაგზე. მაგრამ გაურბის ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებს, მიტომ რომ ამ დარგში არსებითად არავითარი წინადადება არ აქვთ შემუშავებული.

კ. დ—დ.

დუბლინი, 30 სექტემბერი.

დაწყებული სამოსწავლო წელი მოსკოვში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წელს განსაკუთრებით ბლომათ მოაწყდა მოსწავლე ახალგაზრდობა მოსკოვს. ეს გასაგებიც არის. რაც დრო გადის, რაც უფრო მტკიცდება და ძლიერდება მუშურ-გლეხური ხელისუფლება—ამ ხელისუფლების მთავარ დასაყრდენ მასის—მუშებისა და გლეხების ლტოლვაც იზრდება და ძლიერდება ცოდნის მიღებისაკენ. დღეს უკვე ჩვენს სინამდვილეში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა ის გარემოება, რომ დაზგიდან ან გუთანიდან წამოსული უბრალო მუშა ან გლეხი უმაღლეს სასწავლებლის კედლებში ზის და ენერგიულად „ღრღნის მეცნიერების გრანიტს". არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უმაღლეს განათლება დამთავრებული დაზგის მუშები სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდენ, და საკმაო წარმატებითაც მუშაობენ ამ მიმართულებით. რაც დრო გადის, მშრომელი ახალგაზრდობის უფრო და უფრო ძლიერი ტალღები აწყდებიან უმაღლეს სასწავლებლების კარებს. ეს ასეა საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიის ყველა კუნჭულებში, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო სურათს იძლევა ამ მხრივ მოსკოვი. მსოფლიო რევოლიუციის ცენტრი, მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობის დედა ქალაქი, მოსკოვი ამავე დროს მუშათა კლასის განვითარებისა და მის ცოდნის გაღრმავების კულტურული ცენტრიც არის. არსად, არც ერთ სახელმწიფოს არც ერთ ქალაქში არ არის იმდენი სასწავლებლები (უმაღლესი და საშუალო) პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განხრებით, რამდენიც აქ არის მოსკოვში. არსად იმდენი ყურადღება არ ექცევა ტეხნიკურ და ინდუსტრიალურ სასწავლებლებს, როგორც აქ. არსად, არც ერთ ქვეყანაში ისე უზრუნველყოფილი სამეცნიერო, და პირველხარისხოვან პოლიტიკურ მოღვაწეთა ძალებით არ არიან სასწავლებლები ისე, როგორც აქ ოქტომბრის რევოლიუციის დედა ქალაქში. არც ერთი სახელმწიფო არ ზრუნავს ისე მშრომელი მასების განათლება-განვითარებაზე როგორც მუშების და გლეხების საბჭოთა მთავრობა ზრუნავს. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც აღიარეს საბჭოთა კავშირის მტრებმაც კი, იმათ, ვინც თვითეული უმაღლესი სასწავლებლის არსებობა ჩვენში და მაშასადამე, ჩვენი კულტურული წინსვლა ლახვარივით ესობათ გულში. უამრავი მუშა დელეგატები, რომლებიც იყვნენ და ზოგი ეხლაც იმყოფება ჩვენში—პირველ ყოვლისა ამავე მოვლენას აღნიშნავენ. ეს ასეც უნდა იყოს. ოქტომბერმა გააღვიძა და აამოძრავა ხალხის ყველაზე მეტად ჩამორჩენილი მასები. ამ მასებში თავი იჩინა სწავლის წყურვილმა და ისინი მიაწყდენ სკოლებს: ტეხნიკუმებს, უნივერსიტეტებს. იმდენად დიდია ეს ლტოლვა ყველგან, რომ სამწუხაროდ, ხელისუფლებას ჯერ-ჯერობით არ აქვს საშუალება სავსებით დააკმაყოფილოს უმაღლეს სწავლით მოწყურებული ყველა მშრომელი და ფართოდ გახსნას უნივერსიტეტების კარები.

წელს მაგალითად მოსკოვში ამნაირი სურათი იყო: მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში 482 თავისუფალ ადგილზე 3.372 განცხადება შემოვიდა. მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტში 950 თავისუფალ ადგილზე 4.124 განცხადება იქნა მიღებული, მოსკოვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შემოვიდა 3.100 განცხადება, მათ შორის მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში იქნა მიღებული 500 განცხადება.

ტრანსპორტის ინჟენერთა ინსტიტუტში 18 თავისუფალ ადგილზე 731 განცხადება შემოვიდა. ტიმირიაზოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში 21 ადგილზე 2,000-ზე მეტი განცხადება იყო. ასეთივე (თუ მეტი არა) ტალღა მოაწყდა მოსკოვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც. ეს ციფრები ნათლად გვისურათებენ იმ ლტოლვას, რომელიც არის მშრომელ მასებში სწავლისადმი. მოსკოვი ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. მას აწყდება მშრომელი ახალგაზრდობა და განა მარტო ახალგაზრდობა? წვეროსანთა კორპუსიც საკმაოთ მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან და სხვა სახელმწიფოებიდანაც. თავისთავად ცხადია, მსურველთა ასეთ მასას ვერ დაიტევდენ უმაღლესი სასწავლებლები. მიმღებ კომისიებს წელს განსაკუთრებით დიდი და რთული მუშაობის ჩატარება მოუხდათ. საჭირო იყო საქმისადმი იმრიგად მიდგომა, რომ სავსებით განხორციელებული და გატარებული ყოფილიყო ცხოვრებაში მშრომელთა ხელისუფლების დირექტივა. ეს დირექტივა კი მოითხოვდა, რომ არას შემთხვევაში არ ყოფილიყო დაშვებული ძველი საკონკურსო გამოცდების სისტემა, სასწავლებლებში პირველ ყოვლისა მიღებულ უნდა ყოფილიყვნენ მუშები და გლეხების შვილები (რა თქმა უნდა ისეთები, ვინც ამის ღირსნი აღმოჩნდებოდენ) სათანადო ყურადღებით უნდა მოპყრობოდენ ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატებს და ამრიგად უზრუნველეყოთ უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული შერჩევის პრინციპის გატარება.

ეს ფრიად რთული მუშაობა მიმღებმა კომისიებმა უკვე ჩაატარეს. წელს უმაღლეს სასწავლებლებს კიდევ შემატებად მშრომელ ახალგაზრდათა ძლიერი ნაკადი. ბევრ სასწავლებლებში უკვე დაიწყო სწავლა. მაგრამ საბინაო კრიზისი, რომელიც ასე მწვავედ სდგას მოსკოვში საერთოდ, მოსწავლეებზეც ახდენს გავლენას. საერთო საცხოვრებლები ზომაზე მეტად გადატვირთულია, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველწლიურად სწარმოებს ინტენსიური აღმშენებლობა. მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს ამ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ბინის საკითხი ჯერ კიდევ იქნება მწვავედ რამოდენიმე ხნის განმავლობაში. ეს გარემოება ვერ შეანელებს მშრომელი ახალგაზრდ. წყურვილს სწავლისადმი. სწავლის მიღების საშუალება მიეცა მუშებსა და გლეხებს რევოლიუციის გამარჯვების წყალობით და ისწავლის კიდეც იმისათვის, რომ ცოდნით შეიარაღებულმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს და გააძლიეროს ამ რევოლიუციის მონაპოვარი.

ვლ. ზერაძე.

მოსკოვი, 7 ოქტომბერი.

ეროვნული

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აფხაზეთი

ელსადგურის აშენება

სოხუმი, 11 ოქტომბ. ოჩემჩირეში დაიწყო პირველი ელსადგურის აგება. ელსადგურის აშენება დაჯდება 44.000 მან. მუშაობა დამთავრდება მომავალ წელს. კომუნალურმა განყოფილებამ დაასრულა ქალაქის ყველა ცენტრალური ქუჩების მოკირწყვლა, რამაც შეამცირა მალარია. ქუჩების მოკირწყვლა 11.000 მანეთი დაჯდა (ადს).

საზამთრო სეზონი გულრიფში

სოხუმი, 11 ოქტომბ. ერთი კვირის განმავლობაში სეზონის გახსნიდან გულრიფში ჩამოვიდა 180 ავადმყოფი. სანატორიუმის წითელი შენობა გავსილია მოაგარაკეებით, დღეს გაიხსნება თეთრი შენობა, ადგილებზე დიდი მოთხოვნილებაა (ადს).

თამბაქოს პლანტაციების განოყიერება

სოხუმი, 11 ოქტომბ. აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირმა თამბაქოს პლანტაციების გასანოყიერებლად დაუკვეთა 13.000 ფუთი სუპერფოსფატი და 2.000 ფუთი დარიშხანი.

წრევანდელი მოსავლის თამბაქოს დამზადება აფხაზეთში დაიწყება მომავალი წლის 15 იანვრიდან (ადს).

წერილები

აქედანვე უნდა ვემზადოთ

გასაბჭოების დღიდანვე დაწყებული მიწადმოწყობის საქმე ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ამის უმთავრესი მიზეზი კი იყო ამ საქმის სპეციალისტთა საკმაო კადრის უყოლობა. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში მიწადმოწყობა მაინც წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ აქ უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. საქმე იმაშია, რომ სოფლის კულაკური ელემენტები, რომელთაც მიწები უნდა ჩამორთმეოდათ, ყოველმხრივ სცდილობენ ხელი შეუშალონ ამ საქმის წარმატებით და თავის დროზე დამთავრებას. ისინი მიმართავენ ათასგვარ ჭორებს და შეცდომაში შეჰყავთ ღარიბი გლეხობა. ამ ნიადაგზე მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს, რომელსაც მუშა - საქონლის უყოლობის გამო ისედაც უძნელდება მიწების დროზე დამუშავება, გულს უცრუებენ მუშაობაზე და ამით ზიანს აყენებენ როგორც გლეხობის კერძო მეურნეობის საქმეს, ისე სამეურნეო აღორძინებასაც.

ასეთი მდგომარეობა კი ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ვიცით მიმდინარე წლის მოსავალი საგრძნობლად დაზარალა ხშირმა წვიმებმა და ნიაღვრებმა, ეს კი გვავალებს გაათკეცებული ენერგიით ვემზადოთ მომავალი წლის თესვის კამპანიისათვის. უნდა გავადიდოთ შემოდგომის ნათესების სივრცე, არც ერთი დესეტინა მიწა არ უნდა დავსტოვოთ დაუთესავი, თუ კი ის გამოსადეგი იქნება პურეულისათვის.

ამ მხრივ დიდი მუშაობის წარმოება მართებთ სათემო და სოფლის საბჭოებს. ნიაღვრებისაგან უფრო დაზარალებულ გლეხობას უნდა მივაწოდოთ სათესლე ხორბალი. სასოფლო ყრილობებზე საჭიროა გლეხობისათვის განმარტების მიცემა სათესი სივრცის გაფართოების აუცილებლობის შესახებ.

არანაკლები მუშაობა უნდა ჩაატარონ გლეხკომებმა. საჭიროა მათი მხრივ დიდი უნარიანობის გამოჩენა უკიდურესად ღარიბებისა, ქვრივობლებისა და წითელ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარების აღმოსაჩენად, როგორც მუშა-საქონლით, ისე სათესი ხორბლითაც.

აი ასეთი ზომებით იქნება შესაძლებელი მომავალ სამეურნეო წელში შესაფერი შედეგების მიღება, რისთვისაც აქედანვე უნდა მივიღოთ ზომები.

სანი.

საგარეჯო, თბილისის მაზრა

საექიმო პუნქტის მუშაობა

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენში არსებობს საექიმო პუნქტი. მაგრამ მისი მუშაობა არასდროს არ ყოფილა დაყენებული ისეთ სიმაღლეზე, როგორც დღესაა. ეს უნდა აიხსნას ორი გარემოებით. ერთი ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება—აღმ. კუთვნილ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობის საქმეს. და თვით პუნქტის გამგეც ამხ. კახუხაშვილი დღე და ღამ დაუღალავი ენერგიით მუშაობს.

ა. წ. პირველ მარტიდან პირველ სექტემბრამდე, როგორც ავადმყოფთა სახლებში, ისე ამბულატორიაში საექიმო დახმარება მიღებული აქვს დაახლოებით 11.970 ავადმყოფს, თემში რაიმე საშიშარ გადამდებ სენს არ ჰქონია ადგილი, მხოლოდ იყო შემთხვევები მუცლის ტიფისა და ციმბირის წყლულისა, რაზედაც პუნქტის მიერ მიღებულ იქნა სათანადო-სასწრაფო ზომები. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, როგორც ექიმი, ისე პუნქტის თანამშრომლები: ბებია ქალები და სხვა უწევენ საექიმო დახმარებას ავადმყოფებს სახლებში.

პუნქტთან არსებობს კბილის საექიმოც, რომლის მუშაობაც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე—იმიტომ, რომ იგი მთლად მოუწყობელია საჭირო-ხელსაწყო-იარაღებით, რასაც სამაზრო აღმ. ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

საექიმო პუნქტის ნაყოფიერ საქმიანობას ძლიერ უშლიდა ხელს უბინაობა, რომლის მოგვარებას უკვე შეუდგნენ.

ყველასათვის ცნობილია საგარეჯო, როგორც მოზრდილი თემი მთელს მაზრაში. ამის გამო აუცილებელი საჭიროა ერთი ექიმის დანიშვნა სანიტ-განათლების დარგში სამუშაოდ. გარდა ამისა ღარიბ გლეხობაზე უფასო წამლებისათვის გაღებული თანხა ძლიერ მცირეა.

ეს ნაკლიც უნდა გამოსწორდეს.

გოგა.

წერილებიდან

ს. საჭამიასერი, გურია

კონტრაბანდისტებმა აგვიკლეს

ამ სოფელში დათარეშობენ კონტრაბანდისტები, რომელთა მეთაურებია დ. ხუნდაძე, ნადირაძე და ვალ. ღირდალაძე. ამათი მეოხებით მრავალი გლეხის ოჯახი აწიოკდა. გასულ წელს ამათი მეოხებით მილიციასთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა გლეხი კაცაძე. ისინი კი კვლავ თავისუფლად დათარეშობენ. მათი რეზიდენცია საჯევახოში სერგო ცხვარაძის სამიკიტნო. მილიციამ უნდა მიიღოს ზომები მათ ასალაგმავად.

შაკიკი.

სოფელი ზურატი

თაგვებმა აგვიკლეს

გაზაფხულზე ამ სოფელში გაჩნდა მინდვრის თაგვი, რომელიც შემდეგში ისე გამრავლდა, რომ მუსრი გაავლო შინაურ ფრინველებსაც. საქმე იქამდისაც მიდის, რომ ზოგიერთი გლეხი საბადრო თოფით სცდილობს თაგვების განადგურებას. სახლებში დაბლა ვერაფერი შეუნახავთ თაგვების შიშით.

საჭიროა მიწადმოქმედების კომისარიატმა აღმოუჩინოს დახმარება გლეხობას თაგვების გასანადგურებლად.

მუშკორი საჩხოფლელი

სოფლის ქრონიკა

—**ოქტომბრის რევოლიუციის** დღესასწაულზე აჭარისტანის მაზრებში ეწყობა მოძრავი კინოები.

— **სამკურნალო წყაროები.** ფშავში, ჩარგალის რაიონში, ჯანმრთელობის კომისარიატმა აღმოაჩინა 6 სამკურნალო წყარო.

— **გლეხკომების პლენუმი.** მაზრებში დამთავრდა აჭარისტანის გლეხკომების პლენუმის მუშაობა.

— **დისპანსერი.** წელს ლეჩხუმში გაიხსნება ვენერიული დისპანსერი.

— **სკოლა.** სოფ. ხელვაჩაურში (აჭარისტანში) გლეხები სკოლისათვის აგებენ ქვის შენობას.

— **არხი.** წელს ნაგომარის ველის მოსარწყავად შეუდგებიან არხის გაყვანას.

— **ერბო - ყველის ქარხანა.** ყაზბეგის თემში დაიწყო ერბო - ყველის დამამზადებელი ქარხნის აგება.

— **ჩაი.** წელს ქობულეთის რაიონში გაშენებული იქნება ჩაის ახალი სანერგეები 125 დესეტინაზე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 12 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება.

ჩვენი მუშკორების დასწრება აუცილებელია.

დავიცვათ მუშების ინტერესები

მუშების მდგომარეობა დღითი - დღე უმჯობესდება. პროფკავშირები, შრომის დაცვის ორგანოები და თვით სამეურნეო დაწესებულებიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ მუშების ყოფა - ცხოვრების გასაუმჯობესებლად და მათი კულტურულ დონის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ეს ხდება სახელმწიფო და საბჭოთა დაწესებულებებში, სადაც არსებობენ ისეთი ორგანოები, რომლის მოვალეობას შეადგენს შრომის კოდექსისა და მუშების ინტერესების დაცვა, მაგრამ ჩვენს პროფკავშირებში გაერთიანებულ არიან ისეთი მუშებიც, რომლებიც მუშაობენ კერძო დაწესებულებებში, ან მოიჯარადრეებთან. ესენი მოკლებული არიან პროფკავშირის და შრომის დაცვის ორგანოების მზრუნველობას.

კერძო დამქირავებლები მუშებს საშინელ ექსპლოატაციას უწევენ. მათთვის არც პროფკავშირი და არც შრომის დაცვის ორგანო არაფერს წარმოადგენს. ამუშავებენ მუშებს დილიდან საღამომდე და ხელფასს კი იმდენად მცირეს აძლევენ, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მუშის აუცილებელ მოთხოვნილებას. ეს ითქმის განსაკუთრებით მოიჯარადრეებზე, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გამრავლდნენ.

მოიჯარადრეები უმთავრესად საამშენებლო საქმეებზე მუშაობენ და ხშირად თავიანთ ბინძურ საქმეებს არტელებისა და სხვა საზოგადო სახელწოდებებით ფარავენ: ორი ან სამი მოიჯარადრე მოიყრის ერთად თავს დაარქმევენ რაიმე სახელწოდებას და შეღავათიან პირობებში ღებულობენ სახელმწიფო და საბჭოთა სამუშაოებს, რომლებზეც ამუშავებენ კერძოთ დაქირავებულ მუშებს. ასეთ „არტელებს" და ცრუ საზოგადო დაწესებულებები ძალიან ბევრია ჩვენში.

მაგრამ „არტელები"-ს გარდა არსებობენ კიდევ სხვა მოიჯარადრეებიც, რომლებიც არანაკლებ ყვლეფენ მუშებს. ასეთი მოიჯარადრეები არიან მაგალითად ტყიბულის მაღაროებში. მოიჯარადრეთა მეთაური არის ვინმე გოგილიძე. რომელსაც იჯარით აქვს აღებული მაღაროს მუშათა საცხოვრებელ ბინების საამშენებლო საქმე. გოგილიძეს ეს საქმე გაცემული აქვს იჯარით ქასრაშვილზე, ხოლო ამ უკანასკნელს კი მესამე მოიჯარადრეზე, რომელიც დაქირავებულ მუშების საშუალებით ასრულებს მუშაობას. ამგვარად მუშების ხარჯზე თავს ირჩენს სამი მოიჯარადრე.

ასეთი სახის მოიჯარადრეებს კი თითქმის ყოველ საამშენებლო საქმეზე შეხვდებით. ესენი გარდა ამისა, რომ ექსპლოატაციას უწევენ მუშებს, საამშენებლო საქმესაც ართულებენ.

პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა, სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ სამართლიან იჯარის წინააღმდეგ და მიიღონ ზომები რათა ასეთ საიჯარო საქმეებს ასრულებდენ „სმუს."-თან გაერთიანებული საზოგადო დაწესებულებები. ამით გარდა იმისა, რომ დავაჩქარებთ საამშენებლო საქმეს, მუშების მდგომარეობასაც საგრძნობლად გავაუმჯობესებთ.

ქ.

—:—

საამშენებლო „სამება"

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროებში შენდება საცხოვრებელი ბინები, რომლის მუშაობა იჯარით აღებული აქვს ვინმე გოგილიძეს და მის ამხანაგებს. უნდა აშენდეს სულ 7 ბინა. მასალას და სხვა საჭირო ხელსაწყო საგნებს აწვდის მაღაროების სამმართველო.

მოიჯარადრე გოგილიძე თავის მხრივ სამუშაოს აძლევს იჯარით თ. ქასრაშვილს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მიწის მოჭრას, მასალის მიზიდვას, ქვის მოტეხას და სხვა ასეთებს ავალებს ახალ მოიჯარადრეს, რომელიც ქირაობს მუშებს და ასეთი წესით აწარმოებს მესამე პირისგან აღებულ საიჯარო მუშაობას. ისე, რომ სამუშაოს შემსრულებელი მუშა ტყუილა უბრალოდ ინახავს სამ მუქთა მჭამელს. გოგილაძეს, ქასრაშვილს და კიდევ მესამეს.

ასეთ ექსპლოატაციას უწევს მუშებს ტყიბულის მაღაროების მუშათა საცხოვრებელი ბინების საამშენებლო სამება გოგილიძის მეთაურობით.

საამშენებლო კავშირმა ზომები უნდა მიიღოს აღნიშნულ მუშების ინტერესების დასაცავად.

გულწრფელი.

ჩვენი მიღწევები

(მთავარი სახელოსნო)

1925 წელს რკინის გზის მთავარ სახელოსნოს საქვაბე საამქროში მოხდა გუნდების გადაჯგუფება კვალიფიკაციის და მიხედვით. ორი წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ამ გადაჯგუფებამ კარგი შედეგები გამოიღო. თუ წინეთ ხელოსანს სჭირდებოდა თავზე დგომა და ჩიჩინი იმისთვის, რომ ჩქარა შეესრულებია შეკვეთა, დღეს იმდენად გაუმჯობესებულია მუშაობა, რომ თითონ ხელოსანი დასდევს უკან თავის უფროსს. რათა უკანასკნელმა მისცეს მას ორი სამი დღის სამუშაო.

1924—25 წელს, საქვაბე საამქრო კაპიტალურ შეკეთებიდან უშვებდა თვეში 4—5 ორთქლმავალს. დღეს კაპიტალურ შეკეთებებიდან გამოშვებულ ორთქლმავალთა რაოდენობა უდრის 6—7. ამასთან დაკავშირებით მე-9 თანრიგის ხელოსანი, რომელიც 1925 წელს საშუალოდ აკეთებდა 90-დან 100 მანეთამდე თვეში, დღეს აკეთებს 190-დან 210 მანეთამდე. ისე, რომ შედარებით 1925 წელთან მუშის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიუხედავად იმისა, რომ საამქრო ხშირად განიცდის ხელსაწყო იარაღების ნაკლებობას, რის გამო ბრკოლდება წარმოება, მაინც გადააჭარბა ომის წინადროის არსებულ პირობებს, როგორც წარმოებაში, ისე ხელფასშიც. ომამდე თითო ორთქლმავალი შესაკეთებლად იდგა 90 დღეს. დღეს კი ისეთივე შეკეთება ხდება 40 დღის განმავლობაში. ადგილობრივ საწარმოო კომისია სცდილობს შემდეგში უფრო შეამციროს ქვაბების დადგომა - შეკეთების დრო, რაც საკმაოთ გაადიდებს რკინის გზის შემოსავალს.

მაგრამ ალმართს დაღმართიც მოსდევსო. აქაც. ამ გაცხოველებულ მუშაობის დროს უბედურ შემთხვევებსაც აქვს ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ შედარებით წინანდელთან უბედურ შემთხვევების რიცხვი გაიზარდა, რაც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. უბედურ შემთხვევების ერთი მიზეზი საამქროს სივიწროვეა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად უკვე მიღებულია ზომები — ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საამქროს გასაფართოებლად. გარდა ამისა მუშები სცდილობენ რაც შეიძლება მეტი საქმე გააკეთონ, რომ მეტი ხელფასი მიიღონ. ამას კი ხშირად უბედური შემთხვევა მოსდევს.

ადმინისტრაციამ და გუნდის უფროსებმა ფხიზელი თვალყური უნდა ადევნონ ასეთ შემთხვევებს და მიიღონ ზომები, რათა მუშამ არ იმუშაოს ნორმაზე მეტი. ამით თავიდან ავიცდენთ უბედურ შემთხვევებს.

ვ. ნ. ბ.

—:—

„ზაკოგრუზ"-ის მუშებში

(სადგ. ნავთლუღი)

8 ოქტომბერს შესდგა „ზაკოგრუზის" ნავთლუღის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო: 1. მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ და 2. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ზეიმის ჩამტარებელ კომისიის გამოყოფა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლომთიძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და ამ სესხის ობლიგაციების შეძენის პირობები. მომხსენებელმა მოუწოდა ყველას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სესხის ობლიგაციების გავრცელებაში.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის ზეიმის ჩასატარებლად კრებამ გამოჰყო ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია.

მუშკორი ელ. შუასურებელი

—:—

სახლის მეპატრონე სახაზინო სახლებში

(წერილი ოზურგეთიდან)

რკინის გზის სამმართველომ სადგ. ოზურგეთის მუშა - მოსამსახურეებისათვის შეისყიდა სახლი. რომლის შეკეთება დამთავრდა მიმდინარე წლის მარტში. ხსენებული ბინის გამნაწილებელ კომისიამ ბინაში ჩაასახლა არტელის უფროსი, რომელსაც რკინის გზის მახლობლად აქვს თავისი საკუთარი სახლი გაქირავებული.

ამის შესახებ ადგილკომმა აცნობა სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბანს და საუბნო კომიტეტს. მაგრამ დღემდე არტელის უფროსის ამოსახლება ამ ბინიდან ვერ მოხერხდა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და ხსენებული სახაზინო ბინაში ჩასახლებულ იქნას უბინაო მუშა.

ალ. მახარაძე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

წითელ ჯარში

ქართული წითელი ჯარის ნაწილებში უკვე დაიწყო კამპანია ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის გავრცელების შესახებ. ყურადღება მიქცეული აქვს სესხის მნიშვნელობის პოპულიარიზაციას წითელ - არმიელთა შორის, რისთვისაც ეწყობა მოხსენებები, საუბრები და კითხვა - პასუხის საღამოები. შედგენილია პლაკატები და ლოზუნგები, რომლებიც არკვევენ სესხის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარება - აღორძინების დარგში.

წითელარმიელები ადგენენ წერილებს სახლში გასაგზავნად, ამ წერილებში ისინი სწერენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სესხს და სად და რა პირობით შეიძლება ობლიგაციის შეძენა.

ბევრ ნაწილში ჩატარებულია მეთაურთა შორის კოლექტიური ხელისმოწერა, რამაც გამოიღო კარგი ნაყოფი. მეთაურნი ხალისიანად იძენენ სესხის ობლიგაციებს.

შეძენილ ობლიგაციების საფასური სამხედრო მსახურთ მიერ გადახდილ უნდა იქნეს ნაწილობრივ 10 თვის განმავლობაში. ობლიგაციებზე ხელის მოწერის უკანასკნელ ვადათ დამტკიცებულია 1927 წლის 27 დეკემბერი.

რკინის გზებზე

ცენტრალური კომისია

ამ.-კავკასიის რკ. გზებზე ინდუსტრიალიზაციის სესხის ფართოდ ჩასატარებლად, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან დაარსდა, რკინისგზებზე სესხის რეალიზაციისათვის ხელშემწყობი ცენტრალური კომისია გზების სამმართველოს საფინანსო - სანგარიშო განყოფილების უფროსის ამხ. ზ. კალანდიას თავმჯდომარეობით.

სალიანდაგო განყოფილებაში

ა.-კ. რკ. გზ. სალიანდაგო განყოფილების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ა.-კ. ფინსახკომის სავალუტო განყოფილების გამგის ამხ. ა. საფარიანის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და დაადგინა ყველა თანამშრომლებმა გამოუკლებლივ მიიღონ მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში.

რა სთქვა 1500 კაცმა

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს თანამშრომლებმა რიცხვით 1500 კაცმა, საერთო კრებაზე დაადგინეს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი და მიიღონ მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში.

ნავთსადენის განყოფილებაში

ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ა.-კ. რკ. გზ. ნავთსადენის და საშემოსავლო განყოფილებების თანამშრომლებმა რიცხვით 400 კაცმა და მეორე თამბაქოს ფაბრიკის „პროლეტარი"-ს მუშებმა რიცხვით — 379 კაცმა.

ქარხანა „პროლეტარი"

10 ოქტომბერს მოხდა მუშათა საერთო კრება მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ში. დღიურ წესრიგში შეტანილი იყო მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. მომხსენებელმა მოკლეთ განუმარტა მუშებს ამ დიდი საქმის მნიშვნელობა.

მოხსენების შემდეგ მუშებმა დაადგინეს, რომ ხელი შეუწყონ სესხის ობლიგაციების გავრცელებას მუშათა შორის.

კრებაზე ერთმა მუშა-ქალმა ხელი მოაწერა 25 მანეთის ობლიგაციას. ამორჩეულია კომისია ამისათვის, რომელსაც დაევალა კამპანიის ჩატარება.

ალექსი ბაჯიაშვილი.

„ზაკკნიგა"-ში

„ზაკკნიგის" მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. კაჯარმა, რომელმაც განუმარტა კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა სახელმწიფო აღმშენებლობისთვის და სარგებლიანობა თვით მუშა-მოსამსახურისათვის. მომხსენებელმა მოუწოდა კრებას უკლებლივ მიიღონ მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში. კრებამ ერთხმად დაადგინა ასი პროცენტით მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ სესხში და ამ საქმის ტექნიკურათ მოგვარება მიანდო ადგილკომის სამეულს.

რკინისგზის გამასწორებელ რაზმში

რკ.-გზის დამცველ რაზმის საერთო კრებამ მოისმინა საქ. ფინსახკომის წარმომადგენლის ამხ. მარგველაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ და დაადგინა ყველა თანამშრომელმა (800 კაცი) შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის სესხი ჯამაგირის მიხედვით. ხელის მოწერის ტექნიკურათ ჩატარება დაევალა იქვე არჩეულ კომისიას ხუთი კაცის შემადგენლობით.

კამპანიის მსვლელობა პროვინციაში

პროვინციიდან მოსული ცნობების თანახმად, 7 ოქტომბრამდე აჭარისტანში გასაღებულია 3.985 მან. საინდუსტრიალიზაციო სესხის ობლიგაციები, ახალქალაქში—685 მანეთის, ახალ-ციხეში—550 მანეთის, დუშეთში—685 მან. ოზურგეთში—10.100 მან. სულ 7 ოქტომბრამდე ნაჩვენებ ადგილებში გასაღებულია 15.925 მან. ობლიგაციები.

თელავში

თელავში ოქტომბრის პირველიდანვე დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გასაღების კამპანია.

პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ კამპანიაში. 5 ოქტომბერს მოხდა პროფკავშირის გაფართოებული კრება ამხ. ხუციძის თავმჯდომარეობით.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა საფინანსო განყ. გამგე ამხ. ვ. ნაცვლიშვილმა, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა ობლიგაციების შეძენის პირობები და შეღავათები.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება, რათა ასეთი მოხსენებები ჩატარდეს ყველა ადგილკომებში და დაიწყოს ხელის მოწერა დაუყოვნებლივ.

ხდება ცალ-ცალკე დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა კრებები; ყველანი ერთხმად ადგენენ სესხის ობლიგაციების შეძენას.

პარტკომის და პროფკავშირების თანამშრომელთა 100 პროცენტმა მოაწერა ხელი და უმრავლესობამ შეიძინა თითო ობლიგაცია 25 მან. ღირებული.

ვან—ლი.

ხელის მოწერა ადგილებზე

ქუთაისში

ქუთაისი, 11 ოქტომბერი. გუშინდელ დღის განმავლობაში ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა 5.000 მანეთამდე აღწევს. თვითეულ წარმოებაში და დაწესებულებაში დაარსებულია სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისიები. პარტკომისა და ფინგანყოფილების თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს 2.425 მან. ობლიგაციებზე. თავდება მე-3 საგლეხო მომგებიანი სესხის რეალიზაცია. გასაღებულია 47.000 მან. სესხი. (ადს).

ბორჯომში

ბორჯომი, 11 ოქტომბერი. ლიბანის სანატორიუმის 120 მუშამ ერთხმად დაადგინა შეიძინონ 1.500 მან. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. (ადს).

სოხუმში

სოხუმი, 11 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის სარეალიზაციოდ პროფსაბჭოსთან და საოლქო კომიტეტთან შექმნილია ხუთეულები, ხოლო ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან — ცენტრალური კომისია; მიღებულია და დარიგებული საავიტაციო მასალა, სესხის რეალიზაციის პირველ დღის ჯანსახკომმა ხელი მოაწერა 780 მან. ობლიგაციებზე, პროფსაბჭომ—300 მან. (ადს).

სესხის ქრონიკა

405 მანეთზე

ა.-კ. წ. ლაშქრის სამხედრო ტრიბუნალის და ა.-კ. ლაშქრის და საქართველოს დივიზიის პროკურატურის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერეს 405 მან. რაოდენობით.

500 მანეთზე

ა.-კ. რკ. გზ. რევიზიის მწარმოებელ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერეს 500 მან. რაოდენობით.

6.475 მანეთი

სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორის საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის წევრებმა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერეს 6.475 მანეთის რაოდენობით.

სახელი—კოოპერაციის, სახრავი—კერძო ვაჭრის

რა აღმოჩნდა „მძლეოსნის" გამოკვლევის დროს

(ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპ. მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია „მძლეოსნის" დამოკიდებულების საკითხი კერძო ამხ-ბა „რექტიფიკატთან". გამოირკვა, რომ კოოპერატივ „მძლეოსნს" ამხ-ბა „რექტიფიკატთან" დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის ძალით კოოპერატივმა იჯარით აიღო „რექტიფიკატის" სპირტის სახდელი ქარხანა და ამავე დროს „რექტიფიკატის" წევრებს, კერძო პირებს უფლება მისცა იმავე ქარხნის შენობაში მოეწყო საკუთარი სპირტის სახდელი და დაემზადებიათ სპირტი. კერძო პირები სპირტის დამზადებას აწარმოებდენ კოოპერატივ „მძლეოსნის" სახელით. ამგვარათ კოოპერატივმა „მძლეოსნმა" დაარღვია კანონი სპირტის დამზადების საქმეზე სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ.

ამას გარდა აღმოჩნდა, რომ კერძო ამხ-ბა „რექტიფიკატი" მალავდა ციფრებს სავაჭრო ბრუნვის შესახებ და საშემოსავლო ნაწილში სწერდა ნაკლებს, რითაც თავიდან იცდენდა ხვედრ სახელმწიფო გადასახადს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ „მძლეოსნის" და „რექტიფიკატის" საქმე გადასცა სასამართლოს დამნაშავეთა მისაცემად პასუხისგებაში.

ფართლის შემოზიდვა

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა საქართველოს უმ. ეკონომსაბჭოს წარუდგინა მოხსენება მანუფაქტურის შემოზიდვის შესახებ.

საქართველოში მომქმედი კოოპერატიული და [illegible] მოვაჭრე ორგანიზაციები სეპარატიულად, ურთიერთ შორის და ვაჭრობის კომისარიატთან შეუთანხმებლად ეკვრიან ხელშეკრულებებით საფეიქრო სინდიკატს ამ [illegible] ქალაქსა და სოფელს შორის ფართლის არანორმალური განაწილება. (წელს მე-4 კვარტალში შემოსულ 100 ვაგონ ფართლიდან თბილისმა მიიღო 53.3 ვაგონი ფართალი, ხოლო ცეკავშირმა კოოპერაციულ ქსელისათვის. რესპუბლიკის მასშტაბით—15,64 ვაგონი).

ვაჭრობის კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია გეგმით გათვალისწინებული მთელი რაოდენობა საქართველოში შემოზიდულ ფართლისა გადაეცეს მას—კომისარიატს. კომისარიატი ამ რაოდენობას გაანაწილებს ორგანიზაციათა შორის, რაიონების რეალურ მოთხოვნილებებთან შეფარდებით, რის შემდეგაც ორგანიზაციები შეეკვრიან ხელშეკრულებით საფეიქრო სინდიკატს.

„ქსოვილთა ვაჭრობა"-ს საქართველოში აქვს სულ 4 პუნქტი: 2 თბილისში, 1 ქუთაისში და 1 ბათომში. ეს პუნქტები მოთავსებული არიან ისეთ რაიონებში, სადაც კოოპერატიული და სახ. ვაჭრობის ორგანიზაციებიც ძლიერი არიან და თავისუფლად შეუძლიათ ადგილობრივ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. „ქსოვილთა ვაჭრობა" ღებულობს შემოზიდულ რაოდენობის 10 პროცენტს საუკეთესო ასორტიმენტის საქონელს და შეუზღუდავათ ჰყიდის მას კერძო ვაჭრებზე.

ვაჭრობის კომისარიატს შესაძლებლად მიაჩნია „ქსოვილთა ვაჭრობის" არსებობა მხოლოდ იმ პირობით. თუ უკანასკნელი საქონელს მიიღებს გეგმის გარეშე და ხელს არ შეუშლის ფართლის მომარაგება-განაწილების გეგმიანობას.

პოლონეთის ელჩის ბ. პატეკის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს 5 ნახ. საათზე საქართველოს სამხედრო გზატკეცილით კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი პატეკი. ბ. პატეკი კავკავიდან თბილისში მოაცილეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინმა, მისმა მოადგილემ ამხ. კვიტაშვილმა. პოლონეთის კონსულმა თბილისში მასროვსკიმ და ვიცე-კონსულმა ნძენკოვსკიმ, რომელნიც ბ. პატეკს შეეგებენ კავკავში.

გუშინ საღამოს ბ. პატეკი სადარბაზოდ იყო საგარეო საქმეთა რწმუნებულთან. სადაც შესდგა ბანკეტი ბ-ნ პატეკის პატივსაცემათ.

სახკომსაბჭოში

საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალი

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის დაარსების შესახებ.

პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად საქართველოს ცაკს.

საცხოვრებელი სახლების აგების წესები

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სახლების აგების საამშენებლო წესებისა და ნორმების შესახებ, დამტკიცებულია სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომის მიერ.

გადასახადის მიზნობრივი დანიშნულება

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა საგეგმო კომისიის დასკვნა რკინის გზითა და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდულ ტვირთზე დაწესებული გადასახადისათვის მიზნობრივი დანიშნულების (გზათა აღმშენებლობა) მიცემის შესახებ.

სესხის ნორმების გადიდება გადასახლებულთათვის

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სხდომამ დაამტკიცა საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნა 1927-28 წ. გადასახლებულთათვის გრძელვადიანი სესხის ნორმების გადიდების შესახებ. გასულ წელს დახმარების ნორმათ დაწესებული იყო კომლზე 200 მანეთი. მიწსახკომს და საგეგმო კომისიას საჭიროთ მიაჩნიათ ნორმის გადიდება 300 მანეთამდე.

გამოფენის მოწყობა უცხოეთში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე

ოქტომბრის დღესასწაულის გამო საზღვარგარეთ გამოფენის მომწყობ კომისიის დადგენილების თანახმად, სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სხდომამ საჭიროთ სცნო დაევალოს ყველა სამეურნეო დაწესებულებებს, თვითონვე გაიღონ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე საზღვარგარეთ გამოფენაზე ექსპონატების გასაგზავნი ყველა საჭირო ხარჯები.

ა.-კ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს დებულება

პროექტი დადგენილებისა ა.-კ. სფსრ სტატისტიკის (ცენტრალური სამმართველოს შესახებ) მოწონებულ იქნა საქართველოს საგეგმო კომისიის შესწორებებით.

ავტო-ტრანსპორტის განვითარებისათვის

არსდება ავტო-ტრანსპორტის ხელშემწყობი საზოგადოება

ავტოტრანსპორტის განვითარებას ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მისი განვითარება მარტო სახელმწიფოს საშუალებებით ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია და საჭიროებს მშრომელთა ფართო მასის დახმარებას.

ამ მიზნით ცენტრალურ სატრანსპორტო ორგანოების წინაშე დასმულია საკითხი — ავტოტრანსპორტის ხელშემწყობი საზოგადოების დაარსების შესახებ. ცენტრალური სატრანსპორტო ორგანოები ამ საზოგადოების დაარსებას [illegible] მხურვალედ გამოეხმაურა და შემუშავებულ იქნა საზოგადოების წესდება.

აღნიშნულ წესდების პროექტი ამ დღეებში მიიღეს ამიერ - კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოში.

ამიერ - კავკასიაში ანალოგიური საზოგადოების დაარსების მიზნით ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და გზათა კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის ამხ. შ. ელიავას ხელმძღვანელობით შესდგა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც დეტალურად განიხილავს მიღებულ წესდების პროექტს და შეუთანხმებს მას ამ.-კავკასიის პირობებს.

ამიერ-კავკასიის ადგილობრივ სატრანსპორტო ორგანოებში ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი კამპანია ავტოტრანსპორტის ხელშემწყობ საზოგადოების დაარსებისათვის. მთელ რიგ სატრანსპორტო ორგანოებში ტარდება მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებები, რომლებზედაც დამსწრეთ აცნობებენ საზოგადოების მიზნებს და ამოცანებს.

საზოგადოების ამოცანები

ახალი საზოგადოების სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ ამ.-კავკ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. აზარნოიმ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენ ეს საზოგადოება წარმოდგენილი გვაქვს, როგორც ცენტრალიზაცია - ქმნილი ამიერ - კავკასიის ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საავტომობილო მიმოსვლას მთელი ამიერ - კავკასიის ფედერაციის მასშტაბით. ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ ყოველ რესპუბლიკაში შეიქნება ამ საზოგადოების გამგება, ხოლო წარმოებებსა და დაწესებულებებში—მისი უჯრედები.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, საავტომობილო საქმე ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება, რის დამამტკიცებლად უნდა ის გარემოება, რომ ამიერ - კავკასიაში ამჟამად არის 2.357 მანქანა.

საზოგადოება შეძლების დაგვარად ხელს შეუწყობს ავტო-მოტო-ტრანსპორტის ცოდნათა გავრცელებას ხალხში, რისთვისაც მოეწყობა წრეები, გაიმართება მოხსენებები, დისპუტები, გამოიცემა ჟურნალები და სათანადო ლიტერატურა.

ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, რომ დაბალი საფეხურის კოოპერაციამ შეიძინოს ავტო - ტრანსპორტი საქონლის სწრაფად გასაზიდეისათვის. რაიც უფრო დააახლოებს სოფელსა და ქალაქს უზრუნველჰყოფს ბრუნვის სისწრაფეს კოოპერატიულ უჯრედებში.

საზოგადოება ხელს შეუწყობს აგრეთვე საავტომობილო მრეწველობის განვითარებას, საგზაო აღმშენებლობის გაუმჯობესებას. სპეციალისტების კადრის შექმნას ავტო - ტრანსპორტისა და საგზაო საქმის დარგში, ხელს შეუწყობს საგზაო ორგანიზაციებსა და მეცნიერულ - გამოკვლევითი მუშაობისათვის — აი საზოგადოების მიზანი. გამომგონებლის წახალისება მოტოტრანსპორტის დარგში, მანქანების გამოცდის, გადარბენათა და კონკურსის მოწყობა და სხვ საზოგადოების ამოცანების მეტად ფართოთა და საპასუხისმგებლო.

საზოგადოების თანხა შეიქმნება საწევრო გადასახადებისაგან. როგორც ცალკე მშრომელთაგან, ისე დაწესებულებათაგან.

მეაბრეშუმეთა თათბირი

გუშინ გაიხსნა საქ. აბრეშუმის ტრესტის ხელმძღვანელ თანამშრომელთა თათბირი. თათბირს ესწრება როგორც დამამზადებელი, ისე საწარმოო და სავაჭრო დარგში მომუშავენი.

თათბირი გახსნა ტრესტის მმართველმა ამხ. გ. ჯოგოხიშვილმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მართალია ტრესტის არსებობა განისაზღვრება ერთი წლით, მაგრამ ამ მოკლე ხანში ჩატარებულია დიდი მუშაობა აბრეშუმის მრეწველობის განვითარებისათვის. ტრესტმა საჭიროთ სცნო პასუხისმგებელ თანამშრომლებთან ერთად განეხილა გასული საოპერაციო წლის მუშაობის შედეგები და გამოემუშავებინა მომავალი წლის საპერსპექტივო გეგმა.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კრება გადადის მოხსენებების მოსმენაზე.

პირველ მოხსენებას აკეთებს „საქართველოს აბრეშუმის" საწარმოო განყოფილების გამგე ამხ. ხ. რომახიძე. მომხსენებელი ციფრებით აშუქებს ტრესტის ქარხნების მუშაობას გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში. საქართველოში მუშაობს ოთხი ძაფსახვევი ქარხანა, სამტრედიაში—52 აუზიანი, თელავში—52 აუზიანი, ხონში—48 აუზიანი და ოზურგეთში—72 აუზიანი. სულ—224 აუზი. ყველა ქარხნებში მუშაობენ ორ ცვლად. ქარხნებში მუშაობს სულ 1.100 მუშა-ქალი და კაცი. წლის განმავლობაში აღნიშნულ ქარხნებს გადაუმუშავებიათ 185.635 კილოგრამი პარკი, მიუღიათ—49.876 კილოგრ. ძაფი. დღიური საშუალო გამოსავალი აუზის უდრის—550 გრამს. რაც ახალი ქარხნებისთვის ჩვენს სინამდვილეში დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძაფსახვევი ქარხნები ჩვენს სინამდვილეში ახალი მოვლენაა.

სამუშაოზე გამოყვანილია მეტ წილათ სოფლის მეურნე გლეხების ქალები და კაცები, რომლებმაც ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე დიდი სკოლა გაიარეს.

თათბირი მეთამბაქოების შესახებ

გუშინ, საღამოს 8 საათზე, საქართველოს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა საქართველოს მეთამბაქოების მუშაკთა თათბირი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები. 1) საქ. შინა-ვაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენება თამბაქოს დამზადების ბაზრის მოწესრიგების შესახებ; 2) აფხაზეთის თამბაქოს კავშირის წარმომადგენლის ამხ. კოკაიას მოხსენება აფხაზეთში თამბაქოს კულტურის განვითარებისა და მისი საჭიროების შესახებ; 3) აგრიკულტურული ღონისძიებანი მეთამბაქოობის განსავითარებლად—მომხსენებელი მიწადმოქმედების სახკომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ქურდიანი; 4) საქართველოს თამბაქოს ტრესტის წარმომადგენლის ამხ. მეტაქსას მოხსენება თამბაქოს სამრეწველო ნედლეულის საჭიროების შესახებ; 5) ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენლის ამხ. ადამოვის მოხსენება თამბაქოს ექსპორტის შესაძლებლობის შესახებ და 6) ამხ. ტაბაცკირიძის მოხსენება საკავშირო მრეწველობის საჭიროების შესახებ ქართულ თამბაქოებში.

თათბირის გახსნა

თათბირი გახსნა შინა-ვაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. ათაბეგოვმა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა თამბაქოს დამზადების ოპერაციის გაძლიერება და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეხლა საქართველოში თამბაქოს დამზადების საქმე ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ და დამზადების ოპერაცია 14 პროცენტით აღემატება ომამდე არსებულ ნორმას. თათბირზე დასმულია მთელი რიგი საკითხები, რომელთა პრაქტიკაში გატარება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეთამბაქოობის საქმის განსავითარებლად.

თამბაქოს ბაზრის მოწესრიგება

(ამხ. ხოფერიას მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თამბაქოს მრეწველობა დიდ შემოსავლიან წყაროთ ითვლება. ყოველწლიურათ თამბაქოს შემოსავალი უდრის 15.000.000 მანეთს.

მომხსენებლის სიტყვით, თამბაქოს დამზადების ოპერაცია მოისუსტებს. არის ზოგიერთი [illegible] საკითხები ამ მიმართულებით. რომელთა აღმოსაფხვრელად მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი ღონისძიებანი.

გასულ წელს თამბაქოს ნათესების საერთო სივრცე უდრიდა 12.000 დესეტინას.

მიმდინარე წელში კი ნათესების საერთო სივრცემ იკლო—თამბაქოს [illegible] გაუსაღებლობის გამო.

ნათესების სივრცის შემცირებაში დიდი როლი ითამაშა პლანტატორებისათვის კრედიტის დაგვიანებით მიწოდებამ.

ამჟამად სათანადო ყურადღება ექცევა თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება.

თამბაქოს დამზადების ბაზრის მოსაწესრიგებლად საჭიროა ზედნადებ ხარჯების შემცირება.

თამბაქოს ბაზრის მოსაწესრიგებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ექსპორტის გაძლიერება, თამბაქოს ხარისხის გრძელ ვადიან კრედიტის დროინდელი მიღება მეთამბაქოეებისათვის, მტკიცე ფასების დაწესება. ჩვენი თამბაქოს მოთხოვნილების გამორკვევა საბჭოთა კავშირის ბაზარზე და აგრიკულტურულ ღონისძიებათა გაუმჯობესება.

მომხსენებელი აშუქებს თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობას ლაგოდეხში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარისტანში და დაწვრილებით აცნობს თათბირს თუ რა ღონისძიებანია საჭირო თამბაქოს კულტურის განსავითარებლად აღნიშნულ რაიონებში.

მომხსენებლის სიტყვით, ადგილობრივად დამზადებული თამბაქო განირჩევა თავისებური

აგრი - კულტურული ღონისძიებანი მეთამბაქოების განსავითარებლად

(ამხ. ქურდიანის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში შესაძლებელია 100.000 დესეტინა თამბაქოს მოშენება.

მან მოიყვანა სტატისტიკური ცნობები თამბაქოს მოსავლიანობის შესახებ და განაცხადა რომ მოსავალი წლის საშუალოზე მეტია.

ამხ. ქურდიანის სიტყვით, მეთამბაქოობის განვითარებას ხელს უშლის საცდელ პლანტაციების უქონლობა და ისიც, რომ მავნებლებთან ბრძოლა ვერ სწარმოებს რიგიანად.

აგრიკულტურული ღონისძიებანი წინ წასწევს მეთამბაქოობის საქმეს, ხოლო ამისათვის სათანადო კადრის შექმნა, ნიადაგის ხელოვნურად განაყოფიერება, საცდელ-საჩვენებელი პლანტაციების მოწყობა და გლეხობაში აგიტაციის გაწევა მეთამბაქოობის მნიშვნელობაზე.

დასასრულ მან თათბირს გააცნო ის პრაქტიკული ზომები, რომელთა [illegible] გატარება განზრახულია ამ ახლო ხანში.

მეთამბაქოების უზრუნველყოფა სამრეწველო ნედლეულით

(ამხ. მეტაქსას მოხსენება)

თამბაქოს მოთხოვნილება საქართველოში 1927—28 წ. უდრის 85.100 ფუთს.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დაბრკოლებები ელობება წინ სამრეწველო ნედლეულის მომარაგების საქმეს და განაცხადა რომ, თუ ეს საკითხი მიზანშეწონილად მოგვარდება, მაშინ თამბაქოს დამზადების ოპერაციაში შეიქმნება თვალსაჩინო მიღწევები.

კამათი

მომხსენებლებს მისცეს აურაცხელი შეკითხვები, რაზედაც მათ მიიღეს ამომწურავი პასუხი. შემდეგ მოხსენებების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ორატორებმა.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

12 ოქტომბერი

კაპიტალისტები და მემამულეები შველას ითხოვენ

დროებითი მთავრობა ღებულობს დიდძალ მოხსენებებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისაგან გლეხთა მღელვარებების შესახებ.

მთავრობის კომისრებს გარდა, განსაკუთრებით ბევრია დეპეშები მსხვილ მრეწველების ჯგუფების და მემამულეების ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ემუდარებიან მთავრობას გაგზავნოს მათ დასაცავად სამხედრო ძალები და არტილერია.

გლეხთა მღელვარებები — აგრარულ ნიადაგზე ხდება.

ხმა ციხიდან

გაზ. „რაბოჩი პუტ" ათავსებს შენიშვნას—„დაპატიმრებულ ჯარისკაცთა ხმა":

„მინსკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო „თხოვნა" სლუცკის მე-693 და ვოლოგდის მე-18-ე ქვეითა პოლკების მსჯავრდებულ ჯარისკაცებისაგან, რომლებიც მინსკის საგუბერნიო ციხეში ისხდნენ. „თხოვნაში" სხვათაშორის ნათქვამია:

„მეხუთე და მესამოცდათოთხმეტე დივიზიის შტაბთან არსებულ სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩვენ მისჯილი გვაქვს ხანგრძლივი კატორღა და ვიმყოფებით მინსკის ციხეში. ჩვენ, მე-693-ე სლუცკის პოლკის ჯარისკაცები დაგვსაჯეს იმისათვის, რომ პროტესტი განვაცხადეთ ჩვენი საპოლკო კომიტეტის უკანონოდ დაპატიმრების წინააღმდეგ და მოვახდინეთ შეიარაღებული დემონსტრაცია კაზაკების წინააღმდეგ, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ ზარბაზნებიდან ესროდენ ჩვენს პოლკს. ვოლოგდელები კი ციხეში ჩაგვყარეს იმისათვის, რომ უარი ვსთქვით სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ ბრძანების მიღებაზე.

... ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ დავიწყებული ვართ თითქმის ყველას მიერ. მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება, რომ გვყავს ამხანაგები, რომლებიც გულთბილად ეხმაურებიან ჯარისკაცთა უბედურებას და გაჭირვებას, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს მეგობრები.

ეს მეგობრები ხართ თქვენ — ძვირფასო ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო, რომლებიც იცავთ ჩვენ და ჩვენს უფლებებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მხოლოდ თქვენი იმედი გვაქვს! მხოლოდ თქვენგან მოველით დახმარებას!"

გერმანელების დესანტი

გერმანელებმა აიღეს კუნძული ეზელი დესანტი გადმოსხეს კუნძულ დაგოზე (ორივე რიგის ყურესთან).

ინტერნაციონალისტებს შორის

„ნოვაია ჟიზნ" სწერს: „მენშევიკ - ინტერნაციონალისტების (მარტოვის მომხრეების) მთელი რიგ ორგანიზაციების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინეს გაიწვიონ მენშევიკ - ინტერნაციონალისტები გაერთიანებულ პარტიის ც. კომიტეტებიდან".

პეტროგრადის მოსახლეობა

„იზვესტია"-ს ცნობით, დროებითი მთავრობის დადგენილებამ პეტროგრადის განტვირთვის შესახებ ვერ მიაღწია მიზანს. სამისამართო მაგიდის ცნობებით, პეტროგრადის მოსახლეობა უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში არა თუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც.

პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექციაში

სექცია იხილავს საკითხს „ჯარისკაცის ხმის" გადაცემისას პეტროგრადის საბჭოს განკარგულებაში. მომხსენებელი ამ საკითხზე, აღნიშნავს, რომ პეტროგრადის საბჭოს მიერ უკანასკნელად ღებული პოლიტიკური კურსი არსებითად განსხვავდება სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის კურსისაგან, წამოიჭრა საკითხი ცაკის ერთ-ერთი ორგანოს გადაცემის შესახებ პეტროგრადის საბჭოს განკარგულებაში. მომხსენებლის აზრით საბჭოს უნდა გადაეცეს „ჯარისკაცის ხმის" ტექნიკური საშუალებები.

კამათის შემდეგ სექციამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მოითხოვს, რომ პეტროგრადის საბჭოს აღმასრ. კომიტეტმა ენერგიულად მოსთხოვოს ცაკს ერთ-ერთ ორგანოს ტექნიკური საშუალებების გადაცემა პეტროგრადის საბჭოს განკარგულებაში.

მოსკოვის ბურჟუაზია ირაზმება

ტრეტიაკოვის (ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარე) თავმჯდომარეობით შესდგა „საზოგადოებრივ მოღვაწეთა" მუდმივ საბჭოს სხდომა. განხილულ იქნა საკითხი საბჭოს მონაწილეობის შესახებ „დემოკრატიულ" საბჭოში. აირჩიეს წარმომადგენლები.

არჩევნების შემდეგ სხდომამ განიხილა ადგილებზე „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე" პირებისაგან შემდგარ განსაკუთრებული კომიტეტების შექმნის საკითხი. „ამ კომიტეტებს უნდა დაევალოს ბრძოლა ანარქიასთან და მემარცხენე ჯგუფებთან, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ეწევიან".

მითვისებული სახლის მოხსნა

საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოხსნა თავის ორგანოზე „პეტროგრადის საბჭოს" უწყებების სახელწოდება.

კალედინის ულტიმატუმი

გენ. კალედინმა კატეგორიულად მოსთხოვა დროებითი მთავრობას გააუქმოს პროექტი დონში დროებითი მთავრობის კომისარის დანიშვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიაში

მღელვარება ერევანში

„კავკაზსკოე სლოვო" იუწყება ერევანში სასურსათო ნიადაგზე დაწყებულ მღელვარებათა შესახებ.

„თბილისის საბჭოს უწყებები" კოალიციის შესახებ

„თბილისის საბჭოს უწყებები" ახალი კოალიციონური მთავრობის შედგენას ახასიათებს, როგორც „ცენზიანი რუსეთის გამარჯვებას".

მზადება ოქტომბრის ათი წლის თავისათვის

სასოფლო - სამეურნეო გამოფენა

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ახალქალაქში მოაწყოს სასოფლო - სამეურნეო გამოფენა.

საექიმო პუნქტები

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აჭარისტანის მთიან სოფლებში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე გახსნის საექიმო პუნქტებს პატარა აფთიაქებით.

გლეხთა სახლი

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავზე დუშეთში მოხდება გლეხთა სახლის საზეიმო გახსნა. სახლის მოსაწყობად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრ. კომიტეტმა დუშეთის აღმასკომს გადაუგზავნა 500 მანეთი.

კლუბის გახსნა

ოქტომბრის დღესასწაულზე ტყიბულში ახალ შენობაში გაიხსნება მაღაროს მუშათა კლუბი. ამავე დღესასწაულზე რკ. გზის სადგურის საერთო დარბაზში მოეწყობა წითელი კუთხე და საძირკველი ჩაეყრება მუშათა 8 ახალ სახლს მუშებისათვის.

ინვალიდთა სახლი

ფოთის აღმასკომი ამჟამად აწარმოებს დავრდომილ მოქალაქეთათვის თავშესაფარის მოწყობა. სახლი გაიხსნება ოქტომბრის ათი წლის თავზე.

მოძრავი კინოები

სახკინმრეწვმა გადასწყვიტა ოქტომბრის დღესასწაულებზე მაზრებში დაგზავნოს მოძრავი კინოები, რევოლიუციონურ კინო - სურათების საჩვენებლად.

ილია მირიანის ძე ჟუონია

(1860—1927)

9 ოქტომბერს, თბილისში, ქალაქის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა მწერალი და ძველი საზოგადო მოღვაწე ილია მირიანის ძე ჟუონია, ფსევდონიმით თ. მაგმაძე, ძმა მწერლობაში კარგად ცნობილის ალ. ჟუონიასი.

ილია ჟუონია დაიბადა 1860 წ., სწავლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში და იმ დროს დაიწყო მუშაობა, როდესაც ჩვენში საზოგადო მოღვაწეობა—მწერლობა განსაკუთრებულ თავგამოდებას, ძლიერ ნებისყოფასა და საქმის სიყვარულს მოითხოვდა.

ილია ჟუონია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1877 წ. („ივერია"-ში), შემდეგ „დროება"-ში,

ბოლოს სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთებში თანამშრომლობდა.

1886 წ. მისი რედაქტორობით გამოიცა ვახტანგ მე-6-ის მიერ სპარსულიდან ნათარგმნი „ქილილა და დამანა", რომელიც, ისტორიკოს დიმ. ბაქრაძის სიტყვით ილ. ჟუონიამ „ფაქიზად, წიგნის შესაფერად და თითქმის უცდომლად დაბეჭდა".

1894—97 წ. წ. ქუთაისში რედაქტორობდა სამეურნეო ჟურ. „მეურნე"-ს, 1897 წ. იქვე გახსნა ქართული სტამბა მსწრაფლმბეჭდავი მანქანით და მრავალი წიგნი დაბეჭდა.

შეადგინა „სიტყვის კონა", — საბა-სულხან ორბელიანისა და დავ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე დამყარებული სიტყვები. „სიტყვის კონა"-ში შესული და განმარტებულია 1.600-ზე მეტი სიტყვათაკავ. ნ. მარის აზრით, „სიტყვის კონა" ფრიად საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს (გამოცემულია ს.-პეტერბურგში, 1910 წ.).

გარდა ამისა, ილ. ჟუონია სწერდა თუ სთარგმნიდა (სხვადასხვა ფსევდონიმით) ლექსებს, იგავ არაკებს, წერილებს, ფელეტონებს, წვრილ-წვრილ იუმორისტულ ამბებს და სხ. ამ დარგის ნაწერთაგან (1877—1913) გამოცემულია „თაიგული", „კალმის მონახაზი", „ჭალოკი" (1903 წ.), „მაზეპა" (ა. პუშკინის). „ნაწერები"—ვრცელი ტომი საკუთარი თუ ნათარგმნი (1913 წ.).

ილია ჟუონია ცნობილი იყო, როგორც მწიგნობრობის ბეჯითი მუშაკი, ბეჭდვითი საქმის დაუღალავი მოღვაწე.

უკანასკნელ ხანებში სიბერისა თუ სხვა მიზეზით ილია ჟუონია აქტიურ მუშაობას ჩამოსცილდა, მაგრამ სულით და გულით თავის საყვარელ საქმის წარმატებას შესტრფოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულათ დააფასა ამ ძველი კულტურული მოღვაწის შრომა. ილია ჟუონიას ეძლეოდა პენსია.

დღეს, ხელოვნების სასახლიდან (იც. მაჩაბლის ქ. № 13), ნაშუადღევის 4 საათზე, გაასვენებენ და დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ. მწიგნობრობისა და ხელოვნების კიდევ ერთ მოამაგეს.

ი. ი—ლი.

საკურორტო სეზონი აფხაზეთში

აფხაზეთის საკურორტო სამმართველო უკვე დიდი ხანია აწარმოებს მუშაობას საზამთრო საკურორტო სეზონისათვის. სწარმოებს და ამ დღეებში დამთავრდება ზოგიერთი სასტუმროების და სანატორიუმების შენობების რემონტი.

გასული წლის კაპიტალური შეკეთების შემდეგ—დიდ საფუძვლიან რემონტს არც ერთი შენობა არ საჭიროებს. ამჟამად საკურორტო სამმართველო ანაწილებს სანატორიუმებს და ცალკე ნომრებს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

მიმდინარე წლის საზამთრო სეზონისათვის სანატორიუმებში საწოლის დათმობის შესახებ დიდძალი განცხადებაა შეტანილი.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებიდან მოაგარაკეთა ჩამოსვლა სოხუმში უკვე დაიწყო. ამინდები კარგია. დგას მზიანი დარი და ზღვაც დამშვიდებულია.

აფხაზეთის დამზღვევ სალაროს საზამთრო სეზონისათვის აღებული აქვთ გულრიფშის სანატორიუმებში 50 საწოლი დაზღვეულ ავადმყოფებისათვის. საწოლები გამოყოფილია აგრეთვე საქართველოს და აზერბეიჯანის დამზღვევ სალაროებისათვის. 15 ოქტომბრიდან სოხუმში გაიხსნება ექიმ პოლუგოროდნიკოვის ახლობის სანატორიუმები სპეციალურად იმ ავადმყოფების მოსათავსებლად, რომელნიც ყელის ტუბერკულოზით არიან დაავადებულნი.

ჯერჯერობით სანატორიუმში იქნება 30 საწოლი. განზრახულია შემდეგისათვის საწოლების რიცხვის გადიდება.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა

საქართველოში უკვე დამთავრდა 1905 წელში დაბადებულ გასაწვევ ახალგაზრდობის საექიმო შემოწმება.

გამორკვეულია გასაწვევთა რიცხვი, მათი ჯანმრთელობა, განაწილებულია შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. რამოდენიმე კვირის შემდეგ გასაწვევნი ამოიღებენ კენჭს, რის შემდეგაც ახალწვეულები გაეგზავნებიან სათანადო ჯარის ნაწილებში ნამდვილ სამხედრო სამსახურის გასავლელად.

რა დაგვანახვა მიმდინარე გაწვევამ?

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელი მოსახლეობა შეხვდა გაწვევას დიდი თანაგრძნობით. ის ფაქტი, რომ არც ერთ კუთხეში არ ჰქონია ადგილი დეზერტირობას, სიმულიაციას, გაწვევის თავიდან აცილების ცდას, მოწმობს საქართველოს მშრომელი მასის შეგნებას საბჭოთა კავშირის დღევანდელ მდგომარეობისა. ხშირად გამართულ გამოსათხოვარ საღამოებზე გლეხები არიგებდენ გაწვეულებს; „შეისწავლეთ იარაღის ხმარება, რომ კარგათ დაიცვათ ჩვენი ქვეყანა მტრებისაგან".

თვით ახალგაზრდობა ხალისიანად მიდიოდა წითელ ჯარში. ჯარში გასაწვევებმა კარგათ იციან, რომ ყაზარმა იარაღის ხმარებასთან ერთად ასწავლის ახალგაზრდობას ცხოვრებაში გამოსადეგ მრავალ საგნებს და ამიტომ [illegible] ცდილობს მოხვდეს წითელარმიელთა რიცხვში. ბევრ ადგილას გასაწვევნი უარს ამბობდენ შეღავათებზე და მოითხოვდენ გაეგზავნათ წინ. ჯარში. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გასაწვევნი უარს აცხადებდენ საექიმო შემოწმებაზედაც.

ყველა ეს მოწმობს იმას, რომ წრევანდელი გაწვევა არის მეტად ნაყოფიერი და ახალწვეულთა სახით წითელი არმიის რიგებს ემატება სავსებით შეგნებული და თავისი მოვალეობის კარგათ მცოდნე ახალი ძალა.

გასაწვევთა სავსებით ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის გამწვევ კომისიების მიერ ცნობილ იქნა გასაწვევთა 52 პროც. რაც უდრის გასაწვევთ რიცხვის ნახევარზე მეტს. უვარგისთა რიცხვი უდრის 9 პროც.; ავადმყოფობის გამო გადავადებულ გასაწვევთ ვადა 10 პროც.; ჩარიცხულ იქნა ზურგის ნაწილებში სამსახურის გასავლელად 1,5 პროც.; განთავისუფლებულ იქნენ სრულიად სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური შეხედულებების გამო მხოლოდ 9 კაცი.

მიმდინარე გაწვევაზე მიეცა შეღავათი სწავლის დასამთავრებლად 2.000-მდე მოსწავლე ახალგაზრდობას.

ეს ციფრები მოწმობენ თუ როგორ ფრთხილად ეპყრობოდენ გამწვევი კომისიები ახალგაზრდობის გადარჩევას წითელი არმიის რიგებისათვის. მიღებულ იყო ყოველგვარი ზომები, რომ წითელ არმიაში არ მოხვედრილიყო არც ერთი უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის, ან შეღავათის მქონე, აგრეთვე მიეცა ფართო შეღავათი მოსწავლე ახალგაზრდობას.

დაგვიანებულთა გამოცხადების შესახებ

არიან ისეთი ახალგაზრდები, დაბადებული 1905 წელში, რომელნიც რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ გაწვევაზე, ამხ.-საზღვ. სახ. კომისარი განმარტავს, რომ დაგვიანებულნი, რომელნიც გამოცხადდებიან 1927 წლის 31 დეკემბრამდე, გაიგზავნებიან ჯარის ნაწილებში კენჭის უყრელად.

ის მოქალაქენი კი, რომლებიც გამოცხადდებიან 31 დეკემბრის შემდეგ, გაიწვევიან ჯარში მორიგ გაწვევაზე.

ი. ბ—ლი.

ქრონიკა

ამხ. თედო ღლონტის დაბრუნება

10 ოქტომბერს ბერლინიდან თბილისში დაბრუნდა სახ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თედო ღლონტი, რომელიც მივლინებული იყო გერმანიაში სამეცნიერო მიზნით.

ამხ. თ. ღლონტი დღეიდან შეუდგება თავის თანამდებობის შესრულებას.

ამხ. გრუზინის გამგზავრება

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. გრუზინი, რომელიც ამ ორი დღის წინ ჩამოვიდა თბილისში, ღამით 10 ოქტომბერს გაემგზავრა ბორჯომში.

იქ ამხ. გრუზინი ამ.-კავკ. რკ. გზების გამგეობის წევრის თანაშემწის—ინჟ. **გ. გვერდწითელის** თანხლებით დაათვალიერებს ბორჯომის და ბაკურიანის შტოებს, სადაც გაეცნობა იქ წარმოებულ ახალ საამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას.

სეტყვისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურება

წელს სახალხო მამულებისათვის სეტყვისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ მიწათმოქმედების კომისარიატს გადასცა 18.385 მანეთი აქედან წინანდალის მამულს გადაეცა—2.460 მ., ნაფარეულის — 2.462 მ., მუკუზანის —4395 მ., კარდანახის — 2.400 მ. ამ მამულებში სეტყვამ დააზარალა ვენახები, ხოლო სახალხო მამულს „მერცს" სადაც სეტყვამ დააზარალა ხეხილის ბაღები, გადეცა 6.677 მანეთი.

ტელეფონი—ლენინგრადი-თბილისი

ზემაგისტრალის ტელეფონით თბილისი-ლენინგრადი ამ დღეებში მოხდა პირველი ფასიანი საუბარი თბილისსა და მოსკოვს შორის. ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. **გუსეინოვმა** სამსახურის საქმეებზე 15 წუთის განმავლობაში ესაუბრა მოსკოვს.

ლენინგრად-თბილისის ტელეფ. საბოლოოდ გაიხსნება ზემაგისტრალის ტეხნიკურად გამოკვლევის შემდეგ; გამოკვლევას აწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის სათანადო კომისია.

შაქარი თბილისისათვის

გუშინ შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილებამ მიიღო შაქრის ფხვნილის ახალი პარტია, რომლითაც იგი სავსებით უზრუნველჰყოფს ქალაქის ბაზარს.

ტრესტმა განაწილა მიღებული შაქარი.

გზაშია და მოკლე ხანში მიღებული იქნება კიდევ შაქრის ფხვნილის ახალი პარტია.

ოდესიდან ფოთის ნავთსადგურში მოვიდა გემი შაქრის ფხვნილით.

ნატეხი შაქარი (რაფინადი) ტრესტს აქვს სამი თვის მარაგი.

„სამშენი"

ამ დღეებში საზ-ბა „სამშენმა" თავისი განყოფილება გახსნა ბათომში.

მშენებლობის გაიაფების **მიზნით**, საზ-ბა „სამშენს" მიღებული აქვს ზომები საამშენებლო მასალის გასაიაფებლად, რასაც უმთავრესად ხელს შეუწყობს საამშენებლო მასალის დამზადების მექანიზაცია და მისი მასიური დამზადება.

თბილისის აღმასკომში

◆ **საბჭოთა სახლების შესაკეთებლად** აღმასკომმა გადასდო 250.000 მან.

◆ **განათება ტრაქტორების საშუალებით.** აღმასკომმა გადასწყვიტა ზამთრის განმავლობაში მაზრის თემებში ტრაქტორების საშუალებით მოაწყოს სათემო დაწესებულებების, სამკითხველოების და კლუბების განათება.

◆ **საგარეჯოს საავადმყოფოს დასამთავრებლად** თბ. აღმასკომმა გამოყო სპეციალური კომისია.

◆ **ქალაქის სატელეფონო ქსელის გასაფართოებლად** და საჭიროებათათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 100.000 მანეთი.

◆ **საბინაო მშენებლობისათვის** კომუნალურ მეურნეობას დამატებით გადაეცა 150.000 მანეთი.

მიწსახკომში

◆ **მეფუტკრეობა.** მიწსახკომის მიერ მოწყობილი მეფუტკრეობის კურსები წელს დაამთავრა 596 გლეხმა. კურსები მოწყობილი იყო როგორც თბილისში, ისე სხვადასხვა მხარეებში.

◆ **აგრონომები.** მიწსახკომს მაზრებიდამ მოდის მოთხოვნილება აგრონომებზე. პირველ რიგში საჭიროა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი 25 აგრონომი.

◆ **ზემო - სვანეთში აგრიკულტურული მუშაობის** საწარმოებლად მიწსახკომმა გადასდო 5.500 მან.

◆ **ღვინის მოსავალი.** მიწსახკომის ცნობით იმერეთში ყურძნის კრეფა დაიწყება 15 ოქტომბრიდან. კახეთის სახალხო მამულებში ყურძნის კრეფა უკვე დასრულდა. ღვინის მოსავალი შარშანდელზე ნაკლები არაა, ხოლო ხარისხით უკეთესია.

◆ **ყურძნის წვენი.** სახალხო მამულების ტრესტი შეუდგა ყურძნის წვენის დამზადებას წინანდალში, მუკუზანში, ნაფარეულში და ვარციხეში. ეს წვენი იხმარება სამკურნალოდ.

ხელოვნება

პროლეტ. მწერალთა ჟურნალი აჭარისტანი

ოქტომბრის ათი წლის თავიდან ქ. ბათომში გამოვა საქართ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილების ყოველთვიური სამხატვრო - სალიტერატურო ჟურნალი. მასალების მიღება სწარმოებს გაზეთ „ფუხარა"-ს რედაქციაში (ბათომი, ინტერნაციონალის ქ. № 58) ამხ. **ვ. მახარაძესთან.**

◆ **ახალი კლუბი.** აღმშენებელთა კავშირმა გადასწყვიტა თავის წევრებისათვის პლეხანოვის პროსპექტზე აგოს ახალი კლუბი.

შემთხვევები

ხელიგნების დაპატიმრება

გუშინ აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრა **ისაკ იუმანაროვი, ხილონ კასაკინი, ერვანდ ქობულოვი, გიორგი კაკაბაძე, როსტომ აბაშიძე, ალექსი გალახაევი და დავით ლაზღაიძე.**

ქურდობა სოფ. ჩუმლაყში

ა. წ. 25 სექტემბერს, სოფ. ჩუმლაყში (სიღნაღის მაზრა) გაქურდეს მასწავლებელ თ; ქურდაშვილის ბინა, წაიღეს ტანთსაცმელი და ოქროს საათი.

ბოროტმოქმედი—**ზაქ. ზეგაშვილი** დაპატიმრებულია. ნაქურდალი ნივთები იპოვეს.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ტანთსაცმელები და სხვა ნივთები პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, **ოთახი № 6, გ. გამრეკელთან.**

— **1.500 მანეთის ნივთების მოპარვა.** 10 ოქტომბერს გოგოლის ქ. № 45 გაქურდეს ლიუდმილა კომოს ბინა. წაიღეს 1.500 მ. ნივთები.

— **შეპყრობა.** 10 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ვანო არმენაკის ძე გალუსტოვი.

— **ცენტრალურ ბაზარში** ქურდობისათვის დააპატიმრეს ტიგრან ოგანესის ძე ედიგაროვი.

— **მორგებული გასაღების საშუალებით** 10 ოქტომბერს გაქურდეს გრიგოლ ჭალიშვილის ბინა (მდებარე მადათოვის ქ. № 5). მოიპარეს 300 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

— **რკ გზის სადგურში** მოქ. შავგულიძისათვის პორტფელის მოპარვის გამო შეიპყრეს ალექსანდრე ილიას ძე ჩერმაშინცევი.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 ოქტომბერს შეიპყრეს ქურდი ივანე მათეს ძე პავლიაშვილი.

„ოქროს თაფლი"

ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა „სოვკინო"-ს ლენინგრადის კინოფაბრიკის ექსპედიცია რეჟისორ პეტროვის მეთაურობით. რეჟისორმა პეტროვმა ამ ექსპედიციის მუშაობის შესახებ შემდეგი განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში:

ამა წლის ივლისიდან შევუდექით პირველი საბავშვო სურათის „ოქროს თაფლის" გადაღებას. ვინაიდან ლენინგრადში დაიწყო ცუდი ამინდები, სურათის გადაღება შეუძლებელი გახდა. ამიტომ განვიზრახეთ ეს საქმე დავამთავროთ ბათომში, სადაც ამინდი სავსებით შეუწყობს ხელს ჩვენს მუშაობას.

ექსპედიციის მუშაობა წარმოადგენს პირველ ცდას საბავშო სურათის შესაქმნელად, რომელიც საბჭოთა კავშირში დღემდე არ არსებობდა.

მეტად საგულისხმოა ექსპედიციის მუშაობა მსახიობთა კადრის შერჩევის მხრივ. სურათის ყველა მონაწილენი არიან მხოლოდ და მხოლოდ უპატრონო ბავშვები, რომელნიც გამოყვანილნი არიან ბავშვთა სახლებიდან, ღამის სათევ ბინებიდან, მილიციიდან, აყვანილი არიან ქუჩიდან და სხვ. ყველა ამ ბავშვებს აქვს სისხლის სამართლის დანაშაულის წარსული, ზოგ მათგანს საკმაოდ დიდი ისტორიაც აქვს ამ დარგში ეს უპატრონო ბავშვები არიან არანორმალური. დეფექტიური. მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით მათი გამოყენება კინო - სურათის გადაღებისათვის. პირველ ხანებში მუშაობა ძალიან ძნელი იყო სანამ ისინი შეეჩვეოდენ ერთგვარ დისციპლინისადმი დამორჩილებას. ეხლა მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ ჩვენი პირველი ცდა სრული გამარჯვებით დამთავრდება.

ჩვენს მიზანს შეადგენს, რომ მომავალში ამ დეფექტიური ბავშვებისაგან შეიქნას განსაზღვრული კადრი, რომლის საშუალებითაც შეიძლება საბავშვო სურათების გადაღება. ბავშვებს შორის არიან ზანგები, ჩინელები, თათრები, უკრაინელები, რუსები და სხვ. ეროვნების.

ამ პირველი საბავშვო სურათის „ოქროს თაფლის" სცენარის სიუჟეტი აღებულია სეიფულინის მოთხრობიდან „სამართლის დამრღვეველნი" და ორი უპატრონო ბავშვის მოთხრობიდან „რესპუბლიკა — შკიდი".

ციკლი „ოქროს თაფლი"-დან

სასამართლო

მეგობარი მეგობრის საცოლესთან

არუთინ ავაქოვს ჰყავდა საცოლე ირმა. საცოლეს გარდა ჰყავდა კიდევ ერთი კარგი მეგობარი არშაკ საყვარელიძე. იმდენად კარგი მეგობარი იყო არშაკი, რომ არუთინს არაფერი ჰქონდა მისგან დაფარული. კიდევ მეტი: არუთინს და ირმას მიჯნურობის ხანაში პაემანის ადგილად მუდმივად მიჩენილი ჰქონდათ არშაკ საყვარელიძის ბინა და სახელოსნო.

არშაკმა თავისი მეგობრის რომანის ყოველი წვრილმანი იცოდა. თვითონ ირმაც ძალიან კარგს განწყობილებაში იყო თავის საქმროს მეგობართან—არშაკთან.

დროთა განმავლობაში შავმა კატამ შავი კვალი გაავლო ირმასა და არუთინის რომანს. მათ უკვე შესწყვიტეს ერთმანეთთან სიარული, მომდურაობის დროს ირმა განაგრძობდა სიარულს არშაკ საყვარელიძესთან, როგორც მომდურავე საქმროს მეგობართან და ესაუბრებოდა მას იმ გაუგებრობის შესახებ, რომელმაც განხეთქილება ჩამოაგდო მასსა და მის საქმროს შორის.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ირმა კვლავ ეწვია არშაკს თავის სახელოსნოში და ესაუბრებოდა თავისი რომანის გარშემო, არშაკმა ჩაკეტა კარები, ვნება აშლილი მივარდა მეგობრის საცოლესთან და დაუწყო ხვევნა. ხვევნას მოჰყვა ძალდატანება გაუპატიურების მიზნით.

მაგრამ ირმა მოხერხებული ქალი აღმოჩნდა, მან თავი მოიკატუნა გულწასულივით: „მიშველე არშაკ ჯან წყალი, ცოტა გული მოვიბრუნო და მერე..."

არშაკი გავარდა შურდულივით ეზოში, ამ დროს ზეზე წამოხტა ირმა, გამოვარდა გარეთ და მორთო ყვირილი.

ამ რიგად დარჩა არშაკი პირში ჩალა გამოვლებული.

შემდეგ ოქმი და არშაკი, როგორც მეგობრის საცოლის გაუპატიურების გამზრახველი, გაიგზავნა საპატიმროში. საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

გერ.

ორი მხეცი

ეს ორი მხეცი ადამიანი **სოლომონ ილიასძე აბარაშვილი და დიმიტრი ნიკოლოზისძე მეკოაიშვილი** არიან.

რა ჩაიდინეს მათ?

ა. წ. მაისის 29-ს, დაახლოვებით ღამის პირველ საათზე სოფელ გიორგი-წმინდაში (საგარეჯოს რაიონი) გიორგი გივიშვილის ოჯახს თავს დაესხნენ გასაძარცვავად. ოთახში ეძინათ გიორგის, მის ცოლს და გიორგის ძმას. ხმაურობაზე გამოღვიძებულმა გიორგიმ გააღვიძა თავის ძმა და როცა დაინახა, რომ შეიარაღებული ყაჩაღები კარებს ამტვრევენ, გააღო უკანა კარები და ძმასთან ერთად გამოვარდა გარეთ, რომ ვინმესათვის შეეტყობინებია ყაჩაღების თავდასხმის შესახებ, ოთახში მარტო დარჩა გივიშვილის ცოლი. ყაჩაღებმა შეამტვრიეს კარები, ააფორიაქეს მთელი ოჯახი, მხეცები გაძარცვით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ დაიჭირეს უმწეოდ დარჩენილი ქალი, გივიშვილის ცოლი, სცემეს და როცა არაქათგამოლეულ ქალს გრძნობა დაკარგული ჰქონდა, დაიჭირეს მასთან სქესობრივი კავშირი.

მთელი გიორგი-წმინდის მოსახლეობა აღშფოთებული დაეძებდა ბოროტმოქმედთ, რომლებიც მალე შეპყრობილ იქნენ.

საქმე გამოძიების შემდეგ გადმოიგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში. ახლო მომავალში ეს ორი მხეცი წარსდგება სასამართლოს წინაშე.

განაჩენი გიორგი ანტონოვის საქმეზე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი გიორგი ნიკოლოზისძე ანტონოვის საქმეზე.

ანტონოვს დაუმტკიცდა „ზაკტპო"-ს ბორჯომის მაღაზიაში პასუხისმგებელ ნოქრად ყოფნის დროს 3.126 მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

სასამართლოს განაჩენით ბრალდებულ ანტონოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით, სასტიკი იზოლიაციით. მსჯავრდადებულმა უნდა დაფაროს სასამართლო ხარჯები და უნდა დააკმაყოფილოს „ზაკტპო"-ს გამგეობის სარჩელი 3.126 მანეთის რაოდენობით.

ბოროტმოქმედება

სატყეო მრეწველობის ტრესტში

კახეთის რაიონში შეშის დამზადების შეწყვეტის შემდეგ, ხსენებულ რაიონში ამ საქმის ხელმძღვანელის თანაშემწე **ვ. ხახიშვილს** დაევალა საქმეების ლიკვიდაციის ჩატარება და იქ დამზადებული შეშის გადმოზიდვა. მოქ. ხახიშვილს ამ მიზნით ეძლეოდა ავანსები. მასვე დაევალა ბოყვების დამზადება. შეშის გადმოზიდვის შემდეგ მოქ. ხახიშვილი ანგარიშების ჩაბარებას აჭიანურებდა, რამაც ეჭვები გამოიწვია. დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხახიშვილის ანგარიშების შემოწმება, კომისიამ გამოარკვია, რომ მოქალ. ხახიშვილს გაფლანგული აქვს 3.325 მანეთი და 58 კაპ. გარდა ამისა მას აკლია სხვადასხვა სატყეო მასალა—ღირებული 2.000 მანეთამდე და დამზადებული აქვს 2 ვაგონი უვარგისი ბოყვები. კომისიამ გამოარკვია, რომ მოქ. ხახიშვილი ზედმეტ ხარჯებს ეწეოდა (მაგ. ვაგონის გამყოლს აძლევდა დღიურს 10 მანეთს, მუშებს უმასპინძლდებოდა ღვინითა და არაყით, მოგზაურობდა ნაქირავებ ეტლით, როდესაც ამ მიზნით მას ჰყავდა ცხენი და სხ.) აღნიშნულ ბოროტმოქმედებისათვის მოქ. ხახიშვილი დაპატიმრებულია. მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

გაფლანგვა

სატყეო მრეწველობის ტრესტის ხე-ტყის საწყობების და ქარავნის მუშა-მოსამსახურეთა პროფრწმუნებულმა **ლ. ტოლონიძემ** გაფლანგა მის მიერ აკრეფილი საპროცენტო ანარიცხები 500 მანეთამდე. მუშკოოპის სამმართველოდან მანვე გამოიტანა და მიითვისა 247 მანეთი. ტოლონიძის საქმე გადაეცა პროკურატურას.

ბიბლიოგრაფია

გიორგი ჯანაშვილი. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია

სახელგამი—1927 წ. ტირაჟი—5000. ფასი 2 მ.

უკანასკნელი ხანა ხასიათდება საეკონომიო მეცნიერების ახალი დარგის—ეკონომიური გეოგრაფიის აღორძინებით. სულ რამოდენიმე წლებია, რაც ეს საგანი გამოეყო პოლიტიკურ ეკონომიას და დამოუკიდებელ მეცნიერებად გადაქცევას ცდილობს. მიუხედავად ამისა, მას მეტად დიდი მიღწევები ახასიათებს; ეკონომიურ მეცნიერების საგანთა შორის ის ამჟამად ყველაზე უფრო პოპულიარულია, ყველას საკითხავი, და, ამ დარგში; ახალი ნაშრომებით მდიდრდება მეცნიერება.

ეს თვითონ საგნის ბუნებითაც აიხსნება. ეკონომიური გეოგრაფია, უაღრესად ობიექტიური მეცნიერება არის, ის ფაქტებს ისე გადმოგვცემს, როგორიც არის; იგი იძლევა დასრულებულ სურათს მეურნეობის მდგომარეობისა, ქვეყნებისა და ქვეყნის კერძო ნაწილებისა; მის მიერ მოპოებული ცნობები აუცილებელია ყოველგვარ მეურნეობითი ხასიათის საქმიანობისთვის, ყველა კულტურულ ადამიანისათვის. ჩვენი ეპოქა, რომელიც ხასიათდება უდიდესი ეკონომიური მიღწევებით, დაწვრილებითი ცნობებს ამ მიღწევებზე მხოლოდ ეკონომიური გეოგრაფიის მონოგრაფიების საშუალებით ვებულობთ.

საგნის ობიექტიური და იმ ცნობების პრაქტიკულ ხასიათით, რომელსაც ეს მეცნიერება იძლევა, აიხსნება წიგნის ბაზრის ისეთი სწრაფი დატვირთვა სხვადასხვა ავტორების ეკონომიური გეოგრაფიის კურსით და ასეთივე სწრაფი განტვირთვა. რასაც ამ დარგში ვამჩნევთ.

იგივე ითქმის აღნიშნულ წიგნის შესახებ. ეს წიგნი ამ მცირე ხანში დიდი ტირაჟით მესამეჯერ გამოდის. წიგნი როგორც სახელმძღვანელო, ჩვენში არსებული სკოლათა ტიპის საშუალ სკოლებთათვის, დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი, მასში დასრულებულად არის წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის მეურნეობათა ყველა დარგი და ზოგიერთა შესახებ მეტს ცნობებს იძლევა, ვიდრე ამ საგანზე არსებული სხვა უფრო დასრულებული სახელმძღვანელოები. მაგალითად: მევენახეობა, საშინაო მრეწველობა, სამკურნალო მცენარეთა კულტურა და მეფუტკრეობის შესახებ საქართველოში.

ახალ გამოცემაში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი; ციფრობრივი მასალები სრულიად განახლებულია. წიგნი შევსებულია ახალი ტაბულებით, დიაგრამებით, კარტოგრაფებით და სურათით, რაც საგანს უფრო ადვილად შესათვისებლად ხდის. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის ზოგიერთი ტაბულა არ არის სრული, მაგ., საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ (ტომ. მე-11), არ ამოსწურავს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთ, რასაც შეუძლია მოსწავლე შეცდომაში შეიყვანოს. ტაბულებში არის კიდევ ძველი ცნობები, რომლის განახლება, ცნობების არსებითათ ცვლილებას მოგვცემდა.

დამატებულ ადგილებს შორის აღსანიშნავია ზაჰესის შესახებ. ახსნილია მიზეზები თუ რამ გამოიწვია სადგურის იდეის წარმოშობა, როგორ დაძველდა თბილისში არსებულ სადგურების ძველ მანქანათა უმრავლესობა, რომელთა ძალა რამოდენიმეჯერ შემცირდა და რა გავლენას მოახდენს აჭალის უხვი ენერგია თბილისის და მის მახლობელ ადგილების წარმოებებზე.

წიგნის ნაკლულოვანებათა შორის აღსანიშნავია, იმ ადგილის ბუნდოვანობა და გაურკვევლობა, რომელიც საქართველოს ჰავასა და ნიადაგს ეხება. წიგნში ეს საკითხი განხილული, შემდეგ თავში: „საქართველოს განაწილება ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქებად და მისადევრებად". ჩვენი ქვეყნის ნიადაგსა და ჰავაში, მისი მრავალფეროვნების გამო, სადაც ხშირად, სრულიად მცირე დაშორებული ნაკვეთები, დიამეტრალურად კონტრასტიულ ჰავასა და ნიადაგს შეიცავენ, მეტად ძნელია გარკვევა. ამისათვის დაწვრილებითი ეკონომიური გეოგრაფიის მიზანი უნდა იყოს უფრო დასრულებული წარმოდგენა მოგვცეს ამ საკითხზე. წიგნი არაფერს დაჰკარგავდა აგრეთვე, მესამე გამოცემაში სრულად რომ არ იყოს პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც არც სტილისტიურად არის გამართული და არც არსებითად, ახალს არაფერს ამბობს.

ვ. მ.

ქუთაისი

საჭიროა თანამშრომლები

ქუთაისის აკადემიური დრამა შეუდგა დასის გაფართოებას ახალი თანამშრომლების (ქალებისა და ვაჟების) მოწვევით. ვისაც თანამშრომლობა სურს, უნდა მიმართოს თეატრის ადმინისტრაციას, სადაც შეიძლება თანამშრომლობის პირობების გაგება.

წითელი ჯვრის სამდღიური

სექტემბრის 30 და ოქტომბრის 1 და 2 რიცხვს ქ. ქუთაისში და მის მაზრაში გამართულმა წითელი ჯვრის სამდღიურმა თავის შედეგით მოლოდინს გადააჭარბა: მარტო ქ. ქუთაისმა მისცა წითელ ჯვარს 2.700 მანეთამდე.

მაზრის დაბა - ქალაქებიდან თუმცა ჯერ სრული ცნობები არაა მიღებული, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ სამდღიურის მთელი შემოსავალი 3.300 მანეთს გადააჭარბებს.

მუშკოოპში

ქუთაისის ერთიან მუშათა კოოპერატივის „კოოპერაცია"-ს გამგეობის წევრის ადგილზე ამ თანამშრომლობიდან გადაყენებულია ნ. ხაჭარეიშვილის ნაცვლად მოიწვიეს ამხ. ალექსანდრე სტურუა.

საავადმყოფოში

კომუნალური მეურნეობის განყოფილება უკვე შეუდგა საბჭოთა პირველი საავადმყოფოს კაპიტალურ შეკეთებას, რისთვისაც გადადებულია 30.000 მანეთი.

წვიმების შედეგები

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობებით. —წელს სასოფლო მეურნეობის მოსავალი აფხაზეთში პერიოდული კოკისპირული წვიმებისა და ხშირი სეტყვიანობის გამო, ხელსაყრელი ვერ არის. ხშირმა წვიმებმა გლეხობას არ დააცალა თამბაქოს პლანტაციების დამუშავება და სარეველა მცენარეებმა მთლად დაჩრდილეს თამბაქოს ნათესები. მთის ფერდობებზე ნიაღვრებმა წალეკეს პლანტაციები, ხოლო დაბლობ ნესტიან ადგილებში თამბაქოს მცენარეებს ძირი ამოულპათ. წვიმებმა და ნესტიან ამინდმა დააბრკოლეს თამბაქოს გახმობა, რის გამოც თამბაქოს ხარისხი ჩვეულებრივზე დაბალი გამოვიდა. ხშირი წვიმების გამო გამრავლებულმა სარეველა ბალახებმა დააზიანეს აგრეთვე სიმინდის ყანები, რომელიც ალაგ-ალაგ წალეკეს აგრეთვე მოდიდებულმა მდინარეებმა. ხილი წვიმების წყალობით გამოვიდა წყლიანი და მჟავე. ყურძნის მოსავალიც, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით საშუალოზე დაბალია.

ხორცის გაიაფება

უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზარზე ხორცის ფასმა შესამჩნევლად დაიკლო. ეს აიხსნება იმით, რომ ქალაქში საკლავ საქონლის შემოტანა მეტად გაძლიერებულია; მას ერეკებიან როგორც მახლობელ რაიონებიდან, ისე აპარსეთიდანაც.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის კომისარიატის მიერ კილოგრამ ხორცის ნორმალურ ფასად დაწესებულია 74 კაპ. კოოპერაციამ თავის ზედნარი ხარჯების შემცირებით ანგარიშზე შესძლო კილოგრამ ხორცის ფასის გაიაფება 4 კაპ.

თბილისის საქონლის ბირჟის ხორცეულის სექციის უკანასკნელ სხდომაზე მუშკოოპის წარმომადგენელმა აღძრა საკითხი ხორცზე ფასების კიდევ უფრო დაკლების შესახებ, რისთვისაც საჭიროდ სცნო, ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციების მხრივ იმ ფასების კიდევ უფრო დაკლება, რომლებშიაც ისინი აწვდიან ხორცს კოოპერაციას ამჟამად.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს სექცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხორცის დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ შესძლებენ ხორცზე იმ ფასების შემცირებას, რომლითაც ისინი აწვდიან მას კოოპერაციას.

ტყეების მოწყობა

წელს, ზაფხულის განმავლობაში, მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში მყოფ სატყეო რაიონებში სწარმოებდა ტყეების კულტურული მოწყობა. ტყეების მოწყობას აწარმოებდა მიწსახკომის ოთხი სპეციალური რაზმი. რომლებმაც თითქმის დაასრულეს თავიანთი მუშაობა. ორი რაზმი, რომლებიც უკანასკნელად მუშაობდა ოზურგეთის და სენაკის სატყეოებში, უკვე დაბრუნდა თბილისში. ორი რაზმი კი დარჩა სენაკის მაზრაში და აწარმოებს ტყეების მოწყობას ჭაობიან ადგილებში. მათი დაბრუნების შემდეგ მიწსახკომი შეუდგება დაგროვილ მასალების დამუშავებას.

ახლო ხანში დაიწყება ტყეების საშემოდგომო მოწყობა. ამ მიზნით სატყეო სამმართველოს წინადადება მიეცა ადგილობრივ მიავლინოს სპეციალისტი — ინსტრუქტორები. ტყეების საშემოდგომო მოწყობასთან ერთად აწარმოებს სხვადასხვა ჯიშის თესლეულობის შეგროვებას.

მეცნიერება და ტეხნიკა

თევზების მხედველობა

მეტინგენის (გერმანიაში) ზოოლოგიურ ინსტიტუტში მოახდინეს რამდენიმე მეტად საინტერესო ცდა. აკვარიუმში, რომელშიც თევზები იყო მოთავსებული, კედელზე მოაწყვეს ეკრანი. თევზებისათვის საჭმელის მიცემის დროს ეკრანს სტყორცნიდენ განსაზღვრული სიგრძის ტალღის მქონე სხივებს. თევზები იმ იმედით, რომ მათ საკვებს აძლევენ, მიილტვოდენ იმ სხივებისაკენ, რომელსაც წინასწარ იყვნენ შეჩვეული. გამოირკვა, რომ თევზები არჩევენ ოცამდე ელფერს, მათ რიცხვში ულტრაიისფერი სხივების რამდენიმე ელფერს, რომლებიც მიუწდომელი არიან ადამიანის თვალისათვის. ყველაზე მეტი შეცდომები მოუვიდათ თევზებს ყვითელ ფერში, რომელიც ადამიანის თვალისათვის, სპექტრის ყველა ფერთა შორის, ყველაზე უფრო წააგავს თეთრ ფერს. მსგავსება ადამიანის მხედველობასთან კიდევ უფრო შორს მიდის: თევზებისათვის, ისე როგორც ადამიანისათვის, არსებობს დამატებითი ფერების წყვილები, რომელთა შერევა იძლევა ერთი ფერის შთაბეჭდილებას. ამრიგად, ამ ცდებმა დაადასტურეს ადამიანისა და თევზის ძირ ფერების შეგრძნობათა ძირითად კანონების მსგავსება.

ლამანშზე—26 წუთში



სურათზე ნაჩვენებია გლისერი (აეროპლანის მსგავსი ნავი), გამოგონებული ერთ ფრანგ ინჟინერის მიერ. ამ გლისერს საათში შეუძლია 75 საზღვაო მილის (150 კილომეტრამდე) გავლა და 4 მგზავრის გადაყვანა. მანძილი ბულონიდან (საფრანგეთი) დავერამდე (ინგლისი) გლისერმა გაიარა 26 წუთში (21 მილი).

კუნძულის გაქრობა

სექტემბრის პირველ რიცხვებში წყნარ ოკეანეში, ჩინეთი — იაპონიის სანაპიროებთან ადგილი ჰქონდა კატასტროფიულ მიწისძვრას. ბერლინის ჰიდროგრაფიული ინსტიტუტის ცნობით, ამ მიწისძვრის შემდეგ ჩინეთის ზღვაზე ჰონკონგის ახლო, გაქრა კუნძული, რომელიც მეკობრეთა თავშესაფრებს წარმოადგენდა. მეკობრეთა წინააღმდეგ გამოგზავნილმა დამსჯელმა ექსპედიციამ კუნძული ვერ იპოვა. ზღვის ძირის გაზომვით გამოირკვა, რომ კუნძული ჩაიძირა მთელი თავისი მოსახლეობით.

შეერთებული შტატების წყლების ენერგია

შეერთებულ შტატებში ჰიდრო-სადგურებიდან მიღებული ენერგიის საერთო რაოდენობა 1927 წ. უდრის 11.721.000 ცხენის ძალას, ე. ი. 20 პროცენტს მთელი ენერგიული მეურნეობის ძალოვნებისას. სულ სხვადასხვა მამოძრავებლებიდან (ავტომობილების, ორთქლმავლების და ლოკომობილების გამოკლებით), წლის განმავლობაში მიღებულია 55.000.000 ცხენის ძალის ენერგია. 1910 წ. ეს ციფრი უდრიდა 26.000.000 ცხ. ძალას.

რკინისგზებზე

თათბირი ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში

ა. წ. 1 ოქტომბრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ტარდება ანგარიშთწარმოების და აღრიცხვის რეფორმა:

ამ.-კავკასიის რკ. გზების გამგეობის აზრით ამ ახალი რეფორმის წარმატებით გატარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაცია სავსებით შეიგნებს და შეისწავლის ამ ახალ სისტემას. ამ მიზნით 15 ოქტომბრისათვის ამ.-კავ. რკ. გზ. სამმართველოსთან მოწვეულია სამმართველოს და ხაზებზე მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკების თათბირი.

თათბირი მოისმენს: გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კ. ივანოვის მოხსენებას ანგარიშთწარმოების რეფორმის ძირითად დებულებების შესახებ, სამმართველოს საფინანსო - საანგარიშო განყოფილების უფროსის თანაშემწის ს. ნუროვის მოხსენებას—საფინანსო აღრიცხვის შესახებ და მოხსენებებს. მატერიალური ანგარიშთ-წარმოების და სტატისტიკური აღრიცხვის შესახებ.

თათბირზე, ანგარიშ-წარმოების ახალი სისტემის საკითხების განხილვასთან ერთად, განხილულ იქნება საკითხები: 1927-28 წლის კრედიტების და საწარმოო პროგრამების განაწილებისა და კანტორების ნორმალური შტატების შესახებ, ანგარიშთ-წარმოების ახალი რეფორმის ჩატარებისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, ცენტრში და ხაზებზე საქართველოს ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

სოცდაზღვევა

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა კოოპერატივებმა სოცდაზღვევის ანარიცხები გადაიხადონ სრული ნორმების მიხედვით.

დღემდე კოოპერატივები სოცდაზღვევის ანარიცხებს იხდიდენ დაკლებულ ნორმებით.

მთავრობამ დააკმაყოფილა შრომის კომისარიატის შუამდგომლობა და დაადგინა სამომხმარებლო კოოპერაციამ გადაიხადოს სოციალურ დაზღვევის ანარიცხები საერთო, სრულ ნორმების მიხედვით. ახალ დადგენილებით ამიერ-კავკასიის დამზღვევი სალაროები კოოპერაციისაგან წლიურად მიიღებენ 500.000 მანეთით მეტს, ვიდრე იღებდენ დღემდე. დადგენილება ძალაში შედის 1 ოქტომბრიდან.

ჭადრაკი

რკინისგზელების ტურნირი

10 ოქტომბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა მოჭადრაკე რკინისგზელების ჩემპიონატის მეორე ტური. სულ თამაშში მონაწილეობა მიიღო ექვსმა წყვილმა, რომელთაგან: **პენკოვმა** მოუგო **ხოტელაშვილს** და **ბუკაშოვმა პონომარიოვს.**

ტიხონოვ-სტიშკოვის თამაში უშედეგოთ დამთავრდა. შემდეგისათვის გადაიდო **სემიანიშინ-შიშოვის პარტია:** ორივენი თანაბარ მდგომარეობაში დარჩენ გადაიდო აგრეთვე **დავიდოვ-დენისენკოს** პარტია.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოწაფე ილო. ინაშვილს

პასუხი

თუ თქვენ არ ცხოვრობთ მშობლებთან, არა ხართ სტიპენდიანტი და არც სწავლის ფულიდან ხართ, განთავისუფლებული, მაშინ სახლის პატრონს ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ მეტრზე უნდა გადაუხადოთ ოცი კაპეიკი, თუ კი თქვენ აღნიშნულ რაოდენობით წესიერად და დროზე იხდით ბინის ქირას, სახლს რაიმე ზიანს არ აყენებთ, ადგილობრივ მდგმურებს არ აწუხებთ, მაშინ თქვენ გამოსახლებას ველარ გაბედავს, ვერც სახლის ძველი პატრონი (მისი გამყიდველი) და ვერც მისი ახალი პატრონი. (მისი ეხლანდელი მყიდველი).

თქვენ იხდით მხოლოდ დროზე ტარიფით დაწესებული ქირა და ნურაფრის გეშინიათ.

სასამართლოში თვითონ სახლის პატრონი წაიღებს და ნახავს, თუ რას გაიტანს იგი უკანონო გზით.

რკინის გზის მოძრაობის დარგი მემუხრუჭე ვასო. გეგუციძეს

პასუხი

1) მდგმური, რომელიც სამსახურზე გადაყვანილია სხვა ადგილას, ან და 2) რომელიც სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გარდა სამსახურობრივი ან და სასწავლო მივლინებათა შემთხვევებისა) არ ცხოვრობს თავის ბინაზე, წავა სადმე საცხოვრებლად ან და სამუშაოზე თავისი ხებით და ყოველ შემთხვევისათვის გამოკეტავს ბინას, რომ მით სხვებმა ველარ ისარგებლოს, რით იგი აურაცხელ ზიანს აყენებს ჩვენ უბინაო მუშებს, მექანიკურად ჰკარგავს თავის ბინას.

ამათში ვინ უნდა გადაიხადოს ბინის ქირა

მამა, რომელიც [illegible] ბინის დამქირავებლად, ამჟამად [illegible]. ორი შვილი კი (ორივე სრულწლოვანებია—23 და 25 წლისა), მსახურობენ და იღებენ დამოუკიდებლად გასამრჯელოს. მშობლები ცხოვრებენ ერთად, ცალკე ოთახში, შვილებსაც ცალ-ცალკე ოთახები უჭირავთ. სულ ოჯახს უჭირავს ფართობი 100 კვადრ. მეტრის რაოდენობით.

მამა მოითხოვს, რათა მას როგორც უმუშევარს და არა შვილებს, მთელი ფართობის ქირა გადაიხადოს თითოეულ კვადრატიულ მეტრზე 4 კაპეიკის რაოდენობით.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, კანონიერია თუ არა მამის ასეთი მოთხოვნა.

საბინაო-სარენტო ამ-გის გამგეობა

პასუხი

ვინაიდან შვილები უკვე სრულწლოვანი არიან, მათ აქვთ თავიანთი საკუთარი შემოსავალი და არ იმყოფებიან უმუშევარ მამის კმაყოფაზე, როგორც შრომის უნარის აღსავსენი და ამას გარდა მათ უჭირავთ ცალკე ოთახები, ამიტომ ეს უკანასკნელნი გადაიხდიან ბინის ქირას ცალცალკედ თავიანთი ხელფასისა და მათ მიერ დაჭერილ ფართობის რაოდენობის მიხედვით ხოლო მამას კი, როგორც კავშირის უმუშევარ წევრს საბინაო ტარიფის მუხ. 8-ის თანახმად, ბინის ქირა გადახდება ოთხი კაპეიკის რაოდენობით თითოეულ კვადრატიულ მეტრზე. მამას გადახდება ბინის ქირა მხოლოდ იმ ფართობზე, რაც მას ცოლით და მცირეწლოვან (მის კმაყოფაზე მყოფ) შვილით უჭირავს. დანარჩენი შვილები ბინის ქირას დამოუკიდებლად გადაიხდიან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. ლენინის რაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია შესდგება 18 ოქტომბერს ა. წ. საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბში.

ოთხშაბათს, 12 ოქტ., სრულ 2 საათზე, მოწვეულია სახ. უნივ. ა. ლ. კ: კ: აგრონომიული ფაკ: უჯრ. ბიუროს სხდომა: წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ამხ. სააკოვი მარიამი და ნაკაიძე ალექსანდრე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, მე-3 რაიკომის ბინაზე შესდგება მე-3 რაიკომის პლენუმის სხდომა.

საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი გამყ. თხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს—დაწინაურებულებს გამოცხადდენ ოთხშაბათს ა. წ. 12 ოქტომბერს საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ოთახი № 53) ამხ. თარხანოვთან: კვაშილოვი გრიგოლი ვახტანგისძე (თბ. აღმასკ. საფინანსო), [illegible] ალექსანდრე (კინო—„აპოლლო"), მეგრეველი არჩილ (თბილისის აღმასკომი). ბოგდანოვი პეტრე („ტრანსპორტი"), მელაძე შალვა (სისხლის სამართლის მილიცია), გრიგორიანი ერვანდი აბრამისძე („წითელი ჯვრის აფთიაქი"), პოლოსოვი არტემი (თბილისის ვაჭრობა), გურვენშტეინი მაკარი (ს. მ. უ. ს:). ცოტაია ივანე (თბ: აღმ:—გლეხკომი). ფეოდოროვი პეტრე (შრომის ბირჟა). თევდორაძე შალვა (თბილისის აღმასკომი). მარგიანი პეტრე (თბილისის აღმასკომი). მორბედაძე დიმიტრი (თბ. მილიცია) რონზანი ალიოზი (ლითოგრაფ. „26") [illegible] სოლომონ (შრომის ბირჟა). პირიაშვილი ნიკოლოზ (კოოპწარმოება). კასრაძე ივანე („ტრანსპორტი"). ჯოლიძე გიორგი (თბილისის აღმასკომი) ლარინი მიხეილ („რაბოჩაია პრავდა"). გამრეკელი დავით გიორგისძე. ტყაბლაძე [illegible] (თბ. აღმასკ. საორგ. განყ.)

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ-ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე, რაკომის ბინაზე; ა. ჯაფარიძე —უჯრ. № 19, მ. გავაშელი—უჯრ. № 36, მ. ბილიხოძე—უჯ. № 35, პ. ბაკურაძე—უჯ. № 34, ვ. ძრიელიშვილი—უჯ. № 34, მ. კაკულია—უჯ. № 34, ს. მესარქიშვილი უჯ. № 34, ლ. ქავთარაძე—უჯ. № 32, ნასყიდაშვილი—უჯ № 32, შ. ქიშმარეიშვილი—უჯ. № 32, კ. ბეგაძე—უჯ. № 32, მ. ხერშალი—უჯ. № 21, ა. მკრტჩიანი—უჯ. № 17, დ. დავიდოვი—უჯ № 9, შ. დიღმელაშვილი—უჯ. № 3, ტ. რუსაკოვი—უჯ. № 24, მ. გრუელოკი—უჯ. № 8, ს. არეშოვი—უჯ. № 4, პ. საბო—უჯ. № 54, ა. ვაშაკიძე უჯ. № 6, ს. აბრამოვი—უჯ: № 8, ს. ნადარეიშვილი—უჯ: № 36, ა. მანუკიანი—უჯ. № 61, მუხტარ ვართანიანი—უჯ. № 61, ვ. ყურბანოვი—უჯ. № 61, ა. ბეჟახოვი—უჯ. № 3, გ. ცინცაძე—უჯ: № 23, სიმ. ბახტაძე—უჯ. 23, შ. ხვადაგიანი—უჯ. № 23, ს. გურგენიძე—უჯ: № 23, ს. ერქომაიშვილი—უჯ. № 23, ქეთევან ჩიჩუა—უჯ. № 23, ი. შელეგია—უჯ. № 23, გ. დოლიძე—უჯ. № 23, კ. ბერიძე—უჯ. № 67, ს: მამალაძე უჯ. № 23, ა. მანიძე—უჯ. № 23, მ. ჯაყელი—უჯ. № 29, დ. სვანიძე—უჯ. № 29, ს.: ლომია—უჯ: № 29, რ. მურცხვალაძე—უჯ. № 29, მისაკ გრიგორიანი—უჯ. № 64, ს. ჩიხლაძე—უჯ. № 64, კ. ჯიბისაშვილი—უჯ. № 29, გიორგი ბასილაშვილი—უჯ. № 36, ლევან შაქარაშვილი—უჯ. 36, ნ. ივანოვი—უჯ. № 24, გ. დეკანოზიშვილი—უჯ. № 36, ი. ცაბავა—უჯ. № 36, ი. ბენდიაშვილი უჯ. № 14, ტ: ათაბეკოვი—უჯ. № 37, მ. ჩხიკვიშვილი—უჯ. № 37, ვ. ათოევი—უჯ. № 41, ს. ჭეჟინაძე—უჯ: № 44, გ. ცაგარელი—უჯ. № 44, გ. სამადაშვილი—უჯ. № 45, ი. ბაბუტაძე—უჯ. № 50, ნინა იაკუბოვა—უჯ: № 55, მ: კუტიბიძე—უჯ. № 55, პოდგორსკი—უჯ. № 57, ნინა ბაგინოვა—უჯ. № 58, ს. გორბულევი—უჯ. № 58, ვ. ნადიოაშვილი—უჯ. № 58, ი. მაილოვი—უჯ. № 62, ფ. კუზმინი—უჯ. № 62.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 9, ქ. თბილისში გარდაიცვალა კავშირის წევრი ხნოვანი მწერალი

ილია ჭყონია

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 12-ს, ოთხ საათზე ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქ. 13). დაკრძალვა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 117

ანეტა მერაბის ასული ჭყონიასი, ივდითი გელოვანისა, ფედოსი [illegible] ქიფიანიძე, ელენე წულუკიძისა, ალექსანდრე, იასონი და ნიკო მერაბიძენი ლორთქიფანიძეები ცოლ-შვილებით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 9 ოქტომბერს გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი ქმარი, დანარჩენების სიძე

ილია მერაბის-ძე ჭყონია

რომლის გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან დანიშნულია 12 ოქტომბერს, 4 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 111

ანა მერაბის ასული ჭყონიასი, პოლინა ნიკოლოზის ასული ფხალაძე-სადოვსკისა და ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სადოვსკი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ 9 ოქტომბერს, გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი ქმარი დანარჩენებისთვის მამობის გამწევი ძვირფასი

ილია მერაბის-ძე ჭყონია

გამოსვენება 12 ოქტომბერს, 4 საათზე, ხელოვანთა სასახლიდან, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 111

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
0—8 ნ. 1388

მეორე კვირა
„ამოკი" სტეფან ცვეიგის რომან. მიხედვით დადგმა კ. მარჯანიშვილის
პირველად თბილისში! ამერიკის კინო-წარმ. ახალი სურათი
„ვიქტორიის დაღუპვა"
მთავარ როლში ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი ბეტტი კომპსონი
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
„მეჟრაბპომ-რუს"-ის იშვიათი სურათი
„კაცი რესტორანიდან"
დადგმა ი. ა. პროტაზანოვის
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი
რუთ როლანდი სურათში
„მზის საცოლე" 1 და 2 სერია ერთად

ЖЕНЩИНЫ, ХОЗЯЙКИ!
МАТЕРИ, КУСТАРКИ!
СПЕШИТЕ ПОДПИСАТЬСЯ
на ежемесячный домашне - хозяйственный богато-иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ"
К каждому номеру прилагается выкройки и контурные листы.
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ" на 6 мес.—5 р. 50 к., на 3 мес.—3 руб.
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ" с приложением „КУЛИНАРНОЙ КНИГИ" на 6 мес.—6 р. 30 к., на 3 мес.—3 р. 80 к.
Полугодовые подписчики получат, кроме того, БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: 10 книжек „БИБЛИОТЕКИ ОГОНЕК".
Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26.
АКЦ. ИЗДАТ. О-ВУ „ОГОНЕК".
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.
2—2 ნ. 1721

ქ. კავკავში
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელის მოწერა მიიღება
კანტორის რწმუნებულ
პავლე მეტრეველთან
ქ. კავკავი, სტრელკოვის ქ. № 6
შალვა ელიავას სახელობის კლუბში.
„კომუნისტის" მთავარი კანტორა.
4—2

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 14 ოქტომბერს 1927 წლ. დღის 2 საათზე სახლში № 6 უჩებნი სამოსწავლო შესახვ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ოგანეზ სჩანიანის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს, კამოდს, მაგიდებს; კედლის ხალს, სკამებს, კრაოტებს და სხ., შეფასებულს 240 მანეთათ სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად: თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 ოქტ. 1927 წ. თარიღით № 3464 გაცემული აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 35

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 15 ოქტომბერს 1927 წლ. დღის 2 საათზე სახლში № 10 ნახშირის ქუჩ. შესახვ., საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. სამუილ ძუსიანის მოძრავ ქონებას: კვესის სახარშ ქარხნის მოწყობილობას, კასრებს, ბოთლებს და სხ., შეფასებულს 239 მან. სურსათ გემოვნების კავშირის და დამზღვევ სალაროს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 1 მაისს 1927 წ. თარიღით, № 3427 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 43

გერმანელთა საავადმყოფო
განახლდა კანის და ვენერიულ ავადმყოფთა მიღება
3—1—ქვ. 112

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25|1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. ხაპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

ექიმი ქ. ხ. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18 - 1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. ბ. პანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის).
1—25 ზე. ჩ. გ.

ხელოვნურ კბილებს
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

დაიკარგა ქუთაისის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4213 ლევი გაჩეჩილაძეს სახელზე, ჩ. გ. 115

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 9809 ვლადიმერ თოფურიას სახელზე, ჩ. გ. 116

დაიკარგა მოწმობა სამხედრო კომისარიატიდან მოცემული ჯარიდან განთავისუფლების შესახებ გიორგი აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 114

დაიკარგა საბინაო დავთარი საზოგადოების ქუჩა № 1 სოფიო იაგორაშვილის სახელზე, ჩ. გ. 113

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 59:4 ოლღა იაკობის ასული ზაქარიას სახელზე, ჩ. გ. 107

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 123 ნიკოლოზ გიორგაძეს სახელზე, ჩ. გ. 108

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი ილიკო ივანესძე გაგნიძეს სახელზე, ჩ. გ. 110

დაიკარგა საკანდიდატო ბარათი № 8140 გიორგი მახაშვილის სახელზე, ჩ. გ. 109

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68